



საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

© კაი ყაბ



შინ დაბრუნება...

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას

არ ჩნდება ცეცხლი უკვამლოდ და არც უომრად სახელი,
შენმა ხმალმა და მელაჟმა თქვა შენი სიტყვა და სათქმელი.

მხოლოდ მამულზე ფიქრბდი, მხოლოდ სამშობლოს ღოცავდი,
არ გიძებნია ამ ქვეყნად სხვა ხატი, სხვა საღოცავი.

მხოლოდ სახელი კაი ემის სწამდა შენს გულს და გონებას,
არ გიძებნია ამ ქვეყნად სხვა განძი და სხვა ქონება.

სამშობლოს შეწირულები, თურმე, არანდროს კვდებიან,
ომში გმირების სახელი ცოცხლების გვერდით დგებიან.

და როცა გული უტეხი და სული ბორკილაურდი,
როცა მტრებს შიშველ ხელებით ებრძოდა ის 9 აპრილი,

გულს უმაგრებდა ვაჟკაცებს შენი ხმა, შენი მასილი,
მიჭკონდათ შენი სახელი, ვით ამოწვდილი მახვილი.

შენი სიცოცხლით, სიკვდილით, შენი ჯიშით და ჯილაგით,
ცოცხლებს იმედად დაურჩი და მკვდრებს პატივი მიაგე.


ვერ მოგერია ვერც მტერი, ვერც დროის აუაღ-მაუაღი
და გელოდება მთაწმინდა, ეველა მწვერვალზე მაღალი.

დღეს გელოდება სამშობლო შენს ღოდინით დაღილი,
არ იკარგება სისხლ-ოფლი სამშობლოსათვის დაღვრილი.

ნოდარ ჯალაღონია
2005 წ. ნოემბერი.

რამდენი ნაბიჯია დიდი საქმიდან სასაცილოდ?

ნუ მოვიძახვით უფლაბამოსილაბით
მთვრალი ალაბიანიბით



იხ. 80-4 გვ.

2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოსღაბის პრობრაბა ინბლისურ ენაში

იხ. 80-10 გვ.



ფრიღონ თო-
ღუა: პოლიტი-
კოსებმა პო-
ლიტიკა აკე-
თონ, ჩვენ, ექი-
მებმა ავაღმ-
ყოფებს უნდა
ვუმკურნალოთ

სიკეთე ისეთი რამ არის...


იხ. 80-4 და 80-10 გვ.

რობორ დაიჭირას მიზა ჯოჯუა
ბარიას კასაბა
ტაუკანტუი

იხ. 22-0 გვ.

სენაკელი „ტეხასელი“


ვინ შექმნა,
რა ხელმა
მოქარგა!



იხ. 80-5-6 გვ.

მირონოვ, თაჟან
ბანუბეორბადი სართ!

იხ. 80-2 გვ.



თბილისის სკოლებში საპროტესტო აქციები გაიბართა

იხ. 80-2 გვ.

პრეზიდენტი

„ახალი ხელისუფლება არც ერთ კომპანიას წილში არ უჭდება“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფოთში ჩავიდა.

იგი თავდაპირველად თავისუფლების ხეივანის პრეზენტაციას დაესწრო და შეკრებილ მო-



პანიას ახალი ინვესტიციების განხორციელებაში წარმატება უსურვა. „ჩემთვის მთავარია არა ის, რომ საწარმოში ინვესტიციები იდებოდა, არამედ ის, რომ ამ კომპანიაში 250 ქართველი იქნება დასაქმებული. საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანა სწორედ ის არის, რომ მოსახლეობა დაასაქმოს“, — აღნიშნა პრეზიდენტმა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ახალი ხელისუფლება არც ერთ კომპანიას წილში არ უჭდება“.

19 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტი სენაკში ჩავა. დაგეგმილია თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო ბაზის პრეზენტაცია. შემდეგ მარტვილში ნეტყის გადამამუშავებელ ქარხანას დაათვალიერებს, ისევ სენაკში დაბრუნდება და მეცხოველეობის ფერმას მოინახულებს.



20 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვედრას ქვეყნის რწმუნებულებთან გამართავს და მათ მიერ განხორციელებული ნაწარმების განხილვას დაიწყო.

ინტერპრესნიუსი

პარლამენტის თავმჯდომარე

მირონოვ, თქვენ განუმეორებელი ხართ!

ჰერ კიდევ არ განელებულა ის გაცხარება, რუსების მხრივ გივი თარგამაძის „დანუნებას“ რომ მოჰყვა: მათმა ელჩმა და პოლიტიკოსებმა (მირონოვის გარდა) ქართულ მხარეს შეაწინააღმდეგეს ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ თარგამაძის რუსეთში, აეროპორტში მივცემდით ვიზას, არ შეეძლო, მოეცადა და ორი საათის შემდეგ სხვა თვითმფრინავით გამგზავრებულიყო?

ისე გამოდის, თუ ქართული დელეგაცია აეროპორტში არ დაელოდებოდა ვიზების სახით მოვლენილ რუსთა წყალობას, ეს მისი კაპრიზულობაზე მიუთითებს. ნინო ბურჯანაძემ ამას ცინიზმს უწოდებს. გუშინ დსთ-ს სამიტის მონაწილეებს საქართველოს პარლამენტის მიმართვა გადაეცათ, რომელიც დიპლომატიურ სკანდალთან დაკავშირებულ პრეტენზიებს მოიცავდა. ამის გამო ნინო ბურჯანაძემ მედიის წარმომადგენლებისთვის განცხადება გააკეთა.

პარლამენტის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ ილაპარაკა ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე, რუსი მშვიდობისმოყვრელების ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაზე, სამხედრო ბაზების გაყვანის შეთანხმებაზეც. ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებაც უნდა ესაუბრა ქართულ დელეგაციას ასამბლეის ტრიბუნლიდან, თუმცა, მას ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

იმის გამო, რომ დსთ-ს წევრობა და დასავლური ორიენტაცია შეუთავსებელია, ოპოზიცია არასდროს იწინააღმდეგებდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს ყოფნას. ამ აზრის საწინააღმდეგოდ ყოველთვის ერთი არგუმენტი სახელდება — დსთ არის ტრიბუნა, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია, ჩვენს პრობლემებზე თუ პოზიციებზე გავაცნოთ მასში განხორციელებულ ქვეყნებს. ამჯერად ვერც ამ კუთხით გამოგვაძგა იგი. ხომ არ დადგა დრო, საქართველომ დატოვოს დსთ? ბოლო დღეებში ეს

შეკითხვა რამდენჯერმე დაისვა. ხელისუფლება ფიქრობს, რომ ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსაგვარებელი და ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა არ ღირს. ნინო ბურჯანაძის თქმით, დსთ იმდენად უმნიშვნელო ორგანიზაციაა, რომ იქ ყოფნა-არყოფნა ბევრს არაფერს ცვლის, არც არაფერს გვაძლევს, არც — გვაკლებს. პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ დსთ თავის დანაშაულებად აქცია. სწორედ ამიტომ სამიტები იდილიურ გარემოში იმართება ხოლმე, თუ საქართველოს დელეგაცია არ ესწრება. მხოლოდ ჩვენ ვახმაურებდით, რომ არსებობს კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მთიან ყარაბაღში და ასე შემდეგ.

ნინო ბურჯანაძემ გვერდი ვერც „შავ სიას“ აუარა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მასში ბევრ პერსონა ნონ-გრატას შეიყვანს. — დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებული წესია — იქცევი ისე, როგორც სხვები გეცქევიან. „შავი სია“ შემუშავდება, მაგრამ ამაში პარლამენტი არ მიიღებს მონაწილეობას, ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა. შემიძლია გითხრა, რომ სია გრძელი იქნება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კოლეგებისგან მხარდამჭერ რეაქციას ელოდა, როგორც თქვა, არაოფიციალური ინფორმაციით, მომხდარს ყველა გამოხატა (ეს ასეც უნდა იყოს, რადგან შესაძლოა, რუსეთმა ხვალ სხვა ქვეყნების დელეგაციის წევრებს არ მისცეს ვიზა). რაც შეეხება ოფიციალურ განცხადებებს, მათგან მხოლოდ ერთი დარჩა კმაყოფილი ნინო ბურჯანაძე. მას ეჭვი არ შეუფერხებია. — სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები არცთუ იყვნენ მრავალად არიან რუსულ პოლიტიკაში, — ეს ბურჯანაძის სიტყვებია.

რუსუდან ბახარბი

ინფორმაცია

თბილისის სკოლებში საპროტესტო აქციები გაიმართა

11 წლის გენო პეტრიაშვილის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით ყურადღების მიპყრობის მიზნით გუშინ თბილისის სკოლებში აქციები გაიმართა



როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტი განუცხადეს, აქციები თბილისის მე-7 გიმნაზიაში, №51, №53, №147, №23, №18, №122, №44 საშუალო სკოლებში გაიმართა, ამის პარალელურად საპროტესტო აქციები ბათუმში და საგარეჯოს სკოლებშიც მოეწყო.

„სკოლის დიდ შესვენებაზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა საკუთარი პროტესტი გამოხატეს. ეს იყო ცოცხალი ჯაჭვი, ისინი სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ საკუთარი პროტესტის გამოხატვას, რათა საქართველოს ხელისუფლებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ყურადღება მიექციონ 11 წლის გენო პეტრიაშვილის გატაცების ფაქტს და დროულად მოხდეს რეაგირება მის დაბრუნებაზე“, — განაცხადეს განათლების სამინისტროში.

როგორც განათლების სამინისტროში იუწყებიან, ასეთი სახის აქციები მომავალშიც გაგრძელდება და აქციის ორგანიზატორები — გოგონა მე-9 საშუალო სკოლის შედგომები და გატაცებული გენო პეტრიაშვილის კლასელები შეეცდებიან აქციებში საქართველოს ყველა რეგიონის საშუალო სკოლა ჩართონ.

ინტერპრესნიუსი

კვირის თვალსაზრისი

ოქსიჰიჰიტი აპრიკილიანი ჩუნძან რას კოვლენ!..

უღმრთელი რამ არის დრო. ის ერთადერთია, რომელიც არ ჩქარობს და არ ზოზინებს, ყოველთვის თანაბრად და გამოზომილად მდინარებს. და ყოველთვის გვაახლოებს რაღაცას და ყოველთვის გვაშორებს რაღაცას.

აი, თითქოს გუშინ იყო და უკვე ორი წელი გავიდა, რაც „ვარდების რევოლუციამ“ ქეჩიში სტაცა ხელი მდორედ მოტაატე საქართველოს და სულ პანდურის კვრით გაიჩეკა ჯერ არსენილისა და ჯერ არგაგონილისკენ.

ორი წელი, რომელმაც შეძრა ქვეყანა! ის დღე, რევოლუციის გამარჯვება რომ გვამცნო, უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. და ახლა ყოველდღიურად ვშორდებით მას და ნათელი მომავლისკენ მივექანებით. თუმცა, აქ ერთი აუხსნელი მოვლენაც ხდება: რაც უფრო ვუახლოვდებით ამ ნათელ მომავალს, მით უფრო გვიხსნალებს იგი ხელიდან მირაჟისებრი. ჩვენ მისკენ მივინეწვით, ის უკან იხევს. და ვართ ასე, გადარბენაზე.

რაჯებულები თვალი ვერ ხედავს, უფრო სწორად, ხედვით ხედავს, მაგრამ ძალით იბრძავენ თვალს. როგორ არ ვხედავთ! ჯერ ერთი, ვხედავთ, რომ გუშინდელი ანგრეულ-დანგრეულის ნაცვლად უკვე მოასფალტებულ გზაზე მივჭყნაობთ (აგერ, იმ დღესაც, სენაკი-წალენჯიხა-ჩხოროწყუს მ6-კილომეტრიანი მაგისტრალი ჩადაგა მწყობრში).

მეორეც, ვხედავთ, რომ ამ გზის გასწვრივ პეიზაჟი სხვადასხვა ფერად არის შეღებულ-მოხატული. მოგეხსენებათ, თვალი ჭამს და თვალი სვამს (იქნებ ამიტომ აქვთ ჩვენს პარლამენტარებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთი ნაპატიები, თვითმწყაფრებელი ხეები?)...

მესამეც, მტერიც ვერ უარყოფს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აშკარად გაიზარდა. ქუჩაში სულ უფრო იშვიათად შეხვდები ასაკოვან რევოლუციამდელ ინდივიდს. თუ ნახავ, იმასაც, ძირითადად, ხელგამოწვილს, ან სამადლო სასადილოში უფასო ფაფის ჯამში თვალმწიკვით. საშუალო ასაკის ხალხმა კი რქები გაანგრია საზღვარი, გალმა გავი-

და და ქვეყანა რქმეუმშრალი თინჯერების ამარა დატოვა, რომლებიც ან სახელმწიფო საქმეებით ერთობიან, ან — ჯეობარის წარმტაცი კადრებით. ერთი სიტყვით, ერის ეს გაახალგაზრდავება სწორედ იმის შედეგია, რომ დაუძლეურებულ-გამოფიტული ასაკოვანი ადამიანები ჩქაროსნულად მიისწრაფვიან მუხათგვერდისკენ, მილიონამდე საშუალო ასაკის ადამიანი კი საზღვარგარეთ წავიდა ლუკმაპურის საშუენელად.

12 ნოემბერს ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჟურნალისტ სვეტლანა სოროკინასთვის მიცემული ინტერვიუ მოვისმინე რადიო „ეხო მოსკოვით“, ვრცელი, ასე ვთქვათ, განვლილი ორი წლის შემაჯამებელი განსჯაა.

ამ ორ წელიწადში ჩვენ გვაკეთეთ ის, რაც სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში, მაშინაც კი, რომც გვაგინოს ხალხმა, რაგონდ ცუდად მოგვისხევიდა მომავალი, — ბრძანებს ბატონი მიხეილი და განმარტავს — ორი წლის წინათ საქართველო სახელმწიფო არ იყო, დღეს კი არის, და აი რას შუალო ასაკის ხალხმა კი რქები გაანგრია საზღვარი, გალმა გავი-

ფასს, თავი რომ ერჩინაო. მაგალითიც მოჰყავს თავისივე პრაქტიკიდან: პირველი საპრეზიდენტო ხელფასი 40 დოლარი მომცესო; დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე რომ გავემგზავრე, 5-6 დღის სამივლინებო თანხად 20 დოლარი გადამიხადესო.

რა თქმა უნდა, ხელფასი და სამივლინებო ძალზე ცოტა იყო. ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი პრეზიდენტის მაშინდელი ხელფასის რაოდენობაზე. მხოლოდ ის ვიცი, რომ მინისტრი მგონი 160 ლარს იღებდა. მაგრამ სამივლინებო 20 დოლარით ნეტა ძველი ხელისუფლებიდან ჯერ კიდევ შერჩენილმა საფინანსო სამსახურის მუშაკებმა ხომ არ შეიყვანეს შეცდომაში ბატონი მიხეილი? ამ სუთიოდე წლის წინათ სახელმწიფო მინისტრს ვახლდი თეირანში და ჟურნალისტებს ორ დღეში 100 დოლარი გადაგვიხადეს სამივლინებო. 6 დღეში 20 დოლარი კი ნეტა რა ტარიფით გამოუთვალეს ქვეყნის პრეზიდენტს?

აქვე ერთი სტატისტიკური მონაცემს მივანვიძი მკითხველს. როცა სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული უაღრესად დაბალ ხელფასებზე და, აქედან გამომდინარე, მათს შესაძლო კორუფციონერობაზე ვლაპარაკობთ (სავსებით მართებულია), იქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ 1996-2003 წლებში საქართველოს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების ჯამური ფონდი 1,6 მილიარდი ლარით ჩამორჩებოდა

კვირის თვალსაზრისი

ოცბიჯივით აკრიკულსი ჩუნთს რას კოვლენ!

(მეორე გვერდიდან)

„ეპოქისთვის“ დამახასიათებელი განვარდულების შესახებ: ეს არა-თუ მუშაკი, ხე არ მინდა ეზოში. მერედა, უფიქრია ან იმ არგასაზრდედ მინისტრს ან მის იქ დამნიშნავს, რა უნდა ქნან 40-50 წლის ძალღონით, ენერგიით, ტალანტით და გამოცდილებით სავსე ქალებმა და კაცებმა, რითი გაიტანონ თავი, როგორ არჩინონ ოჯახი? ქართველები თითქმის ყველაზე ოპტიმისტი ხალხი გახდა ევროპაში, — ბრძანებს ინტერვიუში ბატონი მიხეილი და იქვე განმარტავს, რასაც გაუოპტიმისტება ეს ხალხი: მათ დანიშნეს კრედიტების აღება, ბინების, მანქანების შექენა, ანუ მათ ეკონომიკური ოპტიმიზმი გაუწდათ. კი, ეს მოსახლეობის 5-10 პროცენტს, ე, წ. ახალ ქართველებს! მაგრამ ვითომ დანარჩენი 90-95 პროცენტზე ასეთი დოღრილა ოპტიმისტი? ზოგს რომ ჰკითხო, თავისი გულბრყვილობით, ამ ოპტიმიზმად იმას მიიჩნევს, ახალი უფასო სასაბალოს გახსნის გამო მშვიერი დე-

დაბერი მადლობას რომ იხდის. როცა საარსებო მინიმუმი 60 დოლარია, პენსია ოთხჯერ ნაკლები — 28 ლარი, უმუშევარი კი 100 ათასობით კაცი, ცოტა არ იყოს ნაკლები ადგილი რჩება ოპტიმიზმისათვის. ამბობენ, მსოფლიოში ყველაზე ოპტიმისტი ამერიკელები არიანო. ერთი იუმორისტული მოთხრობა მაქვს ნაკითხული მათს ამ საარაკო ოპტიმიზმზე, დაახლოებით ამ სტილისა: ნიუ-იორკში ერთმანეთს ორი ნაცნობი ხვდება. — გამარჯობა, ტომ! — ღიმილით ესალმება ერთი. — გამარჯობა, ტომ! — ღიმილით ესალმება მეორე. — სიხარულს ვერ მალავს მეორე. — კარგად, კარგად, გუშინ სამსახურიდან დამითხოვეს! — სიცოლით პირი ყურებამდე ესევა ტომს — შენ რას შევბი? — მეც არა მიჭირს რა, ცოლი საავადმყოფოში დავანვინე, ოპერაციის ფული კი არ მაქვს — ჩაბყირდა ჯეკი. — ჩემი ქალიშვილი თავისმა ბოსმა შეაცდინა, ხა-ხა-ხა!

— ჩემს ვაჟს პოლიციამ შარი მოსდო და დააპტიმრა, ხო-ხო-ხო! — ელექტრობა გამომირთეს გადაუხდელობის გამო, ხა-ხა-ხა! — მე კი გაზი გადამიჭრეს, ხო-ხო-ხო! — აბა, კარგად იყავი, ტომ, სულ ასე მაგრად მენახე! — მართლაც გამახარე შენი ნახვით, ჯეკ! — კაცები სიცოლით მოგვრილ ცრემლებს ინმენდენ და თავთავიანთი გზით მიდიან... ჩასვით ახლა ტომისა და ჯეკის სახელების ნაცვლად გაიოზი და ვალიკო და ქართული ოპტიმიზმი ხელთ გაქვით... ჩემი აზრით, სახალხო ოპტიმიზმის შესანიშნავი გამოვლინება იყო, მაგალითად, დამენყრილ და ნანყადიღოვარ გურიაში ერთმა ქალმა პრეზიდენტის დანახვაზე რომ შესახა, მადლობა ღმერთს, კი დაგაქცია, მაგრამ შენი თავი გვანახაო. ასეთი ოპტიმისტი ხალხი არ დიკარგება. ჩვენი ოპტიმიზმის გამო აფხაზეთს და „სამხრეთ ოსეთს“ ისევ ჩვე-

კულტურის საგვრეველი


ისევ სამოვარზე მიშვებულნი ნახირისა და დილაადრიან დანყებულნი ქეიფის შესახებ

როგორც ქართული მასმედია იტყობინებოდა, ამ სამიოდე დღის წინათ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების უპირობო გაყვანის მოთხოვნით, ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა რუსეთის სელჩოს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს.



აქცია დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა და მასში ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაცია, აგრეთვე, აფხაზეთის ახალგაზრდულ საქეთა სამმართველო მონაწილეობდა. კვირის ბოლოს, ესე იგი, დღეს და ხვალ, აქცია ზუგდიდსა და ჯვარში, რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების შტაბებთან უნდა გაგრძელდეს. თითქოს, უნდა გვიხაროდეს, — გამოვფხიზლით, საპროტესტო აქციებს ვანყობთ და ჩვენს „უფროს, ერთმორწმუნე ძმას“ გონიერებისკენ მოვუწოდებთ. ექვსი თვის წინათაც იყო მსგავსი აქციები რუსეთის საელჩოს წინ, ენგურის ხიდზე და თვით ზუგდიდ-ნალენჯისა ციკ. მაშინაც და ახლაც აქციებში 20-30 კაცი მონაწილეობდა. ახალგაზრდებს მხარში არავინ ამოუდგა. სახელმწიფო სტრუქტურებმა ყურად არ აიხოვეს აქციის მონაწილეთა გაბედულ მონადეებს. დღეს ქართველი ხალხისთვის ყველაზე სამართლიანი, პრინციპული, აუცილებელი აქცია ჩვენი გათითოვების, ახალგაზრდობისა და ხელისუფლების დამორჩილების, ერისა და ბერის უდარდებლობის კიდევ ერთ მაგალითად იქცა. რუსეთი კი ოლიმპიური სიმშვიდით აგრძელებს აფხაზეთის გარუსების პოლიტიკას, გალელ-

ქართველებსაც კი (!) რუსულ პასპორტებს და რუსეთის მოქალაქეობას სწრის ცხვირში, ჭაბუკები აფხაზურ ჯარში მიჰყავს და თუ ვინმე წინააღმდეგობას გაბედავს, ცემით სულს ხდის! გუშინ, აბსოლუტურად უმიზეზოდ, სოფელ სიდაში ორი ქართველი აწამეს და მოკლეს! თვითმარქვია აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბალაფში კი გვემუქრება: კონფლიქტის ზონიდან რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების გაყვანის შემთხვევაში საომარი მოქმედებებს განვახლებთ! რა თქმა უნდა, რუსი პოლიტიკოსების, რუსეთის არმიის იმედით ნათქვამი მუქარაა ეს... თუმცა, სანახევროდ თბილისში გაზრდილმა ბალაფშმა ქართველების ბედოვლათობის ამბავიც მშვენივრად იცის, გაგანია ომის დროს დუბაიში სავაჭროდ რომ მივფრინავდით ისიც ახსოვს და, სოხუმის ალყის დროს მოღალატე ქართველების გაუგონარი უსინდისობაც... აგერ, 13 წლის შემდეგ, რამდენიმე ახალგაზრდა სახელდახელო აქციას მართავს და... საყოველთაო მხარდაჭერა-თანადგომის ნაცვლად, ისევ სამოვარზე მიშვებული ნახირივით ვლადობს და... ქეიფს ვინცებთ დილიდან! ეს ხომ ერთი, ორი, ბარე სამი საუკუნის წინათაც ასე იყო? ასეთმა უდარდებლობამ ხომ დაგვშალა და ლამის ბოლო მოგვიღო? ნუთუ, ველარასოდ ვისწავლით ჭკუას? * * * ბუშინ ჩვენს გაზეთში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, მართლაც უიშვი-ვილის პიროვნების და მამულიშვილის ბატონ თამაზ გამყრელიძის კიდევ ერთი საპროგრამო



წერილი დაიბეჭდა — „მეცნიერებათა აკადემია, ქართულ-სომხური კულტურული მეტოქეობა და „ქვათა ღალადი“. ეს მომცრო პუბლიკაცია, დარწმუნებული ვარ, ბევრ ქართველს დააფიქრებს, იმ ვაირეფორმაციების გარდა, რომლებიც ერის ღირსებას — მეცნიერებათა აკადემიას ანგრევენ და გაერთიანება-განმტკიცების სანაცვლოდ, კვლევითი ინსტიტუტების გამოშვიგვის მეთოდით, დაუნდობლად აქუცმაცებენ. თურმე, მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიებს და ფინანსება გაუზარდეს და გაერთიანებულ, მონოლითურ სახელმწიფო ორგანიზმად ჩამოაყალიბეს. ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება? — „ასეთ შემთხვევაში, — წერს ბატონი თამაზ გამყრელიძე, — ჩვენი მეცნიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად პაექრობაში ვეღარ გვიშეღის „ქვათა ღალადი“ და ვეღარაფერს მოვიმოქმედებთ სხვადასხვა ჯურის „კულტურული მეტოქეების“ მოსაგერიებლად. ჩვენ იძულებული ვიქნებით ვალიაროთ ჩვენი უსუსურობა და პერსპექტივაში ჩვენი სრული კულტურული მარცხი. ეს იქნებოდა დანაშაული ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შთამომავლობის წინაშე.“ დანაშაული უკვე შედგა. რეფორმატორები უკან არ იხევენ და მეცნიერებათა აკადემიის დაშლას განაგრძობენ. ჩვენს ერს რომ ელემენტარული თავმოყვარეობა ჰქონდეს და აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ჭეშმარიტი სიტყვების ფასი იცოდეს, ხვალვე ათასობით ადამიანი გამოვიდოდა ქუჩაში მეცნიერებათა აკადემიის დასაცავად, მის გადასარჩენად და იმ რეფორმატორების იქ გასარეკად, საიდანაც მათი დამფინანსებლები შემოგვეპარნენ... „ქვათა ღალადზე“ უფრო ადრე, 34 წლის ილია ჭავჭავაძემ სწორუპოვარი პამფლეტი „ბედნიერი ერი“ შექმნა. ესეც საუკუნის, საუკუნუნახევრის წინათ იყო.

ნად რომ ვთვლით, თორემ ერთი და მეორეც კარგა ხანია გადაიბარა რუსეთმა, თანაც — „თეორიული დასაბუთებით“; ეს მინები ისტორიულად არასოდეს საქართველოს არ ყოფილა. ანუ, თუ თქვენი არ ყოფილა, მაშინ ჩვენი ყოფილა. ამის შესახებ, მაგალითად, სუთმაბათს საღამოს მოუვიბ-მოუვიბავად განაცხადა გიგა ბოკერიასთან პაექრობისას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, ცნობილმა ქორმა ზატულენმა „რუსთავი-2“-ის ეკრანით. ჩვენი ოპტიმიზმის გამოა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების იმედი გვაქვს, რუსეთი კი საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრებს (თუნდაც ერთ-ერთ მათგანს) დსთ სამიტზე დასასწრებად ვიხას არ აძლევს. ჩვენი ოპტიმიზმის გამოა, რომ პოლიციას იმედებს ვდებთ, მან კი, თვით შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, შეიძლება ტყვია დაგაჭედოს, რაღაც სხვა თვლით შემოხედო, ან ბუზი დაინახოს და სპილო ვერა — ოთხი დღეა პროსპექტებზე ვიღაცეები მოქალაქეთა დასაფეთებელ ტრანსპარანტებს აკრავენ ამწებთ, ხელისუფლებამ კი ვერანაირად ვერ შეიტყო, ვინ ხალხია და რა უნდათ. მიუკლმად, ამერიკელები ოპტიმიზმით ჩვენთან რას მოვლენ!..

ალექს ასლანიშვილი

ინფორმაცია


2005 წლის სახელმწიფო

პრემიის ნომინანტები ცნობილი ხდება 2005 წლის სახელმწიფო პრემიის ნომინანტები — ლიტერატურის დარგში: პოეტები — დათო მალრაძე და ლია რუსიაშვილი; მუსიკის დარგში: პიანისტი ლექსო თორაძე და კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე; სახვითი ხელოვნების დარგში: მოქანდაკე გენო ზაქარაია; თეატრის დარგში: მსახიობები მედეა ჩახავა, თამარ სხირტლაძე, მურმან ჯინორია, რამაზ იოსელიანი, დამდეგილი რეჟისორი იოსებ ნემსაძე; კინოხელოვნების დარგში: რეჟისორი ლევან ზაქარაიშვილი, კინომსახიობი გურამ ლორთქიფანიძე, რეჟისორი გენო ცაავა, დამდეგილი ოპერატორი მიხეილ მდინიკვი და მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი მიხეილ გოძიაშვილი — სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის „ნ და 7“; პუბლიცისტის დარგში ნარდგენილი არიან დავით წერეთლი, ნანული ჭავჭავანიძე კარლო ვაშაყიძე, ლევან ჭოლაშვილი, თამაზ კანდელიანი, გიორგი წერეთელი, თარგმანი: ნათან ბააზოვი — წიგნისთვის „მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (რუსულ ენაზე).

სალომე ზურაბიშვილი

ქუთაისელ

„ქუთაისის საავიაციო ქარხანაში“ შექმნილი ვითარების განსაცნობად გუშინ ქუთაისში საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ჩავიდა. სალომე ზურაბიშვილი მხარდაჭერებთან ერთად სს „ქუთაისის საავიაციო ქარხანაში“ მივიდა და მუშა-მოსამსახურეებს შეხვდა. საწარმოს კოლექტივი სამი დღის მანძილზე ქარხნის დირექტორის ირაკლი კობრიძის წინააღმდეგ აქციას მართავდა. ისინი კობრიძეს ქარხნის ლიკვიდაციაში სდებენ ბრალს, რაშიც, მათი განცხადებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მამის ანზორ ბურჯანაძის ინტერესები იკვეთება. ზურაბიშვილი ქარხნის კოლექტივს სიტუაციაში გარკვევას და დახმარებას დაპირდა.



„ხელისუფლება ხალხს ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებას შპირდებდა. უცნაურია, როდესაც იგივე ხელისუფლება გამართულ საწარმოს პრობლემას უქმნის“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბიშვილი. „ქუთაისის საავიაციო ქარხნის“ რამდენიმე ათეული თანამშრომელი სალომე ზურაბიშვილის მოძრაობაში განუვრიანდა. ინტერპრესნიუსი

პრეზიდენტი

კანბირეზური ნობელები და მიუზიკალი ნარენჯისაში

„პარდების რეკონსტრუქციის“ კარს მომდგარი ორი წლისთვის პომპეზურად აღნიშვნა საქართველოს პრეზიდენტმა სამეგრელოში სტუმრობით დაიწყო. იმ კუთხის მონახულებით, საიდანაც რეკონსტრუქციის პირველკაცს თავის დროზე ყველაზე მეტი მხარდამჭერი წამოიყვანა.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილის მეგრული ვოიაჟის შესახებ სათქმელი სჯობს თანამიმდევრობით ვთქვათ.

დედაქალაქიდან სპორტსმენები და ჟურნალისტები ხობში მიგვიწვიეს, სადაც საქართველოს ეროვნული გმირის, ყიული შარტავას ხსოვნის პატივისცემის მიზნით მრავალი ღონისძიება გახლდათ დაგეგმილი. მთავარი მოვლენა კი ქართულ ტყედაობაში ყიული შარტავას სახელობის III მემორალური ტურნირის და ახალი საჭიდაო მანეჟის საზეიმო გახსნა იყო.

ღონისძიების მთავარი სულისჩამდგმელები ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ იყვნენ.

სწორედ გოდერძი ბუკია დახვდა სენაკში ყიული შარტავას



ქეგლთან, თბილისიდან ჩასულ სტუმრებს — მოჭიდავეებს, ტურნირის მსაჯებს, ცნობილ მოქანდაკეს და მხატვარს ემირ ბურჯანაძეს და პირველ ქართველი ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ციმაკურიძეს.

სტუმრებმა ყიული შარტავას ქეგლი გვირგვინით შეამკეს და

გეზი ხობისკენ აიღეს, სადაც თავდაპირველად ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს მიაშურეს და ყიული შარტავას სულის მოსახსენებელი პარაკლისი გააძიხადეს.

ღღის ოთხ საათზე ხობის გამგეობის წინ, სკვერში, ახლადგარემონტებული და გადახურული

საჭიდაო მანეჟის გახსნაზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ქალაქიდან ჩამოსულ სპორტსმენებთან ერთად თავი ადგილობრივმა მოსახლეობამც მრავლად მოიყარა ტურნირის გახსნისა და საქართველოს პრეზიდენტის მოლოდინში.

ღონისძიებას კარგი ორგანიზატორების ხელი ეტყობოდა.

შესანიშნავი საჭიდაო მანეჟის გახსნისათვის და მიხეილ სააკაშვილის დასახვედრად იქ ყველაფერი ლამაზად და შთამბეჭდავად იყო მომზადებული.

ყველა ჩამოსული სტუმარი სათანადოდ დააპურეს, მოჭიდავეები აწონეს, საჭიდაო ფორმებში გამოიწვიეს, ეროვნულტანსაცმელიანი გოგობიჭები დაამკრივეს და ტურნირის გახსნას პრეზიდენტის იქ მისვლის გარდა არაფერი აკლდა.

მიხეილ სააკაშვილის ვერტმფრენი კი ჯერ სენაკის აეროპორტში დაჯდა, სადაც პრეზიდენტს იქაური მოსახლეობა შეეგება. სენაკელმა ბავშვმა სააკაშვილს ხატიც აჩუქა და სწორედ ამის შემ

იხ. მე-6 გვ.

ინფორმაცია

საპროტესტო აქცია პარლამენტთან

სამართალდაცველობის მიერ მიმდინარე წლის აპრილში დაკავებული დაშენ მამედოვის გათავისუფლების მოთხოვნით გუშინ გარდაბნის რაიონის სოფელ სადახლოს 100-მდე მცხოვრებმა სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გამართეს.




გარდაბნის რაიონის სოფელ სადახლოს მცხოვრებლები 22 წლის დაშენ მამედოვის დაკავებაში რაიონის პროკურორსა და მოსამართლეს ადანაშაულებენ და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დახმარებას სთხოვენ.

სოფელ სადახლოს მცხოვრებლები მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო კანცელარიასთან პერმანენტული აქციებით იმუქრებიან და პრეზიდენტს მამედოვის საქმის პირადად შესწავლას სთხოვენ.

„შრომის კოდექსი“ ახალ პროექტს აპროტესტობენ

სამართალდაცველობის შენობასთან გუშინ პროფკავშირების წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი „შრომის კოდექსის“ ახალ პროექტს აპროტესტებდნენ.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, კოდექსის ასეთი ვარიანტის მიღება საზოგადოების სტაბილურობისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაცია იქნება.

პროფკავშირების წარმომადგენელთა აზრით, ახალი „შრომის კოდექსი“ „საზოგადოების დიდ ნაწილს მონობას უქადის“.

პერიოლიზმი კალისხევიში

ახალციხეში „ინტერ-ენიკური ურთიერთობების ქცევის კოდექსის“ პრეზენტაცია შედგა. გუშინ ახალციხეში არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის“ და ეუთოს უმცირესობათა დარგში უმაღლესი კომისიის ოფისის მიერ მომზადებული „ინტერ-ენიკური ურთიერთობების ქცევის კოდექსის“ პრეზენტაცია გაიმართა.

„ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის ნოდარ სარჯველიძის განცხადებით, კოდექსი ქართველთა და სომეხთა ერთობლივი ძალისხმევით შედგა, ერთი წლის განმავლობაში დაინერა და მას თანამედროვე საქართველოში ანალოგი არ გააჩნია.

„ეს კოდექსი ემსახურება ეთნოსთა შორის ურთიერთობების განვითარებას. იანვარში კოდექსს ბროშურად გამოსცემენ და იგი საქართველოს მთავრობისა და პარლამენტს წარედგინება“, — აღნიშნა სარჯველიძემ.

საზეიმო ცერემონიას სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ადამიანი — თავის ადგილას

სენაკელი „ცეხასელი“

306 შექმნა, რა ხელმა მოქარბა!


მთლიანად კოლხეთი და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი შესანიშნავი სახეობა — სენაკის რაიონი ოდითგან გამოირჩეოდა ლამაზი სახეობითა და საგულდაგულოდ მოვლილი, კოპნია ეზო-კარმიდამოთი. ამდენად, ამით აქ თითქოს ვერავის გააკვირვებ. მაგრამ ცხოვრობს სენაკში ერთი საშუალო ტანისა და ხნოვანების „ცეხასელი“ (ზამთარ-ზაფხულ სულ ტეხასური ფორმის ქუდი ახურავს) კაცი — ზურაბ ნინუა, რომლის მარჯვენით მოქარბულმა ეზო-კარმა არ შეიძლება გულგრილი დაგტოვოთ. თანაც განა მარტო მის კარ-მიდამოს ატყვია ნაღდი ოსტატის მადლიანი ხელის სიკეთე. მას სერიოზული, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მშობლიური ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაში: მის მიერ შექმნილმა დენდროპარკმა კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა ქალაქის ცენტრალური მოედანი, მაგრამ სანამ ამაზე უფრო ვრცლად ვისაუბრებდეთ, მკითხველს გავაცნობთ, თუ ვინ არის და როგორ ცხოვრობს ბატონი ზურაბი. სწორედ ამ მიზნით მას სახლში ვენვით.

ზურაბი და მისი მეუღლე, ქალბატონი ნათელა ეზოში დაგვხვდნენ და შინ მიგვიპატიჟეს...

სახლ-კარის დათვალიერებამ მოლოდინს გადააჭარბა. თვალს ვერ ვუჯერებდით, ნამდვილი საოცრებათა სამყარო წარმოგვიდგა. სად არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი უნიკალური, ხელოვნურად შექმნილი სიმშვენიერე ნამდვილად არ მინახავს. უშუალოდ ქვის ნიშუშებისგან, რომლებსაც ბატონი ზურაბი ქვეყნის სხვადასხვა კუთხესა და მღვიმეებში ეძებს, პოულობს და აგროვებს, შექმნილი სიმშვენიერე ჭეშმარიტად განუმეორებელია...

ეზოს რომ მიადგებოთ, შემოგხვდებათ ათასწარი ფორმისაგან ერთ მონოლითურ ქმნილებად შექმნილი თალი, რომელზეც ზემოთ დამონტაჟებულია ჯვარი, ხოლო ქვემოთ ჩამოკიდებულია ჩვეულებრივი ზარი, რომლითაც სტუმარს შეუძლია დარეკოს და ოჯახის პატრონს ამცნოს მოსვლა...

შედისართ ეზოში და უცბათ ხვდებით „საოცრებათა სამყაროში“. აქ ერთმანეთს ორგანულად შერწყმია მრავალი სახეობის ჯერ ცოცხალი ყვავილები, კაქტუსები და ქვისგან ხელით „ამღერებული“ ქმნილებები... აქვეა ავტოგარაჟი, რომლის სახურავზე დადგმულია მუხის ხისგან გამოჭრილი სქელი მაგიდა, რომელზეც დგას მუხის კასრი თავისი ღვინის ჩამოსახმელი ონკანით, ქვემოთ წყლის ჩამოსაშვები მეორე ონკანიცაა. ორივე ნატურალური ღვინით და სასმელი წყლით სპეციალური მილსადენებით მარაგდება.



სენაკელი „ცეხასელი“ ზურაბ ნინუა

ეზო დაყოფილია ტერასებად, სადაც ხარობს სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის მსხმოიარე ხეხილი, ციტრუსების, ბალჩეულისა და ბოსტნეულის კოლექციები — „ლომისლომი“, „მჭადისმჭადი“, „მეგრული სელი“, „შაქრის ლერწამი“, „მინისვალი“, „მინის თილი“, ყველას ვერ ჩამოვთვლი... მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, თითოეულ მათგანს თავი-

სი ადგილი აქვს მიჩენილი და შესაბამის ნაყოფსაც იძლევა...

ცალკე აღსანიშნავია ეზოს შესასვლელის მარცხენა მხარე. აქ განლაგებულია „ციხე-გოჯი“, რომლის შიგნით მოთავსებულია „მინი-ეკლესია“ თავისი სამრეკლოთი. აქვეა „კავკასიონის ქედი“ თავისი „კლდეებით“, „სვანური კოშკით“ და ულამაზესი სანახაობებით. ეზოს შესასვლელთან აღმართულია აზბეტის დიდრონი მილი-ბოძი, რომელსაც, როგორც ბატონმა ზურაბმა გვჩვენა, აქვს 135 ნახვრეტი. მილი ამოვსებულია მინით და იქვე ცალ-ცალკე ჩარგულია ზამთარ-ზაფხულ მსხმოიარე უნიკალური ჯიშის 135 ძირი მარწყვი, ასევე ზამთარ-ზაფხულ მსხმოიარე ჟოლო და სხვა...

ბატონი ზურაბი უკვე 30 წელზე მეტია, აგროვებდა და ქმნიდა ამ საოცრებათა სამყაროს, რომელიც სხვადასხვა დროს დაუთვალიერებიათ და აღტაცებულნიც დარჩენილან ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი, გერმანელი, პოლანდიელი, ჩინელი და სხვა ქვეყნების ტურისტები.

ამერიკელებს შთაბეჭდილებათა ნივთში აღფრთოვანებული ჩანანერები დაუტოვებიათ, ასეთი რამ არ გვინახავს, ჩვენთან, ამერიკაში ზურაბის მსგავსი ხელოვანი პრეზიდენტის დონეზე ფასობს... ჩინელმა ტურისტებმა კი ზურაბ ნინუას ეზოს „საოცრებათა სამყარო“ უწოდეს...

ბატონ ზურაბ ნინუას დიდი ხნის ოცნება იყო, რომ თავისი მშობლიური ქალაქისთვის, ქვეყნისთვის მოეხმარა საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობა, მაგრამ აქამდე მხარდამჭერსა და შემფასებელ-დამფასებელს ვერავის პოულობდა...

იხ. მე-6 გვ.



ამ ლამაზი ორიგინალური ნიშნისა ზურაბ ნინუას კარ-მიდამო

პრეზიდენტი

განხილვები ნობელები და მიშხაი ნარენჯისაში

(მესამე გვერდიდან)

დეგ გახსნა პრეზიდენტმა სენაკში ახალი სკვერი და ესკორტმა გეზი ხობისკენ აიღო.

ხობში მრავლად შეკრებილი მოსახლეობა სააკაშვილს ღიმილითა და გაპიტებული „მიშა, მიშას“ სკანდირებით შეხვდა.

თუმცა პრეზიდენტმა თავის ექსცენტრიული საქციელით დიდ ხანს მომლოდინე ხობელები და ჩამოსული სტუმრები სახტად დატოვა: მან ხობის საჭიდაო მანქანაში ნითელი ლენტი გაჭრა, მაკრატელი სასწრაფოდ ვილაცას მიაჩენა და ჩვეული სისწრაფით იქაურობას გაეცალა. პრეზიდენტს ათასობით შეკრებილი გაკვირვებული და განბილბული მზერა მიჰყვა უკან.

საკაშვილს კი ასე რიგად წაღწევისაში მიეჩქარებოდა, სადაც მას დიდი ხნის წინათ დაწყებული და უკვე მორჩენილი წაღწევისა-სენაკი-ჩხოროწყუს მ6-კილომეტრიანი გზა უნდა გაეხსნა და მოსახლეობისათვის თავის დროზე შეპირებული ავტორალისთვის თვლი მიეღვენებინა.

პრეზიდენტმა ავტომანქანაში მძღოლის გვერდით მოიკალათა და ესკორტმაც დიდი სისწრაფით წაღწევისკენ გასწავა.

საკაშვილის სტუმრობის თაობაზე მოსახლეობისთვის ადრევე იყო ცნობილი და გზის გასწვრივ შეკრებილი ხალხი სიხარულით ესალმებოდა პრეზიდენტს. ერთ-ერთ სოფელში მას ყვავილების მთელი თაიგულები გადაუყარეს.

პრეზიდენტს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხალხი წაღწევის შესასვლელთან დახვდა.

და, რბოლისთვის გამზადებულ ავტომანქანებთან ერთად.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გზად თვალი ალაგ-ალაგ აცვნილ ასფალტის საფარსაც მოვკარით, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ახალი ფენა პრეზიდენტის სტუმრობის წინადაღეს „დააკრეს“.



წაღწევისაში, მანქანიდან გადმოსული სააკაშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, „ხალხში გავიდა“, წაღწევისკენ სევის ჩამორთმევითა და პირზე კონცით მიესალმა და მათგან საპასუხოდ, ტრადიციული „მიშა, მიშა“ და „მიშა, წაღწევისა შენთანაა“ მიიღო.

მოსახლეობა უკმაყოფილება-საც გამოთქვამდა, პრეზიდენტთან ახლოს ვერ მივდივართო. გულის ჯავრი უფრანლისტებსაც საკმაოდ გვეანთხიეს, აქ რას დაესივთ, პრეზიდენტი თბილისში არ გაყავთო.

ხალხთან მისაღების შემდეგ სააკაშვილმა სახელდახელო ტრიბუნიდან მოსახლეობას „თავისი სათქმელიც“ უთხრა.

— ჩემთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე, იმის გამო რომ, დაპირებული სიტყვა შევასრულეთ. რევოლუცია ორი წლის წინ-

ინც არის გზები, ელექტროენერგია და განათლება.

დღეს ჩვენ ვხსნი ამ გზას. მე დაგპირდით, რომ იქნებოდა ავტორალი და არის ავტორალი, ხოლო ამ გზამ ჩვენ ყველანი უსიკვდილოდ უნდა ჩაგვიყვანოს აფხაზეთში — გაახსენა ხალხს პრეზიდენტმა ასრულებული ძველი დაპირება და ახალი დაპირებებიც გვარიაანად აავსო.

ამის შემდეგ სააკაშვილმა თავზე წითელი ქუდი დაიხურა, წარწერით „რალი-წაღწევისა“, ხელთ დროშა იპყრო და „საჯირითოდ“ შემართულ ავტომობილებს წინაშე მისცა, დროაო.

პრეზიდენტის წინაშე მანქანებმა სისწრაფე აკრიფეს და ჩხორწყუს-სენაკის მიმართულებით გაქანდნენ.

ავტომობილებს პრეზიდენტის ესკორტიც უკან მიჰყვა, გზად სააკაშვილი რამდენიმე სოფელში გაჩერდა, ხალხს მიესალმა და მათგან წერილებიც მიიღო.

საღამოხანს ბატონმა მიხეილმა სამეგრელო დატოვა, თუმცა მას 20 ნოემბერს ზუგდიდში, ახალი კინოთეატრის გახსნაზეც ელოდებოდა.

ჯაბა სუპა

„სრ“ სპე. კორ.

P. S. პრეზიდენტი სამეგრელოში მარტო არ ჩასულა, მას თან ამალაც ახლდა. იუსტიციის მინისტრი კოტე კეჭულარია და ზუგდიდელი დეპუტატი ნაზი არონია სააკაშვილს თბილისიდან წამოჰყვინ, გუბერნატორი ზაზა გოროზია კი სენაკის აეროპორტში დახვდა.

პრეზიდენტს გვერდს უმშვენებდნენ მარიკა ვერულაშვილი და ალანა გაგლოვეა.

ჯ. ს.

ადამიანი – თავის ადგილას

სენაკელი „ცეხასედი“

(მესამე გვერდიდან)

პირველად ბატონი ზურაბი ქალაქ სენაკის გამგებელმა, ამჟამად საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა რუსიამ შეამჩნია და საჭიროდ ჩათვალა, იგი ქალაქის მთავარ დეკორატორად დაენიშნა...

ზურაბ ნინუამაც უმაღლეს მოპკიდა ხელი ქალაქის გამგებნიერების საქმეს. მის ცენტრალურ მოედანზე არსებულ ტერიტორიაზე, რასაკვირველია რაიონისა და ქალაქის თავკაცების ხელშეწყობით და ძალისხმევით, მოკლე ხანში — წელიწადნახევარში შექმნილი შექმნა მიკროდენდროლოგიური პარკი, რომელსაც დამთავლიერებლები ასევე „საოცრებათა სამყაროს“ უწოდებენ.

ქალაქის ცენტრში შექმნილი ეს ახალი პარკი ნამდვილად უნიკალურია. აქ დამთავლიერებელი ნახავს პარკის ცენტრში აღმართულ არაჩვეულებრივი სილამაზის „კლდეს“, საიდანაც ჩანქერი ჩამოიღის. ამ ულამაზესი სანახაობის — ქვის ცხოველებისა და ფრინველების პატარ-პატარა ნიმუშებით მონოლითურად შემკობილი კლდის კუნწეროზე — ზის ქვის ბუნებრივი არწივი.

მის წინ არის არაჩვეულებრივი, ასევე ქვისგან შექმნილი აუზი, რომელსაც ორი გადასასვლელი ხიდი ამშვენებს. აუზის „კუნწულზე“ ქვის ორი გედი ზის. ხელოვნურად აგებული მაღალი კლდის ირგვლივ მთელ პარკში განლაგებულია პატარ-პატარა „კლდეებიც“, აქვე მათ ამშვენებენ ასევე ქვისგან შექმნილი გარეული ცხოველები — ლომები, დათვები თავიანთი ბელებით, შვლები, ჯიხვები, რომლებიც ბატონ ზურაბს ერთმანეთთან „დაუშვებობრები“...

პარკში განლაგებულია ქვისგან გაკეთებული გრძელ-გრძელი სკამები ხის ჩუქურთმისა და დომებით, პარკის ირგვლივ ყველა მხარეზე დამონტაჟებულია ქვის ლამაზი საყვავილები და სხვა...

ბატონი ზურაბი ყოველდღიურად თავს დასტრიალებს თავისი ხელით შექმნილ „საოცრებათა სამყაროს“, რომელსაც სენაკში

ჩამოსული სტუმრები დიდი ინტერესით ათვალისწინებენ, დამსახურებულად იწონებენ და მის შემქმნელს მარჯვენას ულოცავენ...

ამ სიმშვენიერის ავტორს ამჟამად მრავალ მიწვევას სთავაზობენ უცხოეთში, მაგრამ ის იქ წასვლას და სამშობლოს მიტოვებას არ ფიქრობს. მისი ოცნებაა, კვლავ ნაყოფიერად გააგრძელოს ასეთ უნიკალურ სანახაობათა შექმნა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში...

ჩვენ კი ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს ვუსურვებდით ბატონ ზურაბს თავის მოღვაწეობაში, თან დავსძენდით, რომ სასურველია, მისი ასეთი ნიჭი და უნარი ჩვენს ქვეყნის დედაქალაქის, ასევე სხვა ქალაქებისა და ადგილების იერსახის გამშვენიერების საქმეშიც იქნეს გამოყენებული.

იოსებ გოჯაჩია, „სრ“ საკ. კორ.

ინფორმაცია

პლაკატები, წარწერები

„სასაფლაო“

„გუშინ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე გამოჩნდა ორი პლაკატი წარწერით — „სასაფლაო“. იგი დაუდგენელმა პირებმა ე.წ. „პეპელასთან“ და აეროპორტის ხიდათა გამოაკ-



რეს. როგორც „მედიანიუსს“ ქალაქის პრეზიდენტმა თემურ ქურხულმა განუცხადა, მან დღევანდელი შემთხვევის შესახებ არაფერი იცის. საეჭვო წარწერებზე კომენტარს არ აკეთებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურშიც.

დედაქალაქის ისან-სამგორის რაიონის გამგებანაში კი „მედიანიუსს“ განუცხადეს, რომ პლაკატების აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ ეცნობა თბილისის მერიის კეთილშინდობისა და ზედამხედველობის სამსახურებსა და ისანი-სამგორის რაიონის პოლიციას.

„ამის შემდეგ შესაბამის ზომებს უკვე ეს უწყებები მიიღებენ,“ — აღნიშნეს გამგებანაში.

როგორც „მედიანიუსს“ კეთილშინდობის საქალაქო სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა განუცხადა, მან უკვე გაგზავნა თანამშრომლები პლაკატების ჩამოსახსნელად.

კობა სუბელიანს უჭირს იმის კომენტირება, თუ რასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქალაქში მსგავსი პლაკატების გამოჩენა.

ყალბი პასპორტი

უემოსვლას

ცდილობდა

რემიონული სამმართველო „აჭარის“ სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში“, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლას ყალბი პასპორტით ცდილობდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევები.

თბილისის აეროპორტში კი, რეისზე „მოსკოვი-თბილისი“ სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

აღმოჩენილია

ორი გვაბი

ბაღის რაიონის სოფელ ნაბაკევისა და სიდის საზღვართან აღმოჩენილია ორი გვაბი. გარდაცვლილები, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღით არიან მოკლულები.

გერჯერობით დაუდგენელია დაღუპულების ვინაობა.

როგორც გალის ლეგიტიმური გამგებობის ხელმძღვანელმა ბადრი ბულისკირიამ განაცხადა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მოკლულები ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღმოაჩინეს.

ბულისკირიას თქმით, გერჯერობით გაურკვეველია მათი ეროვნება, თუმცა სოფლის მახლობლობისა და სიახლო-



დ. სენაკის ცენტრში ზურაბ ნინუას მიერ შექმნილი მიკრო-დენდროლოგიური პარკის რამდენიმე ფრაგმენტი.

ბით, ერთ-ერთი მოკლული, სავარაუდოდ, რუსი ეროვნების

მხატვრობა

ესი თემა 25 წლის კახისკურს

ამ დღეებში თბილისის პოლიციის თანამშრომლებმა ერთ-ერთი ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფება დააკავეს. მისი წევრები კერძო კომპანიის ტაქსებს ტელეფონით იძახებდნენ, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღის და დასაძინებელი გაზის გამოყენებით ქურდავდნენ. ბოლო ერთი თვის მანძილზე ასე 25 ტაქსი გაძარცვეს. ამ ჯგუფიდან პოლიციამ ოთხჯერ ნასამართლევი გიორგი ბერუაშვილი (მეტსახელად „ხათაბლა“) და ორჯერ ნასამართლევი უშანგი ზალაშვილი დააკავეს.

ამავე დღეებში ჩხეიძის ქუჩაზე თბილისის პოლიციის თანამშრომლებმა მსგავსი საქმიანობით ცნობილი კიდეც ერთი, დედაქალაქში მოქმედი შეიარაღებული ორგანიზებული „დანაშაულებრივი“ ჯგუფის ლიდერი, ადრე ნასამართლევი დავით ბოკერია (მეტსახელად „ჩინო“) გააბეს. ის ვინმე „დათოსთან“ და „მერასთან“ ერთად აჩერებდა ტაქსებს და შემდეგ ძარცვავდა.



ერთ-ერთი დაზარალებული ვლადიმერ მაშაკაშვილია, რომელიც მეტროსადგურ „მარჯანიშვილთან“ გაჩერეს და გასაქურდად წუცუბიძის მეოთხე მიკრორაიონში აიყვანეს. მას ფულთან ერთად მობილურიც გასტაცეს. თუმცა მაშაკაშვილის ამის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებია. მისი ტელეფონით კი ჯგუფის წევრებმა 5 ნომერს მეტრო „რუსთაველთან“ ფირმა „ლანსი“ ტაქსი გამოიძახეს და მისი მძღოლი აქვსენტი ზაზაშვილი გაძარცვეს.

მომდევნო დღეებში, მოპარული ტელეფონებით და იგივე მეთოდებით უამრავი ტაქსის მძღოლი გაქურდეს, მათ შორის კერძო ტაქსის მძღოლი შალვა მაღალაშვილი, შპს „ტოიოტას“ მძღოლი ელდარ ნადირაძე, კერძო ტაქსის მძღოლი გოჩა გიორგაძე, შემდეგ კი ისევ შპს „ტოიოტას“ მძღოლი ლევან მარანაგი, რომლის გაძარცვაც „ჩინოსთვის“ ბოლო აღმოჩნდა. პოლიციამ იგი წინასწარი დაკავების იზოლაციაში გადაიყვანა. ვითომ ამით შეწყდება ტაქსისტთა დაყაჩაღება?

ლელა მანავლიშვილი

მართალი

თუ თული ატ გადავს...

პარლამენტს მოყოლილი ხელისუფლება მალე რევოლუციის ორი წლისთვის იზიარებს. საზოგადოების დიდ ნაწილს კი ნამდვილად არ ეზიარება. დანაპირების შესრულების მომლოდინე ხალხს იმედი დღითიდღე უტრუნდება. გვარნამუნებენ, რომ უკვე კარგა ხანია სამედიცინო სფეროში სიტუაცია მოგვარდა. მართალია სასწრაფო დახმარება უფასო გახდა, ამ სამსახურს ახალი რეანომობილებიც გადაეცა, მაგრამ ამის იქით იმდენი გასაჭირია, რომ საამაყო არაფერი გვაქვს. დღემთა ნუ ქნას და, უფულო კაცი თუ ავად გახდა, მისი მიმხედველი არავინ იქნება. უფრო კონკრეტულად კი თბილისის მე-8 საავადმყოფოში არსებულ ვითარებაზე ვიტყვი.

საშემი ქირურგიულ განყოფილებაში გამეფებულ გამოცინვას ეხება. ამ განყოფილებაში თავისი ბიზნესი აქვთ ანტიტრებს და ექთნებს. შენი მდგომარეობა არც ანტიტრებს. ყველა პალატაში შედიან, თითოეული ავადმყოფის პატრონს სანიტარი 5 ლარს, ექთანი კი — 10 ლარს ურცხვად, მოურიდებლად სთხოვს. სანიტარს თუ არ შეეხვეწე, თუ ქრთამი არ მიეცი, ოთახსაც არ დაალაგებს. მათმა საქციელმა დამზავრა და ვკითხვ, ფულის მოთხოვნას ასე ურცხვად როგორ შედავთ-მეთქი. ექთანმა მიპასუხა, ხელფასი თვეში 20 ლარი მაქვს და შვილები როგორ შევიწახოო. სანიტარი კი თურმე თვეში 8 ლარს იღებს. არადა, ოპერაციებში საკმაოდ დიდ ფულს ახდენენ. გამიკვირდა, სად მიდის-მეთქი ამხელა ფული? ამის შემდეგ ერთ-ერთი მედდა გულახდილად გამესაუბრა. თურმე ნუ იტყვიო-და, „ობ-შიაკი“ ამ სფეროშიც არსებობს, ალებული ფული რამდენიმე კაცზე ნაწილდება.


ეგ, არ გახდეთ ავად, თორემ... თქვენი მშველელი არავინ იქნება!

ლელა ციციშვილი

სენსაცია

ჩესთი რარნეკ კადელს აბაზს?

სამ კვირაზე მეტია, საფრანგეთს ცეცხლი უკიდია. ორი არაბი ბიჭუნას შემთხვევით დალუპვის გამო, ემიგრანტებმა ეს უმშვენიერესი ქვეყანა ლამის ფერფლად აქციონ. აბუ-ტებულეები ვერ დააშოშმინა ვერც შინაგან საქმეთა მინისტრის ნიკოლა სარკოზის მუქარამ და ვერც პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მუდარამ. წავავენ ავტომანქანებს, კაფებს, სკოლებს, ოფისებს, ეკლესიებს... საშოშოშოშო ჯანყი გადავიდა გერმანიაშიც, ბელგიაშიც... შემფოთებული ბევრი სხვა ქვეყანაც, მათ შორის რუსეთიც. აქაური მასმედიის აზრით, საფრანგეთი იძირება, ევროპა კი გაფართოებული თვალეებით უცქერის მას და კითხულობს, — ხომ არ ჩაიძირება საფრანგეთთან ერთად მთელი კონტინენტი?



ესპერტები ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი ამ მოვლენებამდე მიიყვანა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების უგულვებლყოფამ, კერძოდ, უმუშევრობამ, რასობრივმა დისკრიმინაციამ, სოციალურმა დაუცველობამ... ამის საკმაო ნიშნები რუსეთშიც მოიძებნება. ამიტომ ხელისუფლება წინასწარ ცდილობს „პროფილაქტიკური ღონისძიებების“ განხორციელებას, ფართომასშტაბიანი აქციების დაბლოკვას, ფრანგული ვარიანტის აღკვეთას...

ამ „პროფილაქტიკური ღონისძიებების“ ერთ შემადგენელი ნაწილი ყოფილა... რკინაბეტონის მესერში ჩენთვის ჩასმა. კონკრეტულად, პრეზიდენტ პუტინის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამხრეთ ოლქში დიმიტრი კოზაკი მოულოდნელად გაფრენილა ისრაელში, რათა დანერვილებითი ცნობები მიიღოს პალესტინის გასწვრივ აგებული 100-კილომეტრიანი უსაფრთხოების კედლის შესახებ. ისრაელი ამ კედლით ფიქრობს პალესტინელ ტერორისტთა შეკავებას, შესაბამისად, რუსეთიც ფიქრობს ჩენ ტერორისტთა გალიაში გამოშვებას.

როგორც რუსული პრესა იუწყება, დიმიტრი კოზაკი შეხვედრის ისრაელის პრემიერს არიელ შარონს და შინაგანი უსაფრთხოების მინისტრს გიდეონ ეზროის. მანამდე რუსეთის სპეცსამსახურებს ურთიერთობა ჰქონიათ ისრაელის პოლიციის ყოფილ შეფთან შლომო აარონიშთან. სწორედ მას მოუწყვია დიმიტრი კოზაკის ისრაელში ჩაფრენაც და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაც. იგი ადასტურებს, რომ რუსეთი ნამდვილად

აპირებს უსაფრთხოების კედლის აგებას ჩენეთში. ეტყობა, რუსეთს უპირველესად ადარდებს კედლის აგება ჩენეთ-საქართველოს საზღვარზე. ეს მთიანი ადგილია, ძნელად მისასვლელი. თანაც იქ ისეთ კედელს ვერ ააგებ, როგორც ეს ისრაელშია ან ბერლინში იყო. ჩენეთი ტერორისტები ისეთი სხარტები და მამაცები არიან, მასეთ კედლებს ფეხის ერთი დაკვრით თავს გადაეფლებიანო. ჩინეთის კედლის მსგავსი ბარიერის აგება კი ძალიან ძვირი დაგვიჯდებაო.

ხედავთ? რუსეთს ძირითადი საშიშროება თურმე საქართველოდან ელის. აქ, სწორედ ამ პარამეტრზეა საქირო საშუალოდ 6 მეტრი სიგანისა და 9 მეტრი სიმაღლის კედლის აგება, რომელსაც ალაგ-ალაგ „დაამშვენებს“ კაზემატებიც, სადარაჯო კოშკებიც და საომარი ციხე-სიმაგრეებიც...

ისე, ჩვენ რომ აწყობილი ქვეყნები გვეგონა, მთლად ეგრეც არ ყოფილა. ბოლო ხანს, ძალზე მტკიცეული პრობლემები გამოიშვეურდა ამერიკაშიც, გერმანიაშიც, საფრანგეთშიც... ესენი რუსეთთან შედარებით ანგელოზები არიან. თუ იქ ასეთი მღელვარებებია, მაშ, რაღა იქნება რუსეთში? ეს უხეთქავს გულს იმპერიას.

ნახეთ, ეროვნებით რუსი, „ალფას“ ყოფილი უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი გენადი ზაიცევი ამბობს: — ჭკუა უნდა ვისწავლოთ, ეროვნულ უმცირესობებთან ძალით კი არა, გონებით ვილაპარაკოთ, მათი ინტერესები გავითვალისწინოთ. აი, ეროვნებით ჩენეთი, ამ რესპუბლიკის ვიცეპრემიერი რამზან კადიროვი კი მკვდრე მჯიღს იცემა: — ვინც რუსეთში ფრანგულ ვარიანტს წამოიწყებს, ან თვალის დაუსამხამებლად უნდა დაევიწყოთ, ან გაუსამართლებლად სამუდამოდ ციხეში გამოვკეტოთ...

მოკლედ, ცხარე დებატები მიდის ჩენეთის ყოველი მხრიდან ამოღობვაზე. მე მგონი, მადლობელიც ვიქნებით, თუ რუსეთი საქართველოს საზღვართან მარტულად ჩინურ კედელს გაავლებს და ჩვენს დასაზღვრებას ამერიიდან მაინც თავს დაანებებს.

გონდო გულიაშვილი

სრულიად სერიოზულად

ბატები ხმელეთზე ისრჩობიან

„კაითილი ინიციატივა“ გამოიჩინა საქართველოს სანიტარიულმა სამსახურმა. მან, სულ რაღაც 2 საათში, საბურთალოს ერთ პატარა უბანში (სადაც ტექნიკური უნივერსიტეტია!) 2 ათასი შპრიცი „მოხიკა“ და მერე ასფალტის სატკეპნით საზეიმოდ დალენა. აცხადებენ, ეს არისო ერთ-ერთი გზა ნარკომანიის დასამარცხებლად!

მე პირადად ვერ გამოვიდა, როგორ არის ნახმარი შპრიცების წამოკრეფა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა? თუ კაცი „ნამალს“ გაიჩხვავს, კაიფში წავა და მერე შპრიცს მოის-



ვრის, რაღა აზრი აქვს ამ შპრიცის შეგროვებას? ააა, სხვამ არ აიღოს და ახლა იმან არ გაიჩხვროს? ასეთი შეიძლება იყოს ათასში ერთი. ეს საგანგაშო არაა, იმ ერთს მოვევლება. რა ეშველება იმ ასი ათასებს, რომლებიც სუფთა შპრიცს ხმარობენ?

ჩენი საზოგადოება ნელ-ნელა ეჩვევა იმ აზრს, რომ დასაძრახი აღარაა აღარც ნარკომანობა და აღარც მრუშობა. პირიქით, მისაბაძია, სამაგალითოა ის, ვინც წამალს სინჯავს, ვინც ბოიფრენდს იძენს... ამ დაუსაქმებელ თინეიჯერებს მეტი რაღა უნდა?

ჰო, სიტყვამ მოიტანა და, ნარკომანიის თანამდევია პროსტიტუცია. შპრიცების გვერდით ქუჩებში ბლომად ყრია პრეზერვატივებიც. როდის დავიწყებთ მათ შეგროვებას? როგორც ამბობენ, ბავშვებს ისინი ბუშტები ჰგონიან და ბერკით იტანჯებიან, ბატებს კი — ნაფცქვენები ჰგონიათ და ყლაპვით ისრჩობიან. ბავშვები თუ არა, ბატები მაინც არ გეცოდებათ?

ბადრი ღვინიაშვილი

ნეტავ, რას ფიქრობენ

დავლაგებლები არიან

თუ პროფესორები?

ახალბუნ გაიფიცნენ ბრიტანეთის პარლამენტის დამლაგებლები. მათ აღარ აკმაყოფილებთ საათში 5,2 გირვანქა სტერლინგის (9,1 დოლარის) ანაზღაურება და ითხოვენ საათში 6,7 გირვანქა სტერლინგის (11,6 დოლარის) გადახდას. მათ მხარს უჭერს პარლამენტის 20 წევრი ლეიბორისტული პარტიიდან. გაფიცულთა სურვილია პენსიის, საავადმყოფო ხარჯებისა და უქმე დღეების ანაზღაურების მომატებაც. ხელისუფლებამ დამლაგებლებს უკვე შესთავაზა საკმაოდ მაღალი თანხები. ნეტა, ასეთი პირობები როდის შეექმნებათ ჩვენს პროფესორებს? აქაური ლეიბორისტები ხომ მათ გვერდით დგანან...

ქალები უფრო

პროფესორები ყოფილან

ლიბირის ლიდერს, მსოფლიო შფოთისთავს მუამარ კადაფს მცველად ქალები ჰყავს. ახლა მის მაგალითს მიბაძა კოტ დ'ივუარის პრეზიდენტმა ლორან გბაგბომ, რომელმაც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 300 ქალი დაიქირავა.



აფრიკის ჩრდილოეთსა და აზიის აღმოსავლეთში შექმნილი სტერეოტიპების თანახმად, ქალები უფრო ერთგულები არიან ხელისუფლების მიმართ, ვიდრე კაცები. ისინი თურმე იარაღსაც უკეთ ფლობენ. ნეტა, რა აზრის იქნება ამაზე ჩენი პრეზიდენტი? აქ რომ ამორჩალები იყვნენ, ისეთები არც აფრიკას დაესიზმრება და არც აზიას. თანამედროვე იარაღის ათვისებას კი რა უნდა, — აგერ არაა რეზერვისტთა ბანაკები!

მაღლი ძირშივე მოგვპოთ

სადღისოდ რუსეთის კადეტთა კორპუსში სწავლობს 250 მოზარდი. ესენი ძირითადად არიან დალუპული ოფიცრების, ხელმოკლე ოჯახების შვილები. სავალდებულო სასკოლო პროგრამასთან ერთად მათ ასწავლიან კომპიუტერს, ორ უცხო ენას; ისტორიის სწავლება და ფიზიკური აღზრდა გაძლიერებულია. დამთავრების შემდეგ მათ უნდადენ რუსეთის ერთგულ შვილებს, ნამდვილ პატრიოტებს. ეს მათ საქმით დაამტკიცეს. ამიტომ მომავალი წლიდან ახალ შენობას მიუმატებენ და დამატებით კიდევ 250 ბიჭს მიიღებენ. ნეტა, ეს არაფერს ეუბნება ჩვენს იმ ხელისუფალთ, რომელთაც აქ კადეტთა კორპუსი საერთოდ გააუქმეს და მართლაც პატრიოტთა სამჭედლო სამუდამოდ დახურეს? მეტი სიკეთე რა უნდა გაგვეკეთებინა უმწეო პატარებისთვის?

ასეთი თანასწორობას

რა ვუთხარი

პოლანდიის მთავრობამ გადანყვიტა ქალთა საპენსიო ასაკი 60 წლიდან 58 წლამდე ჩამოსწიოს. მართალია ამ გადანყვიტლებას აზრთა სხვადასხვაობა თვით პენსიონერებშიც მოჰყვა მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც მისასალმებელია სუსტი სქესის მართათ ასეთი ჰუმანური ნაბიჯის გადადგმა.

საქართველოს წინა ხელისუფლებამ ქალთა საპენსიო ასაკი 55-დან 60-მდე ასწია. ახალი ხელისუფლება კი აპირებს ამ ასაკის 65 წლამდე გაზრდას, ესე იგი, მამაკაცებთან გათანასწორებას, ნეტა, რითი უნდა ირჩინონ თავი 60 წელს მიღწეულმა ქალებმა, რომლებიც პენსიის (თუნდაც 28 ლარის) მიღებას ელოდნენ, მაგრამ ვადა კიდევ 5 წლით გადაუწიეს?



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენი

თბილისის დაბრუნება

საპარტიზმოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დელეგაციამ უარი თქვა დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაში მონაწილეობაზე, რომელიც ამ დღეებში სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა. პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის თქმით, დელეგაციამ ასეთი ნაბიჯი გადადგა იმიტომ, რომ „რუსეთის მხარე განაგრძობს არ მიეცა ვიზა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძისთვის მოსკოვის მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ მისი კრიტიკული გამოხატულების გამო“.

თვით თარგამაძე კი აცხადებს, რომ კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას თავისი სიტყვებისთვის, მზად არის გაიმეოროს ეს ნებისმიერ დროს და არ მიიჩნევს, რომ თავისი გამოხატულებით რაიმე შეურაცხყოფას აყენებს რუსეთის სახელმწიფოს.

რალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სულ ცოტა, 120 დივიზიონი? თარგამაძის მტკიცებით, სწორედ მათ განახორციელეს თებერვალში ტერორისტული აქტი ქალაქ გორში და სწორედ ამ ადამიანებმა მოამზადეს და განვრთნეს კარგად ცნობილი არუთინიანი, რომელმაც პრეზიდენტ ბუშს ესროლა ხელყუმბარა, საბედნიეროდ, რომ არ აფეთქებულა. ამ ნუსხის გაგრძელება კიდევ შეიძლება...



საინტერესოა, რის გამოც ორგანოს აპირებს ბატონი თარგამაძე? იმას ხომ არა, რომ 2004 წლის ზაფხულში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირების დროს, მისი მტკიცებით, რუსეთი მზად იყო სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე შეეყვანა თავისი რეგულარული ქვედანაყოფები საქართველოს წინააღმდეგ უშუალო აგრესიის მიზნით? ან იქნებ იმას, რომ ბატონი თარგამაძის თქმით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენე-



ოლეგ გორუბანი, „კრასნაია ზვეზდა“, 18 ნოემბერი.

ნაია ზვეზდას“ თბილისის რუსეთის საელჩოში. მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებაში ხაზგასმულია: „ლაპარაკი იმის თაობაზე, თითქოს ვინმეს არ სურდა საქართველოს წარმომადგენლები ეხილათ სანკტ-პეტერბურგში, აბსოლუტურად უსაფუძვლოა“. შემდეგ დოკუმენტში აღნიშნულია: „რუსეთში შესასვლელი ვიზები გასცეს საქართველოს დელეგაციის ყველა წევრის, მათ შორის, ჟურნალისტების სახელზეც. რაც შეეხება თარგამაძეს, თავდაპირველად მას უარი განუცხადეს ვიზის გაცემაზე, მაგრამ საკითხის ხელახალი განხილვის შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მის ვიზას გააფორმებდნენ ან რუსეთის ფედერაციის საელჩოში, ან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩასვლის შემდეგ, ამიტომ, დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიაში მონაწილეობაზე უარის თქმა, არ უნდა დაეკავშიროთ საიზო პრობლემას, და, როგორც ჩანს, ამას სხვა მიზეზები უნდა ჰქონდეს“.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ასეთი ფაქტი: წინა დღით, თბილისში ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე აპირებდნენ გამოეტანათ ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილეების გეგმა. კერძოდ, ნინო ბურჯანაძეს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ დელეგაცია სანკტ-პეტერბურ-

გში წარადგენდა კონფლიქტის მონაწილეების გეგმას და საპარლამენტო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს განსახილველად შესთავაზებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებს. მაგრამ, თბილისმა რაღაც ვერ გათვალა. შესაძლოა, მისი გეგმა არ მოინონეს დასავლეთის იმ წრეებმა, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება გაუმდებობაში მიმართავს ამ ბოლო ხანებში. ყოველ შემთხვევაში, ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილეების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე, რომელიც სლოვენის დედაქალაქ ლუბლიანაში მიმდინარეობდა, ამ კომისიის თანათავმჯდომარემ საქართველოს მხრიდან გიორგი ხაინდრავამ უარი თქვა არსებული ფორმით კომისიის შემადგენლობაში მუშაობის გაგრძელებაზე (თუმცა, მოგვიანებით მან გადაიფიქრა ამის გაკეთება), დაადანაშაულა რა თავისი კოლეგები — თანათავმჯდომარეები რუსეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მხრიდან — დეტრუქციული ხასიათისა და იმას, რომ მათ არ სურთ რაიმე პრაქტიკული შედეგის მიღწევა მოლაპარაკების პროცესში. ამას კი უკვე მოჰყვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი არ ჩავიდობა სანკტ-პეტერბურგში.

ასე რომ, ჩვენ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ დემარშთან. ამის დადასტურება, ასევე, ქართველი პოლიტიკოსების, მათ შორის, თვით ქალბატონ ბურჯანაძის მიერ გაკეთებული განცხადებებიც, რომლებიც იმუქრებიან, რომ მიიღებენ ადეკვატურ ზომებს და შეადგენენ იმ რუს პოლიტიკოსთა „შავ სიებს“, რომლებსაც აეკრძალებათ საქართველოში ჩასვლა.

ინფორმაცია



ვის უნდა გაამიჯნოს რუსეთი?

ასეთი კითხვა დაუსვეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მიერ განხორციელებული გამოკითხვის მონაწილეებს.

რესპონდენტთა 42 პროცენტს მიაჩნია, რომ პირიქით, თვით რუსეთელებმა უნდა გაიყვანონ გვირაბი რომელიც თბილისი და მდინარე ქვეყნის მიმართულებით.

გამოკითხულთა 30 პროცენტის აზრით, რუსეთი თხელი ბადით უნდა გამოიყოს ჩინეთს. პოლონელებისა და ბალტიისპირელებისგან რკინის ფარდით გამოყოფის მომხრე იყო 18 პროცენტი. 10 პროცენტს კი მიაჩნია, რომ რუსეთს უნდა გადააფარონ „მინის ხუფი“, რათა იგი იზოლირებული იყოს ყველა დანარჩენისგან.

აგვისიები ძალაუფლებაზე ძვირად ფასობს

მას შემდეგ, რაც ყოფილი სსრ კავშირის სივრცე გადაიქცა დიდი პოლიტიკის ასპარეზად, აქტიურობის და, შესაბამისად, მსოფლიო ყურადღების ცენტრშიც წელს ნელ-ნელა გადაინაცვლა ერთი რეგიონიდან მეორეში. როგორც ჩანს, მომავალ წელს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდეთ სამხრეთ კავკასიაში. რუსეთს დასჭირდება ხელახლა გაიაზროს თავისი კურსი ამ მიმართულებით, თუმცა, საამის პირობები გაცილებით უფრო ნაკლებად ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ორიოდე წლის წინათ.

ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთის პოლიტიკა ხელმძღვანელობდა იმით, რომ მოსკოვს ამ რეგიონში უნდა უზრუნველყო სტატუს-კვოს შენარჩუნება როგორც პოლიტიკური (უნინარეს ყოვლისა, ეს ეხება საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე თვითაღიარებულ სახელმწიფოთა პრობლემებს), ისე ეკონომიკური თვალსაზრისით (მიუხედავად თავისი ენერგეტიკული დომინირების შენარჩუნებისთვის). ასეთი სტრატეგია წარსულშიც ბოლომდე ვერ ამართლებდა, მომავლისთვის კი, ალბათ, საერთოდ აღარ ივარგებს.

როგორც მოელიან, აზერბაიჯანული ნავთობი უკვე ორშაბათს გადაკვეთს საქართველო-თურქეთის საზღვარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, უახლოეს თვეებში კი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსაც მიაღწევს. დასკვნით სტადიაშია მოლაპარაკება ამ ნავთობსადენთან ყაზახეთის შეერთების შესახებ — ვარაუდობენ, რომ 2008 წლიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირებული 50 მილიონი ტონა ნავთობიდან 20 მილიონი ტონა მოვა ყაზახეთის კავშირის სახაზის ნილადა. თუ ყოველივე ეს განხორციელდება, მაშინ, წარმა-

ტებით შეესმება ხორცი მსოფლიო ბაზრებზე რუსეთის გვერდის ავლით კასპიის ნედლეულის გატანის პროექტს, რომელიც ჯერ კიდევ წინა ათწლეულში ჩაიფიქრეს. ალბათ, კასპიის რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეები ვერ გადაჭრის მსოფლიო ბაზრის პრობლემებს, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სრულმასშტაბიანი ამოქმედება დიდ გავლენას მოახდენს პოლიტიკურ კლიმატზე.

„უახლოესი მომავლისთვის აზერბაიჯანი გახდება ძალზე მდიდარი სახელმწიფო“, — განაცხადა ამ ცოტა ხნის წინათ აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა სამირ შარიფოვმა. „ოქროს წვიმა“, რომელსაც ქვეყანას მოუტანს ნავთობი მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურის წყალობით, ხელს შეუწყობს არამარტო პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტების გამდიდრებას, არამედ ცვლილებებსაც მათ თვითშეგნებაში. საქმე მარტო ის არ არის, რომ სახელმწიფო დააგროვებს მნიშვნელოვანი მოცულობის სახსრებს, რომლებიც შეძლებენ თავისებური ამორტიზატორის როლის შესრულებას ამა თუ იმ კრიზისის დროს.

იმის შეგნება, რომ ნახშირწყალბადიანი ნედლეულზე კვლავ უდიდესი მოთხოვნილება იქნება მსოფლიო ბაზარზე, ნავთობის მაგნატებს შემატებს რწმუნას ძლიერ ოპონენტებთან ურთიერთობაში და გაუხსნის მათ სივრცეს მანევრირებისთვის.

ხოლო ეს მაგნატები თუ დადგებიან „სწორ“ გეოპოლიტიკურ მხარეზე (იგულისხმება შერეობული შტატების მხარე), მათ სავსებით არხეინად შეუძლიათ იგრძნონ თავი. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა აზერბაიჯანში გამოართული არჩევნების შედეგები, სა-

დაც, როგორც იტყვიან, ჰაერში აორთქლდა „ფერადი რევოლუციონის“ ანრდილი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ცვლილებებმა რუსეთს ასეთი შედეგები შეიძლება მოუტანოს.

საქართველოს, რომლის ტერიტორიაზეც გაივლის ნედლეულის ნაკადი, გამოუჩნდება ჯერჯერობით საკმაოდ სუსტი, მაგრამ მაინც რეალური ენერგეტიკული ალტერნატივა. ამ სფეროში თბილისის სრული დამოკიდებულება მოსკოვზე, აქამდე გარკვეულწილად მაინც აკავებდა საქართველოს ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯების გადადგმისგან. ამ დამოკიდებულების ნდობის შემცირება კი მხოლოდ განამტკიცებს რუსეთისგან საქართველოს ჩამოშორების კურსს.

ყველა რეგიონულ კონფლიქტს (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი და ნებისმიერი სხვა შესაძლო) დასავლეთის სახელმწიფოებისთვის უკვე მიენიჭება სტრატეგიულად მნიშვნელოვანის სტატუსი, რადგან მათ შეუძლიათ შეუქმნან რეალური საფრთხე რუსურების ტრანსპორტირებას. მაშასადამე, ვეღარ მოხერხდება ვითარების შენარჩუნება ამჟამინდელი გაყინული სახით. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მანამდე, სანამ მსოფლიოს უდიდესი „მოთამაშეები“, პრინციპში, არ იყვნენ დაინტერესებული თვითგამოცხადებულ ანკლავებში მიმდინარე პროცესებით.

პრაქტიკაში კი ეს ნიშნავს მშვიდობისმყოფლობის ინტერნაციონალიზაციისკენ აღებულ გეზს, ანუ რუსი სამშვიდობოების შეცვლას საერთაშორისო ძალებით.

ცხადია, ეს პროცესი ნელი და საკმაოდ ხანგრძლივი იქნება, რადგან, რისკზე წასვლა და ახალი ომის გაჩაღება დასავლეთის ნამდვილად არ სურს. მაგრამ რუსეთს ხომ ძალზე უმნიშვნელო საფუძველი გააჩ-

ნია იმისთვის, რომ როგორმე შეუშალოს ხელი ფორმატის შეცვლას. თბილისი კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთის მონოპოლიას ამ საკითხში, საქართველოს აზრს კი საერთაშორისო გაერთიანების თვალში მუდამ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

რა თქმა უნდა, რუსეთს დარჩება მრავალი კოზირი ამ თვითაღიარებული სახელმწიფოების მცხოვრებთა პოზიციის სახით, რომლებიც, ადგილობრივ ხელი-სუფალთა მტკიცებით, მხოლოდ მოსკოვს ენდობიან. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ დასავლეთის წარმომადგენლებმა სოხუმსა და ცხინვალს შესთავაზონ რაღაც ისეთი, რაც მათთვის ნამდვილად მიმზიდველი გახდება?

იმაზე, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ კოსოვოს სტატუსის შესახებ, მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული პოსტსაბჭოური ანკლავების ბედიც. თუ სერბების შემადგენლობაში ფორმალურად შემავალი ეს ავტონომიური მხარე მიიღებს დამოუკიდებლობის რაღაც ფორმას საერთაშორისო გარანტიებით, მაშინ, ამ გზაზე მწვანე შუქი ანთებათ სხვა თვითგამოცხადებულ ტერიტორიებსაც. ანუ, რუსეთში შეიძლება გახდეს გარანტი, მაგრამ უკვე მხოლოდ ერთ-ერთი მრავალ გარანტიფაგია.

რით არის დაინტერესებული საქართველოს ხელმძღვანელობა, რომელიც ცდილობს შეამციროს მოსკოვის როლი კონფლიქტების მონაწილეების საქმეში? მისი მიზანია, უჩვენოს დასავლეთს, რომ რუსეთი არის არასაიმედო და განუტყვერებელი პარტნიორი, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის და არ შეუძლია კონსტრუქციული დიალოგის გამართვა. რა თქმა უნდა, მოსკოვი სრულიად სანადავლოდ მდებარეობს რუსეთის ინტერესებში. მაშ, ვის

ფიოდორ ლუკინი, შურნალ „როსია ბლოგალნი ოპიტიკა“ მთავარი რედაქტორი.



ნისქვილზე დაასხა წყალი ქართული პარლამენტარისთვის რუსეთის ვიზის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა? ბუნებრივია, თბილისის წისქვილზე, რომელმაც უკვე ასი პროცენტით გამოიყენა ეს სიტუაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რამ შემთხვევითობა არ გახლავთ — ერთი კვირის წინათ ანალოგიური სკანდალი აგორდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დაკავშირებითაც, რომელმაც ვერ შეძლო სანკტ-პეტერბურგში გამართულ კონფერენციაზე დასწრება. მოსკოვში ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ საქაროა უფრო მკაცრად მოექცეოდა იმ ქვეყნის, რომელიც უდავანა ჩვენი სამშობლოს მტრების ნუსხას (ლევან-ცენტრის მიერ გაზაფხულზე განხორციელებული გამოკითხვის შედეგად ამ სიაში ესტონეთს და საქართველოს შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები უკავიათ). მაგრამ, ძნელი სათქმელია, თუ რას მოიტანს ეს რუსეთისთვის, ამ ქვეყნის რეალური ინტერესებიდან გამომდინარე.

გამოდს, რომ თავისი ინტერესების დაცვისთვის რუსეთს რჩება ერთადერთი შესაძლებლობა: უარი თქვას სხვათა მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე და ყოველმხრივ გააუხიოს წინააღმდეგობა კონფლიქტურ ზონებში რაღაცის მიღწევის მცდელობას. ეს კი დეტრუქციული პოზიციაა, რომელიც იმთავითვე ნამდვილად მიარის თვალსაზრისით. ასე რომ, სრული პოლიტიკური გავლენისთვის ბრძოლაში მოსკოვმა შეიძლება დაკარგოს ყველაფერი, რაც კი სადღესოდ აქვს.

მკლავრი აფეთქებები პრაცუბი

ბაღდადის ერთ-ერთ საცხოვრებელ რაიონში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის მახლობლად აფეთქდა ორი აფეთქებელი, რომლებშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩადებული.

აფეთქების სიმძლავრე იმდენად დიდი იყო, რომ ცაში რამდენიმე ათეულ მეტრზე აიჭრა კვამლის ბოლქვები. ტელევიზიით გადაცემული კადრებიდან ჩანდა, რომ დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, სავალი გზის იმ ნაწილში კი, სადაც გაჩერებული იყო მანქანები, წარმოიქმნა ღრმა ორმოები.

მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით ზუსტი მონაცემები არ გავრცელებულა. იტყობინებიან, მხოლოდ იმას, რომ დაიღუპა ოთხი და დაიჭრა ორმოცამდე ადამიანი. ქალაქის ამ უბნის მცხოვრებლები ცდილობენ სახლების ნანგრევებში იპოვონ თავიანთი ახლობლები და ნათესავები.

თვითმხილველთა თქმით, ორი ავტომობილი მიუახლოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბ-ბინასთან მდებარე შენობას. იქვე სასტუმროც,



რომელშიც ხშირად ჩერდებიან ამერიკელი ჟურნალისტები.

როგორც ცნობილია, კვირას ამერიკელმა ჯარისკაცებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში იპოვეს ნანამებ პატიმართა დიდი ჯგუფი. ამტკიცებენ, რომ ეს ადამიანები სასტიკად აწამეს და სცემეს ერაყელმა პოლიციელებმა.

ხუთშაბათს ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაიან ჯაბრმა განაცხადა, რომ ამ ქვეყნის მთავ-

რობა არ შეურიგდება ერაყის საპრობილემებში პატიმრების წამებას და აბუჩად აგდებას. „მე სასტიკად დავსჯი ყველა მოძალადეს“, — თქვა მინისტრმა.

ამავე დროს, ჯაბრმა ძალზე გაზვიადებული უწოდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საპრობილემში ნაპოვნი 170 პატიმრიდან უმრავლესობა სასტიკად იყო წამებული. მინისტრის თქმით, საქმე ეხება მხოლოდ ნამების რამდენ-

იმე შემთხვევას. ამჟამად მიმდინარეობს ამ ფაქტის ფართომასშტაბიანი გამოძიება, დასძინა მინისტრმა.

თავის მხრივ, ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ჰუსეინ ქამალმა წამოაყენა წინადადება იმის თაობაზე, რომ პატიმრების შესაძლო ნაწილის აღკვეთის მიზნით, ყველა საპრობილემ გადაეცეს მისდამი დაქვემდებარებულ უწყებას.

ხუთშაბათს გავლენიანმა ამერიკელმა კონგრესმენმა, დემოკრატმა ჯონ მურთამ მოითხოვა ამერიკელთა ჯარების დაუყოვნებელი გამოყვანა ერაყიდან.

როგორც საზღვაო ქვეითი ჯარის პოლკოვნიკმა და ვიეტნამის ომის ვეტერანმა მურთამ განაცხადა, ამერიკელები ერაყში ვერაფერს ვეღარ მიადნევენ სამხედრო ძალის გამოყენებით და ასევე იქ სორციელდება ილუზიებზე დაფუძნებული მცდარი პოლიტიკა.

ჯონ მურთა პირველი გავლენიანი კონგრესმენია, რომელმაც მოითხოვა ჯარების დაუყოვნებელი გამოყვანა ერაყიდან, და მისმა ასეთმა განცხადებამ, კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას, რომელიც ცდილობს ერაყში ამერიკელთა სამხედრო ყოფნის შენარჩუნებას.

მოკლად



ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა სტენსფილდ ტერნერმა ადასტურა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში არსებობს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო საპრობილემები, რომლებსაც იყენებენ ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა დაკითხვების დროს. ამ ცენტრების ადგილმდებარეობა ჯერჯერობით არ არის ცნობილი და, ალბათ ამას არავინ არ გაამხელს. მაგრამ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორის ვარაუდით, ერთ-ერთი ქვეყანა, რომელშიც საიდუმლო ციხეებია განლაგებული, შეიძლება იყოს რუმინეთი.



აშსტრიაში პოლიციამ დააკავა ექიმი, რომელიც ფოტოსურათებზე აღზედავდა თავისი პაციენტის ქალების გენიტალიებს. ამ 52 წლის მამაკაცის ვინაობას არ ამხელენ. იგი დააპატიმრეს თავის კერძო კლინიკაში, რომელიც ქალაქ კნიტელფელდში მდებარეობს. ექიმს ბრალად ედება ის, რომ იღებდა თავისი პაციენტების გენიტალიებს, რომელთა შორის არასრულწლოვანი გოგონებიც იყვნენ.

იტალიაში დააკავეს ალყორელში, რომლებიც გეგმავდნენ საკრიზო თბომავლების და თვითმფრინავების აფეთქებას. ამ ადამი-



ანებს სურდათ აფეთქებინათ ისეთივე დიდი ზომის ხომალდი, როგორც იყო „ტიტანიკი“, რათა ამის შედეგად დაღუპულიყო, სულ ცოტა 10 ათასი კაცი მაინც. გარდა ამისა, მათ სურდათ განესორცილებინათ ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი ლონდონში თვითმფრინავის გამოყენებით.

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მოქმედებს უცხოეთის ქვეყნების დაზვერვათა 50 თანამშრომელი, რომელთაგან 30 რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელია. დანარჩენი 20 კაცი კი შეერთებული შტატების, ჩინეთის, დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების დაზვერვათა ოფიცრები.



შრი-ლანკის ახალი პრეზიდენტი ძველის ამაჟამინდელი პრემიერი გახდა

ოფიციალური მონაცემებით, შრი-ლანკაში გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ქვეყნის ამაჟამინდელი პრემიერი-მინისტრმა მაჰინდა რაჯაპაქსემ.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები იტყობინებოდნენ, მან მოიპოვა 4,887,152 ამომრჩევლის ხმა, რაც არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის ნახევარს ოდნავ აღემატება (50,29%).

მაჰინდა რაჯაპაქსემ გაუსწრო თავის მთავარ მეტოქეს — ქვეყნის ყოფილ მთავრობის მეთაურს რანიუ ვაკრემესინგესს, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 48,38 პროცენტის მოგროვება შეძლო. სულ

ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურის არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენა 13 პრეტენდენტი, იტყობინება „ინტერფაქსი“.

ამ ორ პოლიტიკოსს შორის მთავარი განსხვავებაა ის, რომ ისინი სხვადასხვაგვარად უდგებიან შრი-ლანკის ტამილთა უმცირესობით დასახლებულ ნაწილში არსებულ სეპარატიზმის პრობლემებს. მაჰინდა რაჯაპაქსე სეპარატისტთა მიმართ უფრო მკაცრი ღონისძიებების განხორციელების მომხრეა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, შრი-ლანკის 13-მილიონიანი ხმის უფლების მქონე მოსახლეობიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 75 პროცენტმა.



500 ათასი დოლარი - ფულის „გათეთრების“

რუსეთში გადახდის 500 ათას ამერიკულ დოლარს შეერთებულ შტატებში დაპატიმრებული გაეროს თანამშრომლის ვლადიმერ კუზნეცოვის გათავისუფლებისთვის. ამ ადამიანს ბრალად ედება უკანონო გზით მიღებული ფუ-

ლადი სახსრების „გათეთრება“. თვით კუზნეცოვი თავს ბრალეულად არ თვლის და აცხადებს, რომ გაეროში მუშაობის დროს მის საქმიანობას „აბსოლუტურად გამჭვირვალე ხასიათი ჰქონდა“.



პუტინის და ბუშის შეხვედრა კორეაში

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავის ამერიკელ კოლეგას ჯორჯ ბუშს შეხვდა სამხრეთ კორეის სანაჯადგურო ქალაქ პუსანში აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის გახსნის წინ.

ამ ფორუმის დღის წესრიგშია შეტანილი საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის, აგრეთვე, „ფრინგელის გრიპის“ და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

როგორც მიმოხილველები აღნიშნავენ, პუტინი და ბუში ცდილობდნენ, ხაზი გაესვათ იმისთვის, რომ მათ შორის კვლავ შენარჩუნებულია გულთბილი ურთიერთობა ისეთ საკითხებში სერიოზული უთანხმოების მიუხედავად, როგორც არის ირანის ბირთვული პროგრამა და თვით რუსეთში ხელი-სუფლების ცენტრალიზაცია.

თეთრი სახლის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა, რომელმაც აონინ-მურად დარჩენა ისურვა, ჟურ-

ნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთში ხელისუფლების ცენტრალიზაციასთან დაკავშირებული თემა გახდება პრეზიდენტების შეხვედრის დროს საფუძვლიანი განხილვის საკითხი. ასევე, დასძინა წყარომ, ბუში შეხვედრის დროს წამოჭრის რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე შეზღუდვათა შემოღების საკითხს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ პუტინის თანამშემეებმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადეს, რომ ორივე პრეზიდენტმა, პრინციპში, მიაღწია გარკვეულ თანხმობას ირანთან დაკავშირებულ საკითხში, და რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ამერიკელ კოლეგას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განვითარების პროცესში განეული დახმარებისთვის.

ამის შემდეგ, ბუში და პუტინი დაესწრნენ აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის გახსნას. მიმდინარე წლის განმავლობაში ეს მათი უკვე მეხუთე შეხვედრა იყო.

კონფლიქტის ზონა

სიკეთე ისეთი რამ არის...

(ამათხა გვირდოვანი)

ამასთან, მან დაბადების 80 წელი მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერს, მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს ნაფი ჯუსოიოს. ნაფი ჯუსოიო და გადასცა მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის მისასალმებელი სიტყვა. ნაფი ჯუსოიოთი მოიწვია თბილისში, სადაც ცნობილი მეცნიერის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სესია გაიმართება. იქ მას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის იმ კუთვნილ თანხას გადასცემენ, რომელიც ნაფი ჯუსოიოს ქართულ-ოსური კონფლიქტის დანაშაულის შემდეგ

არ მიუღია. ეს თანხა კი დაახლოებით ცამეტი ათასი ლარია. ამიტომაც მითხრა, ალბათ, მსცოდნე მეცნიერმა, სიკეთე ისეთი რამ არის, წყნარ და დაჯანსაღებულ მამს ასე, სახალხო დიპლომატია მოქმედებს. დიპლომატია კი არცნობს იმ ფორმას, როცა სამეგობროდ მზად მხოლოდ ერთი მხარეა. მომეჩვენა, რომ ის ხალხს შემწვევრი ნაბიჯების გადმოდგმის სურვილი დაეტყო. ბატონმა ფრიდონ თოდუამ სათითაოდ გვთხოვა ყველა ჟურნალისტს, ედუარდ კოკოიის ინტერვიუს დროს პოლიტიკაზე არაფერი ჰკითხოთო. შევიპირდით, რომ არ ვკითხავდით და ბევრიც არაფერი გვკითხავს, მაგრამ ჩვენი რესპონდენტი პოლიტიკაზე ჩვენს უკითხავად ალაპარაკდა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

ცხოვრობდეს. მე ვუსურვებ ჯანმრთელობას ყველა ოსს, ყველა ქართველს, ყველას, ვინც ამ მინაზე ცხოვრობს. ეს უნდა იყოს ჩვენთვის მთავარი და არა პოლიტიკური ამბიციები. პოლიტიკური შეკვეთებით სიტუაციის დაძაბვასა და ჩიხში შეყვანაზე არ უნდა ვფიქრობდეთ. — ჩიხურ გზად რამ მიგაწინათ? — როცა არის მცდელობა, გადაიჭრას სამხრეთ ოსეთის პრობლემები სამხრეთ ოსეთის გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, ჩიხური გზაა. დღეს ქართული მხარე მოლაპარაკებათა არსებული ფორმატის დარღვევას ცდილობს და ახალი ფორმატი შემოაქვს, რაც ჩვენთვის მიუღებელია. არის გარკვეული საშიშროება, მაგრამ ჩვენ ყველანიარად შევცდებით, რომ პროცესი შევინარჩუნოთ. დღეს მიმდინარეობს უნიკალური სამშვიდობო ოპერაცია, რომელსაც ატარებს რუსეთის ფედერაცია. მთავარია, მხარეებმა შევასრულოთ ის ვალდებულება, რაც საკუთარ თავზე ავიღეთ. შეხედეთ ამ კედლებს. საავადმყოფოს კედლებს ესროდნენ, რატომ? ეს ხომ ნორმალური არ არის. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, როცა დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, როცა საერთაშორისო სამართალზე ვლაპარაკობთ, მარტო კი არ უნდა ვლაპარაკობთ, იგი უნდა შევასრულოთ. ქართულ-ოსური მოლაპარაკებები ყუანისა დროს ასეთი დაძაბული არ იყო.



— რას იტყვით ლუბლიანაში გახდენიერებულ ახალ ინიციატივაზე? — რუსული მხარის აზრით, კარგი იქნება, თუ ნოემბრის ბოლოს სოჭში მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს შეხვდებიან. რუსული მხარე ამ შეხვედრაზე თქვენს დასწრე ბასაც საჭიროდ მიიჩნევს. — ეს ჩვენი ინიციატივა გახლავთ. არის რაღაც საკითხები, რომელიც უნდა განვიხილოთ. თუ ქართულ მხარეს აქვს წინადადებები ოსურ მხარესთან დაკავშირებით, ამისთვის ამერიკა და ავსტრალია საჭირო არ არის. ამერიკა ატარებს ზოგიერთ სამშვიდობო ოპერაციებს. არადა, თვითონ ამერიკაში სულ აფეთქებები. ქართულმა მხარემ ერთი რამ უნდა შეიგნოს — სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი დღის წესრიგში არ უნდა დადგეს. ოსმა ხალხმა რეფერენდუმის გზით, ამის შესახებ არჩევანი უკვე გააკეთა. ჩვენ უნდა შევქმნათ გარემო ურთიერთდობისთვის. ამისთვის კი სწორი ნაბიჯებია სა-

ჭირო. მე თქვენ გვეითებებით, რატომ დახურეს ერგენეთის ბაზრობა? — კონტრაბანდის აღმოსაფხვრელად... — კონტრაბანდის აღმოსაფხვრელად როგორც ქართველებისთვის, ისე ოსებისთვის, ავსტრალია, რომ ნორმალური პირობები შეგვექმნა, რომ იქ ადამიანებს წესიერად ემუშავათ. ეს შეცდომა უნდა აღიარონ და ბოდიში მოუხადონ ქართველ და ოს ხალხს, იმტომ, რომ მათ მოუფიქრებელი პოლიტიკა გაატარეს. კოკოითან აღნიშნა, რომ ისინი ამირევი კონფლიქტის ზონაში ქართველი სამშვიდობოების მიმოსვლა გააკაცრონ. მისი თქმით, გაუგებარი შეიარაღებული ფორმირებები სამშვიდობოების სტატუსს არიან ამოფარებული და ყალბი საბუთებით კონფლიქტის ზონაში თავისუფლად შედიან. ამასთან, იგი ქართულ მხარეს ბრალს დებს ოსი ეროვნების დაძაბვების უკანონოდ დაკავებაში. ასე, ჩვენც შევიძლია, ნებისმიერი ქართველი დააკავოთ და 11 ოქტომბერს ამერიკაში მომხდარ ტერაქტში დავადანაშაულოთო. იმის შესახებ კი არაფერი უთქვამს, რომ მის თანამემამულეებს გატაცებული ჰყავთ რამდენიმე ქართველი, მათ შორის ბავშვები. — საქმე ის გახლავთ, რომ ამაზე ჩვენც ვერ ვკითხეთ ვერაფერი. მოგესხებათ, კონტრსექითვისთვის შესაფერისი დრო, ადგილი და სიტუაცია არ იყო, რისთვისაც, პირადად მე, იმ გატაცებული ქართველების წინაშე, ბოდიშს ვიხდი.

ზოზია გელენაძე, „სტრ“ სტუდია, კორ. ცხინვალი — თბილისი



ისინი, სწავლის მიხედვით

2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა უცხოურ ენებში

ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს V-XI კლასების პროგრამითა და სახელმძღვანელოებით გათვალისწინებულ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას და კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს. გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა მოწოდებულია კითხვითი და წერითი დავალებით. მაგალითად, ლექსიკის ცოდნა მოწოდებულია კითხვის უნარ-ჩვევის შესამოწმებელი საგარჯიშოების საშუალებით, გრამატიკის ცოდნა კი - წერითი საგარჯიშოებით. მოსმენისა და მეტყველების უნარ-ჩვევების შემოწმება ამ ეტაპზე არ ხდება.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ენის ასპექტების, ლექსიკისა და ენობრივი უნარ-ჩვევების დეტალური აღწერა:

გრამატიკა
მორფოლოგია

- არსებითი სახელი: კონკრეტული და აბსტრაქტული, თვლადი და უთვლადი, კრებითი; არსებითი სახელის რიცხვი და ბრუნვა.
- არტიკლი: განსახვდრული და განუსახვდრული; არტიკლების გამოყენების ძირითადი წესები; ნულოვანი არტიკლი.
- ზედსართავი სახელი: შედარების ხარისხები; not so/as as.
- რიცხვითი სახელი: რაოდენობითი და რიგობითი; მარტივი და რთული.
- ნაცვალსახელი: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, უკუქცევითი, ემფატური, მიმართებითი, განუსახვდრელობითი, ურთიერთობითი.
- ზმნა: პირიანი და უპირო; გარდამავალი და გარდაუვალი; წესიერი და არაწესიერი; სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე; ზმნის ოთხი ფორმა.
- ზმნის დროები აქტიურ გვარში: Present, Past, Future Simple; Present, Past, Future Continuous; Present, Past Perfect; Present, Past Perfect Continuous; Future in the Past.
- ზმნის დროები პასიურ გვარში: Present, Past, Future Simple; Present, Past, Continuous; Present, Past Perfect.
- ზმნის უპირო ფორმები: ინფინიტივის, გერუნდივის, აწმყო და წარსული დროის მიმდებარების მარტივი ფორმები.
- მოდალური ზმნები და ეკვივალენტები: can, could, be able to; may, might; must, have to; be to; should; would.
- ზმნიშედა: დროის, ადგილის, ვითარების, ხარისხის, სისშირის; ზმნიშედის შედარების ხარისხები.
- წინდებულები: in, on, at, by, about, behind, of, from, after, before, under, through, above და ა.შ.
- კავშირები და მაკავშირებელი სიტყვები: and, if, or, that, who, what, which, how, but, whether, though და ა.შ.
- კონსტრუქციები: there is / there are; It is; be going to; used to ტიპისა.

სინტაქსი

- თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები.
- მარტივი და შერწყმული წინადადებები.
- რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები.
- პირობითი წინადადებები: რეალური პირობითი წინადადება (ჩონდიტიონალ 1): If I see him, I will talk to him ტიპისა, და არარეალური პირობითი წინადადება (ჩონდიტიონალ 2): If I saw him, I would talk to him / If I were you, I would do it ტიპისა.
- კითხვითი წინადადებები: Yes/No questions (*Is he here?*); Wh-questions (*Where is it?*) და Tag-questions (*You like it, don't you?*).
- წინადადებები, რომლებიც შეიცავენ I want you to do it, I saw him dancing, Let me do, Makes me feel ტიპის რთულ დამატებებს.
- პირდაპირი და ირიბი თქმა. დროთა თანამიმდევრობა.
- უპირო წინადადებები.

ლექსიკა

- ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის V-XI კლასების პროგრამით გათვალისწინებული ლექსიკა.
- სიტყვაწარმოება: მარტივი პრეფიქსები (dis-, un-, in-, im-) და სუფიქსები (-er/-or, -sion, -tion, -ity, -ic, -al, -ous).
- შედგენილი არსებითი და ზედსართავი სახელები sunflower, homemade ტიპისა.
- ფრაზული ზმნები: bring up, get up, look for, look after, see off, switch on, run into, think over ტიპისა.

შენიშვნა: ტესტის ზოგიერთ დავალებაში დასაშვებია არაპროგრამული ლექსიკური ერთეულების გარკვეული რაოდენობა. მათი აქტიური ცოდნა არ მოწოდებულია.

- წინადადების გრამატიკული ტრანსფორმაცია, მაგ.: აქტივი-პასივი, პირდაპირი-ირიბი თქმა.
- კონტექსტის გათვალისწინებით ზმნები ჩასვას შესაბამის დროსა და გვარში.
- დაწეროს მოკლე თხზულება მოცემულ თემაზე (120-150 სიტყვა).
- ზუსტად დაიცვას ტესტური დავალებების მოთხოვნები; შეასრულოს დავალება ისე, როგორც ეს მაგალითშია ნაჩვენები.
- ზუსტად დაიცვას ტესტური დავალების ინსტრუქცია, დავალება შეასრულოს მაგალითის მიხედვით.

შესაბამისობა უცხოური ენების სწავლების ევროპულ სტანდარტებთან

სირთულის დონის მიხედვით ტესტი შეესაბამება ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ 1997 წელს შემუშავებული უცხოური ენების სწავლებისა და შეფასების სარეკომენდაციო ჩარჩო-ლოკუმენტში განსაზღვრულ B1 (თქვესპოდლ level) დონეს. ამ დონეზე მოწოდებულია ევროპული ენების (როგორც უცხოურის) ცოდნის სხვადასხვა დონის შესაბამისი კომპეტენციები. აღნიშნული კომპეტენციები დაყოფილია სამ საფეხურად. თითოეული საფეხური თავის მხრივ იყოფა დაბალ და შედარებით მაღალ დონეებად.

A ენის დასრულებული ფუნქციონირება Elementary user		B ენის დასრულებული უკომპეტენტო Independent user		C ენის კომპეტენტო კომპეტენტო Competent user	
A1	A2	B1	B2	C1	C2
Breakthrough (Beginner)	Waystage (Elementary)	Threshold (Pre-intermediate)	Vantage (Intermediate)	Effective Operational Proficiency (Post-intermediate)	Mastery (Advanced)

უმადლეს სასწავლებელში შესასვლელი უცხოური ენის ტესტის სირთულის დონე, როგორც თქვა, შესაბამისაა ამ სკალის B1 საფეხურს (თქვესპოდლ level/ზღურბლის დონე). ამ დონეზე მცოდნეს უნდა შეეძლოს უცხოურ ენაზე კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი მარტივ და ძირითად საყოფაცხოვრებო თემებზე. ეს საფეხური, თავის მხრივ, შეესაბამება ევროპული უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ინგლისურის, როგორც უცხო ენის - PET (Preliminary English Test) გამოცდის სირთულის დონეს. ტესტის შედგენისას ჩვენ ვეყრდნობოდით საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამასა და არსებულ სახელმძღვანელოებს. აღნიშნული ინფორმაცია ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ჩარჩო-ლოკუმენტის გლობალური სკალის შესახებ მხოლოდ განმარტების სახით არის მოცემული, შესაბამისობები კი - მიახლოებითაა.



ყალბის ყორღი

ირანში
კინოცენზურა
გამკაცრეს



იძაშური ხელისუფალნი კრძალავენ ისეთი უცხოური ფილმების ჩვენებას, რომლებიც პროპაგანდას უწევს მაღალი საზოგადოების ცხოვრების წესს, ფემინიზმს, ძალადობას, უზნეო ყოფაქცევას, ნარკოტიკებისა თუ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას. აღკვეთა მოინონა კულტურის სფეროში მთავარმა სახელმწიფო ორგანომ — ისლამური კულტურული რევოლუციის უმაღლესმა საბჭომ.

მერიონ ტრიუს სახელს, რომელიც ამას წინათ წავიდა გეტის მუზეუმის სიძველეთა დამცველის თანამდებობიდან.

ამ ქალბატონის საქმიანობით იტალიის პროკურატურაც დაინტერესდა. ტრიუს ბრალდება წაუყენეს ამ ქვეყნიდან ფარულად გატანილი ძველი ფასეულობების მუზეუმისთვის შესყიდვაში.

მუსიკიდან — ლექსებისკენ

ცნობილმა ამერიკელმა კომპოზიტორმა ბერტ ბაკარაკმა თავის 50-წლიან კარიერაში პირველად დაწერა ლექსები მუსიკისთვის და ამ ლექსებში ერაყში ომით იმედგაცრუება გამოხატა. „მე ასე უნდა გამეკეთებინა. ჩემთვის ეს ძალიან პირადული მომენტია“ — ამბობს 77 წლის კომპოზიტორი, სამი „ოსკარის“ და ექვსი „გრემის“ პრემიის მფლობელი.

ბერტ ბაკარაკმა, ძალზე რომ ლექსთა თხზვაში მოსინჯა, ამერიკელ ხელისუფალთა პოლიტიკით უკმაყოფილებაზე გადაწყვიტა საუბარი. „მკითხავთ: რატომ მოესურვა ჯანყი კაცს, რომელიც მთელი სიცოცხლე სიყვარულს უმღეროდა? არ მინდოდა, რომ ასეთი ტექსტები სხვა ვინმეს დაენერა“, — თქვა მან.

მუსიკოსის ახალ ალბომში ისეთი მსახიობები მღერიან, როგორც ელვის კოსტელოა და რუფუს უეინრაიტი.

„ABBA“

ისევ მოსწონთ...

საერთაშორისო ტელეკომპანიის მსვლელობისას შვედური ჯგუფის „ABBA“-ს ჰიტი „ვატერლო“ (1974) საუკეთესო სიმღერად მიიჩნის ევროვიზიის კონკურსის ისტორიაში. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ სიმღერის დაიწყო შვედური ოთხეულის მსოფლიო კარიერა. ევროვიზიის 50 წლისთავის პატივსაცემად კოპენჰაგენში გამართული სპეციალური კონცერტი 31 ქვეყანაში გადაიყვანა. „ABBA“ ცერემონიას არ დასწრებიან.

მეორე ადგილი ხვდა იტალიელი მომღერლის დომენიკო მოდუნოს შესრულებულ სიმღერას „ვიფორინო“ (1958), მესამე კი ირლანდიელი ჯონი ლოგანისას „მომესუტე“, რომელიც 1987 წლის კონკურსში გაიმარჯვა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსებს ევროპის სამაუწყებლო კავშირი 1956 წლიდან ატარებს.

ბერძნები ძველ ფასეულობებს ითხოვენ

ლოს-ანჯელისში, გეტის მუზეუმში შენახული ოთხი ძველი შედეგის დაბრუნებას ცდილობს საბერძნეთი. ქვეყნის ხელისუფლებამ ამერიკულ მუზეუმს ოფიციალური შეკითხვა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს ახსნა-განმარტებას, თუ რა გარემოებებში შეისყიდეს ოქროს და-საკრძალი გვირგვინი, სარკოფაგი ეპიგრაფიკული წარწერით, მარმარილოს ქანდაკება და ძველი რელიეფი. პირველი სამი ექსპონატი დათარიღებულია დაახლოებით 400 წლით ჩვენს ერამდე და გეტის მუზეუმის მიერ შექმნილია 1993 წელს. მეოთხე შედეგის 1955-ში შეუქმნია თვით დაწესებულების დამაარსებელს — ნავთობის მაგნატს პოლ გეტს.

არადა, საბერძნეთი ეჭვობს, რომ ეს ოთხი ექსპონატი საბერძნეთიდან უკანონოდ გაიტანეს. პრეტენზიები უკავშირდება



ვინ არის ეს ქალი...

ზსოვნა უძეგლოდ...

დაახლოებით ერთიდაიგივე ფიქრმა დამარწმუნა, რომ როცა ადამიანური განსჯისთვის უმწვავეს თემას — სინანულს ვეხებით, მაშინაც საკუთარი სულიერი კომფორტისთვის ვზრუნავთ: სინანულისუნარიანი და გულაჩუყებული ჩვენივე პორტრეტი გვინდა წარმოვიდგინოთ...

ამჟამადაც ამ მკაცრი შესავლის საბაზს ჩვენგან და ყველასგან დავინყებულნი შემოქმედის პორტრეტი გვკარნახობს, ვისი ნამუშევრებიც ამ უკანასკნელ ხანს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ვის შესახებაც ცნობების და მოგონებების შეგროვება, სამწუხაროდ, დაგვიანებულია. თანამედროვენი უკვე აღარ არიან.



ნამუშევართა ნაწილი, რომელიც მხატვართა სახლის ფონდებში ინახებოდა, თბილისის ომის დროს განადგურდა. მისი ყოფილი ბინიდან კი, ახლო ნათესავთა გადმოცემით, ბარელიეფები და მცირე სკულპტურის ნიმუშები სხვადასხვა პირებმა წაიღეს, მათ შორის, მოსკოველმა ნაცნობებმა. ერთ-ერთი ბარელიეფი მოქანდაკე გეტე სიხარულიძის მეუღლეს გაუტანია. როგორც უთქვამს, სახელოსნოში დასადებად.

სკულპტორი თამარ შარაშიძე მუშაობდა თაბაშირში. აქვს მცირე ზომის სკულპტურები ფაიფურშიც. ძირითადად იყენებდა ტერაკოტას (გამომწვარ თიხას).

ერთი ნამუშევარი „სიმინდის კრეფა“, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, გადმოცა თამარ შარაშიძის უახლოესმა მეგობარმა სოფიო მირზაშვილმა. უკან წარწერაც გაუკეთა: „თამარ შარაშიძის ნამუშევარს, რომელიც მან მაჩუქა მეგობრობის ნიშნად, ამჟამად გადავცემ ნინო ხოფერიას, დიდი სიყვარულით.“

სოფიო მირზაშვილი
21/VI, 1990 წ.
იხ. მე-12 გვ.



აქვს თუ არა ნიჭიერებას უფლება და სხვათა შორის, უნარიც, რომ მუდამ ჩრდილში იდგეს და თითქმის არასდროს გამოვიდეს კულისებიდან, ეს სხვა სასაუბრო თემაა, მაგრამ როცა გაუსაძლისი ყოფა და ცხოვრებისეული სიმძიმეები შემოქმედს საკუთარ თავსაც კი ავიწყებს, ძალიან იშვიათად აღმოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, მისი შემოქმედების გადარჩენაზე, ანუ მასში შემოქმედებითი აუცილებლობის არგაქრობაზე რომ იზრუნებენ... ეს, ჯერ ერთი, ძალიან რთულია, მის-ვედრილობის ათასგვარ უნარს გულისხმობს, მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს...

მანაც სხვისი და საკუთარი ცხოვრების სიძნელეების ფონზე „ქმნილებს“ გადარჩენა აღარ ისურვა და თავისი ნიჭი შემდგომ და შემდგომ მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებში გამოხატა.

დაახლოებით ერთი თვის წინათ ქალბატონმა ნინო ზაალიშვილმა, რომელიც ქართველ მხატვართა აკადემიურ ცნობარზე მუშაობს, რუსულენოვან კატალოგში ამოიკითხა, რომ 1938 წელს „კუზნეცი მოსტვე“, ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში, ყველასთვის ცნობილ ვერა მუხინასა და მარია ფავორსკაიასთან ერთად, სხვა მხატვრების გვერდით ერთადერთი ქართველი, ჩვენი თანამემამულე — თამარ შარაშიძე მონაწილეობდა.

მისი დავინყებულ სახელი დღეს თვით ხელოვნების ისტორიკოსებსაც არაფერს ეუბნება. შემორჩენილია მცირე ცნობები, რომ თამარ შარაშიძე მონაწილეობდა თბილისის ვერნისა-ზეზე 1938, 1955, 1957, 1958 წლებში... პერსონალური გამოფენა არ ჰქონია.


წსოვნა უძეგლოდ...

(მითითება გვერდიდან)

გვესაუბრება მხატვარ თამარ შარაშიძის დის შვილი, ქალბატონი ნონა დინასამიძე: — ნამუშევრები, როგორც გითხარი, სხვადასხვა პირებმა წაიღეს... ჩვენ რამდენიმე ფოტო და გვერდი. მისი სახლიდან სამი ტომარა წერილები გადავყარე... მთელი საბჭოთა კავშირის მხატვრებთან ჰქონდა მიმოწერა. ბარათები ძირითადად პირადული იყო და ამიტომ არ ჩავთვალე საჭიროდ შეგეზიარებოდა...

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული ცხოვრების გზა გაიარა, გამორჩეული კულტურის ადამიანი იყო, მუდამ კარგ წრეში ტრიალებდა, უამრავი მეგობარი ჰყავდა... დეიდა თამარის მამას, ანუ ჩემს ბაბუას 6 შვილი, ერთი ვაჟი და ხუთი ქალი ჰყავდა. ბათუმში, ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული გიმნაზიის დირექტორი იყო. მან, მიხეილ შარაშიძემ, ამავე დროს შესანიშნავი ტექნიკურიც გახსნა... შვილებმა სათანადო განათლება მიიღეს.

დეიდა თამარი 1904 წელს დაიბადა და 1983 წელს გარდაიცვალა. სამხატვრო აკადემია თბილისში დაამთავრა. მისი პედაგოგები იყვნენ: ევგენი ლასსერე, იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი...



ბა და ვერცხლეულობა. მერე გაიგო, რომ ეს ყველაფერი იმ მეგობრის შვილს მოუპარია და გაუყვიდა. ხმა არ ამოუღია. არაფერი უთქვამს. ასეთი თავშეკავებული და კულტურული იყო მუდამ...
იმ წლებში თამარ შარაშიძე საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი იყო და ძალიან დიდ პატივს სცემდნენ.

იმ წლებში მოსკოვის დიდი თეატრის ხელმძღვანელი იყო ტიცინი შარაშიძე, მისი ბიძაშვილი. როგორც ჩანს, მან მოაწყო თეატრში სამუშაოდ. დეიდა თამარი ევროსადაცხთან ერთად დეკორაციებზე მუშაობდა. ქმრის დაპატიმრების მერე მისი ურთიერთობები და შესაბამისად ცხოვრებაც გართულდა... სამსახურიც აღარ ჰქონდა... თითქმის შიმშილობდა... თავმოყვარე იყო და არავის არაფერს სთხოვდა... მაშინ ფილტვების კავერნა გაეხსნა. ტუბერკულოზით დაავადდა...

1941 წელს, ომის პერიოდში, მხატვართა კავშირმა ურჩია საქართველოში გამგზავრებულ იყო ნათესავებთან, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო... მათვე მოაწყვეს სამხედრო მხატვრებზე — სანიტრად. უფასოდ იმგზავრდა და საშინლად გამხდარი ჩამოვიდა თბილისში. მოსკოვიდან არაფერი წამოუღია პირადი ნივთების გარდა. ჩამოსვლისთანავე ვაშლოვანის ქუჩაზე იქირავა პატარა, ერთოთახიანი ბინა, პირველ სართულზე. დედაჩემმა შესთავაზა, ჩვენთან იცხოვრეო, მაგრამ უარი უთხრა, ვინაიდან ისედაც ვინოროდ ვიყავით — იტალიურ ეზოში ერთი ოთახი და ლოჯი გვექონდა...

თბილისში ჩამოსვლისთანავე დაიწყო წერილების წერა სტალინთან და ბერიოსთან: ჩემი ქმარი არ არის დამნაშავეო. საშა ჯაფარიძე ამ დროს უკვე მაგადანის ციხეში იჯდა... მაგადანში იმ პერიოდში მართლად ინტელიგენციის დიდი ნაწილი იყო გადასახლებული... საშა ჯაფარიძის დაპატიმრებაში დიდი „წვლილი“ მიუძღვის ერთ რუსის ქალს, მისივე თანამშრომელს, რომელსაც საბედისწეროდ შეუყვარდა ეს წარმოსადგენი, გალანტური ქართველი და ეუბნებოდა: ცოლს გაეყარე და მე შემირთუო... საშას კი თავისი ცოლი ძალიან უყვარდა. ის



რუსის ქალი დამუქრებია: შენს თავს დავაჭერინებო. მართლაც, დაუნერა „დანოსები“ და დააჭერინა.

მრავალი წლის მერე საშა ჯაფარიძე, უკვე ფიზიკურად ძალიან გატეხილი, გაათავისუფლეს და თბილისში ჩამოვიდა... მოსკოვში ბინა აღარ ჰქონდა... გაუყვიდეს და იქ სხვა იყო შესახლებული. დეიდა თამარს მოსკოვში ჩასვლისას უნახავს იქ მცხოვრები ვიღაც სამხედრო პირი, რომელსაც საშას პიუჟომოში ჩაცმულს გაუღია კარი...

თბილისში ჩამოსული საშა ჯაფარიძე ჩვენს ოჯახთან ძალიან მეგობრობდა. დედაჩემს ხშირად უყვებოდა რა მძიმე პირობები იყო იქ, მაგადანში, სადაც 10 წელი გაატარა. უყვებოდა როგორ წმენდნენ გზებს, როგორ მუშაობდნენ ოქროს საბადოებში, რამდენი ქართველი იხოცებოდა ჯერ კიდევ გზაში...

ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. გულში წყალი ჰქონდა ჩამდგარი და 1953 წელს გარდაიცვალა...

დეიდა თამარი მთელი ცხოვრება მისი ერთგული დარჩა... ცხოვრობდა მოხუც დედასთან და ავადმყოფ დასთან... მათი ყოფის ყოველდღიურობა საკუთარი ცხოვრების აზრად აქცია...

ჩემს სსოვნაში დარჩა ეს მაღალი კულტურის, დახვეწილი გარეგნობის და გემოვნების ქალი... რაც შეეხება მის შემოქმედებას, მომწონდა, მაგრამ არასოდეს ვიფიქრებდი, რომ რაღაც განსაკუთრებული იყო და მერეც დაინტერესდებოდი... თავადაც ძალიან თავმდაბლურად ეჭირათავი. საკუთარ შემოქმედებაზე არასდროს საუბრობდა. სხვების ხელოვნებას კი განსაკუთრებულად აფასებდა. მხარში ედგა ნიჭიერ მხატვრებს, ამხნეებდა. ნიჭიერებას ყოველთვის ამჩნევდა. სამწუხაროა, რომ მისმა ცხოვრებამ ისე ჩაიარა, რომ სახელის მოხვეჭა ვერ შეძლო...

ფოტოზე, საიდანაც სკულპტორ თამარ შარაშიძის საოცრად ნაღვლიანი თვალები გვიმზერს, თითქოს იმ ხელოვნათა ბედი და სევდაც ირეკლება, რომელთაც არასოდეს დაუდგამენ ძეგლს, მაგრამ ხელოვნების ისტორიის ლაბირინთებში მათ ნაღვანს ზოგჯერ მოულოდნელად მიაგნებენ და ხაზგასმული პატივისცემით და მოკრძალებით მოიხსენიებენ.

რაოდენ მცირედისმეტყველია ასეთი პატივისცემა და რაოდენ სევდიანია მათი ცხოვრებაც და ბედიც...

ნიკოლოზ ნიკოლოზი

ჩემ ჩახიშვი:

დამოუკიდებელი, არტპაუსური კინოს ერთ-ერთმა უკანასკნელმა ტიტანმა ჯიმ ჯარამუშმა ფილმისთვის „მოტეხილი ყვავილები“ კანის ფესტივალის გრან-პრი მიიღო. გასულ თვეში კინოფესტივალის ბერლინში ჩავიდა და თავისი სურათი გერმანულ მაყურებლებს წარუდგინა. ბერლინში მასმედიის წარმომადგენლებიც შეხვდნენ.

— ბატონო ჯარამუშ, როგორ განსაზღვრავდით „მოტეხილი ყვავილების“ ჟანრს?

— ამ ფილმს რომ ვიღებდი, ნიმუში და არქტივი ჩემთვის ძველი ამერიკული როუდ-მუვი იყო... ამაზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი არ მინდა.

— მაინცდამაინც ასეთი ამბის მოყოლა რატომ გადაწყვიტეთ?

— ერთხელ დაფიქრდი იმაზე, თუ 40-დან 55 წლის ასაკის რამდენიმე დიდებული პრაქტიკულად დაუსაქმებელი მსახიობია დღეს... როგორ შეიძლება მათი თავმოყვრა ერთ ფილმში? და მოულოდნელად გაჩნდა სიუჟეტი მამაკაცზე, რომელმაც გადაწყვიტა თავის ძველ შეყვარებულს მათი თავმოყვრა ერთ ფილმში? და მოულოდნელად გაჩნდა სიუჟეტი მამაკაცზე, რომელმაც გადაწყვიტა თავის ძველ შეყვარებულს მათი თავმოყვრა ერთ ფილმში გახსნა.

— გიყვართ, როდესაც შემსრულებლები გადაღებების დროს იმპროვიზირებენ?

— მე ეს მომწონს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ გადასაღებ მოედანზე მსახიობები ისე არ რეაგირებენ, როგორც სცენარშია დაწერილი. გაცილებით უარესია, თუ ისინი ყველაფერს ზუსტად ისე აკეთებენ, როგორც დაწერილია, მე კი ვუყურებ და მესმის, რომ არ ვუჯერებ ამ ხალხს... მაგრამ ყველაზე უარესია, თუ მსახიობი საკუთარი ოსტატობის დემონსტრირებას ცდილობს. ასეთ შემთხვევებში მათ ვუბნები: „გთხოვთ, ნურა-


ფერს ითამაშებთ! უბრალოდ დამეხმარეთ“.

— კინოს ყურება თუ გიყვართ და რატომ გახდით კინორეჟისორი?

— ვიდრე გათხოვდებოდა, დედაჩემი პროვინციულ ქუჩაში კინომომხილველად მუშაობდა (პატარა ქალაქ კარონში ცვსოვრობდით). ამიტომ ყოველ შაბათს საბავშვო კინოპროგრამებზე დაყვავდი და მე სიამოვნებით ვუყურებდი ფილმებს მონსტრებზე, უცხოულანტილებსა და ურჩხულებზე. მერე მე კარგა ხანს კინოში აღარ დავდიოდი და მართლ 17 წლის ასაკში, ნიუ-იორკში რომ გადავედი, მივხვდი, რომ ყველა ფილმი არ ეხება მონსტრებსა და ურჩხულებს, და ჩემ თვალწინ არჩევნები იყვნენ ისინი, რომ გადავიდი, მივხვდი, რომ ყველა ფილმი მომწონდა. სულმოუთქმელად ვკითხულობდი ნიგნებს კინოს შესახებ, მერე პარიზში წავიდი, ერთი წელი დაყვავი იქ და მთელი დღეები არ გამოვიდიოდი სინემატიკიდან. ჩემი აზრით, ეს ინსტიტუტში ნებისმიერ სწავლაზე უკეთესია. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში გადაღებული უამრავი ფილმი ვნახე. მინდოდა მწერალი ან პოეტი გავმხდარიყავი, ხოლო ნიუ-იორკში რომ დავბრუნდი, მუსიკოსად ვმუშაობდი და მალე მივხვდი, რომ ჩემი სურვილი ან პოეტი დამემწყობოდა, თურმე სულ მჭიდროდ უკავშირდებოდა კინოს. მე კინოს შესახებ ვწერდი ლექსებს პროზაში, მაგრამ ეს იყო არა ფილმის სიუჟეტის, არამედ ცხოვრების

გათხოვდა შესანიშნავი პიროვნებაზე — ეს გახლდათ საშა (ალექსანდრე) ჯაფარიძე, რომელიც მუშაობდა მოსკოვში, ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად და, რა თქმა უნდა, დეიდა თამარიც მეუღლესთან გადასახლდა. თავდაპირველად, გორკის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. მერე „Большая гнездиловская“-ზე გადავიდნენ. მათ სახლში მთავრობის ხალხი ბინადრობდა. მათ შორის ვოროშოლოვი, ძეგუნიძე და სხვა...
მე იქ 1936 წელს ჩავიდი, 6 წლის ასაკში. დედასთან ერთად ვესტუმრეთ. მასსოვს, ულამაზესი ბინა ჰქონდათ, უზარმაზარი ოთახებით და შუაში სვეტებით... შესასვლელში ორი ნიშა იყო, ხელოვნების ნიმუშები ეკიდა... მასსოვს, იმ წლებისთვის ძალიან კეთილმოწყობილი ბინა იყო, კარგი სააბაზანოთი... საშა ჯაფარიძე ადრე უზბეკეთის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი იყო და ალბათ ამიტომაც, ოთახებში რამდენიმე უზბეკური ხალიჩაც ედნა.

ბინის განლაგებაც, ავეჯიც, ჭურჭელიც, ყოველივე დიდი გემოვნების ნიშანს ატარებდა და ერთმანეთთან ჰარმონიულად იყო შერწყმული...
მაშინ ბავშვს, დამამახსოვრდა სანოლის ულამაზესი აბრეშუმის თერფელი, რაშიც ჩვენ გვექონა... 1937 წელს საშა ჯაფარიძე დააპატიმრეს. დეიდა თამარს მოსკოველი მეგობრისთვის შესანახად მიუცია თავისი ოქროსფერი



„ღმერთს დაუბრტყია უხვი კალთა ამ ქვეყანაში“... არტურ ლაისტი

„ასეთი ზუნება, ასეთი რა ქმნის ადამიანებს შორის უმშვენიერეს, ნაკიფ ქმნილებებს. ამასთან სრულ თანხმობას ამ ქმნილებათა შორის“... ვიქტორია



„კინოში ყველაფერი სხვაგვარაა“...

ასახვის კინემატოგრაფიული ხერხის კომენტირება. ფული არ მქონდა და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა შემდგომში. ამიტომ გადავწყვიტე შევსულიყავი კინემატოგრაფიულ სკოლაში NYU. ორი წელი ვისწავლე იქ, მაგრამ დიპლომი არ ამიღია, რადგან ბოლო წელს ერთ-ერთ ფონდს მივმართე და მათ სტიპენდია გამომიყვეს... ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ სკოლაში გადმოვეგზავნათ, ფული პირდაპირ მე გამომიგზავნეს და მთელი სტიპენდია ჩემს სადილო-მო ფილმს მოვასხმარე. დირექციას ფილმი არ მოეწონა, არც ის მოეწონა, რომ ფული ფილმზე დავხარჯე. ამიტომაც არ მომცეს დიპლომი. საკმაოდ დიდი დრო გავიდა მანამდე, ვიდრე საზეიმოდ გადმომცემდნენ.


— თქვენი პირველი ფილმი „მუდმივი არდადეგები“ 12 000 დოლარი დაჯდა, ამ ფილმის შემდეგ სულ მალე გადაიღეთ მოკლემეტრაჟიანი სურათი „სამოთხეზე უწაურე“. ეს ფილმი რამდენი დაგიჯდა?

— არ მახსოვს, ასე, შვიდი ათასი...
— რატომ არის ყველა თქვენს ფილმში კომედიის ელემენტები?
— როდესაც ადამიანი იცინის, მას ცხოვრება უადვილდება. ტყუილად კი არ უთქვამს ოსკარ უაილდს: „ცხოვრება მეტისმეტად მნიშვნელოვანი რამაა იმისთვის, რომ სერიოზულად აღვიქვათ იგი“. ძალიან მიყვარს ეს გამო-ნათქვამი და მიმაჩნია, რომ ყველა დროისთვის ვარგა. იცით, ფილმში „ძალი-მოჩვენება: სამურაის გზა“ მოჰყავთ ციტატები მოხუცი სამურაის მიერ დანერვილი იაპონური წიგნიდან ბუსიდოს კოდექსის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: ადვილად უნდა მოვეკიდოთ ისეთ საქმეებსა და მოვლენებს, რომლებიც ძალიან

დიდ საფიქრალ-საწუხარს გვიჩენს და ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ იმას, რაც მცირე საფიქრალ-საწუხარს გვიჩენს. მე ძალიან მომწონს მოვლენათა ეს ანტიტრადიციული აღქმა და ეს ფილოსოფია.

— თქვენს პირველ ფილმში მუსიკოსი ჯონ ლერი გყავთ გადაღებული. მუსიკას მასთან ერთად გადაღებებში დაწყბამდე წერდით?

— 70-იან და 80-იან წლებში ნიუ-იორკში უამრავი საინტერესო მუსიკოსი მუშაობდა. საქმე ის კი არ არის, რომ ისინი პროფესიონალ-ვირტუოზები არ იყვნენ. მათთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო მუსიკაში იმის გამოხატვა, რასაც ისინი ფიქრობენ და რაზეც ოცნებობენ. მაშინ ამ ქალაქში უამრავი შემოქმედებითი ადამიანი მუშაობდა: მუსიკოსები, კინორეჟისორები და მხატვრები, ახალგაზრდობა ერთად იკრიბებოდა, ახალი ესთეტიკის შემუშავებას ცდილობდა. იმ მომენტში არც სახელის მოხვეჭა უნდოდა ვინმეს, არც კარიერის გაკეთება და არც დიდი ფულის შოვნა. საჭირო იყო იმის გამოტყმა, რაც შიგნით დაგროვდა და ადამიანი ხელში გიტარას იღებდა ისე, რომ



ყოველთვის არც იცოდა როგორ უნდა დაეკრა. კმარა ამაზე საუბარი, მოდით, კალათბურთზე ვილაპარაკოთ...

— მე კალათბურთის შესახებ არაფერი ვიცი.

— კალათბურთი ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი თამაშია. კალათბურთში არის რაღაც ძენ-ბუდისეული. ამერიკული ფეხბურთი არ მიყვარს. ამ თამაშში ბევრია კომიკური და მახინჯი რამ. არც კრიკეტი იყრობს ჩემს ყურადღებას. კალათბურთი კი მშვენიერია.

— სპორტსმენები არ ეწევიან, მე კი მინდა ვისაუბრო თქვენს ფილმში „ყავა და სიგარეტი“.

— ოლონდ ჩემი სცენარის მოყოლას ნუ დაიწყებთ.

— მართალია, რომ ამ სურათის გაგრძელების გადაღებას აპირებთ?

— დიახ, მინდა ამის გაკეთება. იცით, თავიდან რამდენიმე მოკლე ფილმის გადაღება მინდოდა, მაგრამ რაც ერთიმეორის მიყოლებით ვნახე ისინი, აღმოჩნდა, რომ ერთმანეთზე ზემოქმედებენ და მოულოდნელ გამოძახილს გამოსცემენ. სიტუაცია, არსებითად, ერთი და იგივეა: მაგიდასთან მჯდომი ორი ადამიანი, ორი ფინჯანი ყავა და სიგარეტები... და ამ სიტუაციის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება ახალი სერიების გადაღებით, როგორც მულტი-ფილმებშია, ისე.

— მართალია, რომ როლებს გარკვეულ მსახიობებზე გათვლით წერთ? ამა თუ იმ დიალოგის დაწერამდე მსახიობებს თუ ეთათბირებთ ხოლმე?

— საერთოდ, ჩემს მეგობრებთან ერთად ვმუშაობ, მათთვის ვწერ და ძალიან კარგად ვიცნობ მათ. სიუჟეტზე ბევრად უფრო მეტად მე ხასიათის განვითარება მაინტერესებს, ამიტომ ბევრი კრიტიკოსი ამბობს, რომ ჩემს ფილმებში სიუჟეტი არ არის. მე გარკვეული ადამიანის ინდივიდუალობიდან გამომდინარე ვქმნი ხასიათებს, მუშაობის დროს ბევრი რამ იცვლება და ჩვენ დიდი მანძილით ვშორდებით კონკრეტული მსახიობის პიროვნებას.

— თქვენი ყველაზე საყვარელი საქმიანობა?

— ყველაზე ძალიან რეპეტირება მომწონს. იმიტომ რომ ამ დროს ჩნდება ის, რაც სცენარში არ არის, ჩვენ რაღაცას ვთავაზობთ, ვიგონებთ, ხასიათს ვქმნით და თუ მსახიობი უკეთესად თამაშს იწყებს, ჩემთვის ეს უზარმაზარი მიღწე-

ვაა. თეატრი მაინცდამაინც არ მიყვარს, იმიტომ რომ, თავიდან იქაც რეპეტიციას გადიან, ცდიან, მაგრამ ამავე დროს რეჟისორს მსახიობები თანდათან წინასწარ დასახული მიზნისკენ მიჰყავს. სპექტაკლის პრემიერის შემდეგ რეპეტიციაზე შექმნილი ფორმა უსიცოცხლო ხდება. კინოში ყველაფერი სხვაგვარაა. ჩვენი რეპეტიციები რეალურ დროში მიმდინარეობს, ეს არასდროს განმეორდება. მაგალითად, რეპეტიციაზე შექმნილია ოთხ მსახიობთან ერთად ვუჯდები მაგიდას და არ ვიცოდე, რა შეიძლება მოიმოქმედოს ან თქვას თითოეულმა მათგანმა მომდევნო მომენტში. ჩვენ ერთად ვქმნით სახეებს, მერე კი ეს სახეები თავისებურად თამაშობენ სცენას, რომელსაც ჩვენ ვიღებთ. რეპეტიციაზე შეგიძლია თავი-სიფლად იგრძნო თავი, დაუშვა შეცდომები, უარი თქვა ყველაფერზე, რასაც ადრე მიაგენი, და სულ სხვა გზით წახვიდე. მე იმ რეჟისორებს არ ვეკუთვნი, რომლებიც ამბობენ: „ეს რეპლიკა ზუსტად ამ ინტონაციით გაიმეორეო“, ეს ჩემი სტილი არ არის. მე მინდა, რომ ყველამ, ვისაც მე თანავეტორებად ავირჩევ, ვინც ჩემთან ერთად გადის რეპეტიციებს, იმაზე ბევრად უფრო სრულყოფილი გახადონ ფილმი, ვიდრე მე მქონდა თავიდან მოფიქრებული და წარმოდგენილი. ვფიქრობ, რომ ეს მუშაობის ერთადერთი სწორი ხერხია. ჩემი აზრით, მე ვგავარ ნავიგატორს ან სელექციონერს, რომელიც თავის თანაშემწეებთან ერთად ხილის მოყვანის საუკეთესო ხერხს პოულობს.

— ხილი გიყვართ?
— ძალიან მიყვარს ხილი. ალუბალი და განსაკუთრებით ბანანი...

„КУЛЬТУРА“



შიო არაგვისპირაღის შვილები: ნუნუ, ბიძინა და ნათელა.



აკაკი დაბა საჩხერეში, ნათესავებსა და მეგობრებთან. ცენტრში — ჯანსუღ დადუშაძე-იანი.



ლიტერატურის კავშირი, კოსტავას ქუჩაზე, სამშაბათის შემოდგომის საღამოს, ერთი ფრანგი მწერლის ტექსტი მომავლენა, როცა რაღაც საბაბის გამო შეკრებილ ადამიანთა უსისტემო ფაცი-ფუცი „კეთილშობილი გულგრილობისაკენ“

იხრება და როცა თითქმის არავინ იცის რაზე საუბრობს, მაგრამ ძალისხმევას შეძლებისდაგვარად სწორი გზისკენ წარმართავს... იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვა გზა ყოველთვის არასრულყოფილია, ვფიქრობთ, ასეთი თავ-

ყრილობები მხოლოდ და მხოლოდ ერთი შედეგისკენ უნდა იყოს მიმართული — მწერლისადმი კეთილგანწყობა გამოხატონ, ვინაიდან ყველა მსგავსი მცდელობანი თუ, ჩხრეკვანი ოდენ მცდელობის დონეზე რჩება ლიტერატურის ისტორიაში.

საყდრები შემოვიკრიბო სჯობის

„ლიტერატურის ისტორია“ შემთხვევით არ ვახსენებ. მწერალი, რომელიც იმ საღამოს, საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე უსაზღვრო მოკრძალებით იდგა, ვფიქრობთ, რომ უკვე ლიტერატურის ისტორიის ნაწილი ხდება. მისი ტექსტები მხოლოდ პოეტინციურ ღირებულებებსა და ქალი-მწერლის თავისებურებებზე სასაუბროდ არ განგაწყობს. ის ჩვენს სივრცეში რეალურად არსებობდა, მკვიდრდება, როგორც ნამდვილი ლიტერატურა... ფრაგმენტი რომანიდან: „ჰო, მართლა... იცით რომ ომი იწყება? ზუსტად აღარ მახსოვს სად, — ცხადში თუ სიზმარში, მაგრამ იწყება.“



— ამავე დროს წერის პროცესზე უკეთესად სხვა ვერაფერს იტყვის... წერის პროცესმა, სწორედ ამ წიგნის წერამ, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა... პირველ ვარიანტს დიდხანს ვამუშავებდი, ზედმეტს ვაცლიდი... ვერ გამოვიდოდი იმ სამყაროდან... ვთვლი, რომ ეს ნაწარმოები, წინა მოთხრობებისგან სრულიად განსხვავებულია. ფაქტიურად, ჩემი მკითხველი ვერც მცნობს.

— სულ ასეც არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავებულია, მაგრამ არა მგონია, იმ მკითხველმა ვერ გიცნოს, რომელმაც იცის შენი ლირიზმი, მღელვარება, განცდათა გამოხატვაში ნამდვილი ლიტერატურული ზომიერების და წერტილის დასმის ხელოვნება. შენმა მკითხველმა ისიც კარგად იცის, რომ დეტექტიურ მოულოდნელობას არასოდეს სთავაზობს.

— თხრობა ამ რომანში მთლიანად ასოციაციებზეა აგებული, უფრო ფსიქოლოგიურია. ამ რომანის წერისას უდიდეს სიამოვნებას რაღაც მოუხელთებელთან მიახლოებით ვიღებდი... როცა ხელიდან გასვლტება და მერე მოულოდნელად იჭერ სათქმელს... ეს ჩემთვის გარკვეული ექსპერიმენტი იყო. შედგა თუ არა ვერ ვიტყვი, ეს მკითხველმა უნდა თქვას... — ნუთუ მართლა ვერ იტყვი... არასდროს ვიჯერებდი, რომ მწერალმა არაფერი იცის მისი შემოქმედების ღირებულების შესახებ... — ვიტყვი, რომ ვარ კმაყოფილი. იმ სათქმელიდან, რის გახმოვანე-


ულია... მაშინ ეროტიული წიგნები უნდა ეწოდოს ყველა იმ ლიტერატურას, სადაც ინტიმი, ვნებები და განცდები აღწერილი. რატომ არავის მოაფიქრდა, რომ მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებებისთვის რომლებშიც სასიყვარულო სცენებია აღწერილი, ეროტიული ლიტერატურა ეწოდებინა?

— ჩემთვის მთავარი ამ რომანში არც ეროტიკა და არც მონაზვნური ცხოვრების წესი. მე აქ „გზა ხსნისას“ დავუძებნე. გაორებული არსების დახატვა მეტი ობიექტურობისთვის დამჭირდა. ხან ერთის თვალთ, თვალთახედვით ვუყურებდი მეორის სამყაროს, ხან მეორის თვალსაწიერიდან პირველს. აქ ორი სამყაროს დიალოგია, სიზმრების და რეალობის თავშესაყარი. ეს ჩვენი ცხოვრებაა და, სიზმარული თუ რეალური — ის მაინც ჩვენი... ჩვენი ამოსახსნელია... — აღსარების თემას დავუბრუნდეთ... რომანის გმირი ამ გზით მიდის... — ჩემი გმირი თავიდან თითქოს იკეტება, რაღაც წრეში უიმედოდ იკვრება, მაგრამ ბოლოს თანდათან იხსნება უფალთან.

— ის, რომ „გზა ხსნისა“ მე ხელოვნებაში, ლიტერატურაში დავინახე, ეს ჩემი პირობით რეალობაა. მე ამ გზით ვეცადე გავხსნილიყავი. თუ არ იყალებ, არ დამალვები, თუ არ დაფრთხები ნაკლთა შენთა ჭკრეტისთვის, რაც უფრო გახსნები უფალს და შენს ტანჯვას და შესაძლებლობებს დაანახებ, მაღე ნიშნასაც მიიღებ მისგან... ამაში დარწმუნებული უნდა იყოს.

— ნაწარმოების მიხედვით, არ ჩანს რომ ლიტერატურაზე გამავალ „გზას ხსნისას“ სხვასაც სთავაზობს. — იმიტომ რომ ეს ჩემი გზაა, ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარეა. წერა, რომელიც მოულოდნელად დავინწყე, ხსნა იყო ჩემი ტკივილის საპატიმროდან... თითქოს ვილაქამ ქლიბი შემომიგდო, რომ გიოსოები გადამხერხა. წერამ მე ნამდვილი თავისუფლება მომანიჭა. მაგრამ ამას სხვას არ ვურჩევ. — რატომ არ ურჩევ? — იმიტომ, რომ სხვა ქალისთვის შეიძლება „გზა ხსნისა“ გათხოვება იყოს, ვილაცისთვის მონაზვნობა, ვილაცისთვის მეორე ადამიანი... „აღსარების“ განზოგადება კი ის არის, რომ ხსნა მაინც ზემოდან მოდის, იქიდანა დაშვებული, ხოლო ფორმებს ჩვენ დავუძებთ აქ, დედამიწაზე... — ესაუბრა ნინო სოფარიძე

— ლიტერატურა და ცხოვრება რომ ძალიან არ დავაშორებთ ერთმანეთს იქნებ ცხოვრებაც „უსიტყვო აღსარებაა“? — ასეა ფაქტიურად. ცხოვრებას თითქოს აქვს სიუჟეტიც, ფაბულაც, მაგრამ მისი ძირითადი არსი ჭკრეტია. არის პერიოდი თავდასაველების და არის პერიოდი ანალიზის და ჭკრეტის... ეს გარეგნულად არ ჩანს, როგორც გარდამავალი ეტაპები, მაგრამ ყველაფერს, ამ საზღვრებსაც კი, თავად უნდა მიაგნო... ჩემი პირველი წიგნი ცხოვრების ფაბულაზეა... ეს მე-



ორე, უკანასკნელი წიგნი კი ამ ფაბულის ჭკრეტია. უბრალოდ რომ ვთქვათ, იმის გაგების მცდელობაა, როგორ ვცხოვრობდი... წყლის დინებას რომ შევადაროთ, პირველ წიგნში ნაჩვენებია მდინარე, თავისი ტრაექტორიით, ხოლო მეორე წიგნში წყალს ვხედავ, წყლის თვისებებს ვიკვლევ... ისე მე ალბათ ყველაზე ნაკლები უნდა ვილაპარაკო ჩემს წიგნზე...

— ამავე დროს წერის პროცესზე უკეთესად სხვა ვერაფერს იტყვის... წერის პროცესმა, სწორედ ამ წიგნის წერამ, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა... პირველ ვარიანტს დიდხანს ვამუშავებდი, ზედმეტს ვაცლიდი... ვერ გამოვიდოდი იმ სამყაროდან... ვთვლი, რომ ეს ნაწარმოები, წინა მოთხრობებისგან სრულიად განსხვავებულია. ფაქტიურად, ჩემი მკითხველი ვერც მცნობს. — სულ ასეც არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავებულია, მაგრამ არა მგონია, იმ მკითხველმა ვერ გიცნოს, რომელმაც იცის შენი ლირიზმი, მღელვარება, განცდათა გამოხატვაში ნამდვილი ლიტერატურული ზომიერების და წერტილის დასმის ხელოვნება. შენმა მკითხველმა ისიც კარგად იცის, რომ დეტექტიურ მოულოდნელობას არასოდეს სთავაზობს. — თხრობა ამ რომანში მთლიანად ასოციაციებზეა აგებული, უფრო ფსიქოლოგიურია. ამ რომანის წერისას უდიდეს სიამოვნებას რაღაც მოუხელთებელთან მიახლოებით ვიღებდი... როცა ხელიდან გასვლტება და მერე მოულოდნელად იჭერ სათქმელს... ეს ჩემთვის გარკვეული ექსპერიმენტი იყო. შედგა თუ არა ვერ ვიტყვი, ეს მკითხველმა უნდა თქვას... — ნუთუ მართლა ვერ იტყვი... არასდროს ვიჯერებდი, რომ მწერალმა არაფერი იცის მისი შემოქმედების ღირებულების შესახებ... — ვიტყვი, რომ ვარ კმაყოფილი. იმ სათქმელიდან, რის გახმოვანე-

ნაცნობი სიტყვების განმარტებანი



მის ვეწოდებთ ცინიკოს? ადამიანს, რომელმაც იცის ყველაფრის ფასი, მაგრამ არაფერს არაფითარ ღირებულებას არ ანიჭებს. ოსპარ უაილდი

მოწყენილობა — არის სერიოზულობის ნაკლებობა. ოსპარ უაილდი

დაპარბული რამპუტაცია დამსხვრეული ბროლის ჭკრეტულს ემსგავსება: დაწებება შეიძლება, მაგრამ დაზიანებული ადგილები გამომჩნდება. ჯორჯ ბერნარდ შოუ

შეშე — მორიელია, რომელიც საკუთარ თავს გესვლავს. პერსი ბიში შელი

უსასტიკი ტირანი — არის ის, ვინც კანონიერებისა და სამართლიანობის დროში გამოდის. შარლ დე მონტესკიე

სიბერა — სულელთათვის ტვირთია, უეცრათათვის — ზამთარი, მეცნიერთათვის — აზრის მოსაკვლის ადგება. შრანსუა ვოლტარი

რა არის ჭეშმარიტება? — ჩვენი განსჯის თანხმობაა იმ სინამდვილესთან, რაც ბუნებას შეუქმნია. შრანსუა ვოლტარი

სისასტიკე — ეს არის შედეგი შიშის, სისუსტის და სიმზდალის. კლოდ პელოციუსი

სიმატილე მწარე წამალია. არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს. ორორა დე პალეზაბი

ჩვენი ტელეფონები: 99-55-01; 893 14-57-56. ჩანართმა მუშაობენ: ნინო სოფარიძე, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.

თორმეტი უსაფრთხო «პაწაწუნა»

მცირე ზომის საზღვარგარეთული ავტომანქანების უსაფრთხოების რეიტინგი

პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე უფრო კარგად იყიდება „პანანუნები“ — B-კლასის მცირე ზომის ავტომანქანები. მყიდველთა გულუბნობით დაბალმა ფასებმა, მაგრამ როგორც უსაფრთხოების საკმე? ხომ ცნობილია, რომ „პანანუნები“ კი არა, ზოგჯერ „უფროსკლასელებიც“ კი, რომლებსაც გაცილებით უფრო დიდი ზომები და მასა აქვთ, საგზაო-საავტომობილო შემთხვევების დროს მძღოლისა და მგზავრთა სრულფასოვან დაცვას უზრუნველყოფენ. მაშ, „პანანუნებისგან“ რაღას უნდა ველოდოთ?

იმის გარკვევისას, თუ რომელი მცირე ზომის ავტომანქანა ყველაზე უსაფრთხო, ყურნალისტებმა სპეციალისტებთან ერთად, პირველი ადგილი მიაკუთვნეს იმას, რომელმაც კრაშ-ტესტების შედეგად ყველაზე ნაკლები დაზიანება მიიღო და ყველაზე „ჰუმანურად“ მოექცა ფეხით მოსიარულე-მანეკენს. იმ შემთხვევაში, როცა ქულები თანაბარი იქნა, ყურადღება ექცეოდა დამატებით პარამეტრს — სალონში მძღოლის გვერდით სპეციალურ საბავშვო დასაჯდომზე მჯდომი ბავშვის უსაფრთხოებას. თეორიულად დასაგროვებლად მაქსიმალურად შესაძლებელი ქულების რაოდენობა 73 იყო.

სხვათა შორის, ამ მაჩვენებელს სადღეისოდ ვერც ერთმა მოდელმა ვერ მიაღწია.

1. A-კლასის MERSEDES-ი — ყველაზე უსაფრთხო მცირე ზომის ავტომანქანაა. მან 53 ქულა მოაგროვა, თანაც მძღოლისა და მგზავრთა დასაჯდომზე მჯდომი მგზავრის უსაფრთხოებისთვის „მინი-ჯორმა“ 37 შესაძლებელიდან 36 ქულა მიიღო! დიდებული შედეგია! მძღოლის მანეკენმა შეჯახებისას გულმკერდის და მარცხენა კოჭის უმნიშვნელო ტრავმები მიიღო.



2. Toyota Yaris. ქულათა ჯამით „იაპონელი“ სახელოვან „გერმანელს“ არ ჩამორჩენია, თუმცა ოდნავ დათმო პოზიცია ბავშვის უსაფრთხოების მხრივ. მანეკენს სიარული და ლაპარაკი რომ შეეძლოს, იგი გაიღიმებდა, თავს მოინწესრიგებდა და ოდნავ კოჭლობით გზას განაგრძობდა, რადგან რაიმე სერიოზული ტრავმა არ მიუღია.

3. Fiat Ponto-მ, რომელიც წლებს გამოუშვეს, 52 ქულა მიიღო. დაცვის შეფასებათა დიაპაზონი „ფრიადსა და ძალიან კარგს“ შორის მერყეობს. განსაკუთრებით ექსპერტებმა აღნიშნეს მძღოლის „თავის“ უსაფრთხოება. გვერდიდან დარტყმის დროს მგზავრებს დაიცვენ ავტომანქანის კარებში ჩადგმული უსაფრთხოების კოჭები.



4. Renault Clio III მძღოლისთვის და მგზავრთათვის არანაკლებ უსაფრთხოა, მაგრამ ფეხით მოსიარულეებს ნაკლებად „თავაზიანად“ ეყურება, ვიდრე საპრიზო სამეული, რაც 10 პუნქტის საფასურად დაუჯდა. გასაკვირია, მაგრამ საგანგებოდ დადგმული ავტო-საგზაო შემთხვევის დროს ყველაზე მეტად მგზავრის მანეკენი დაზიანდა! მსგავსი რამ სინამდვილეში რომ მოხდარიყო, თავი შესახვევი ექნებოდა.

5. Hyundai Getz. ამ ავტომოცვარულეებში ყველაზე პოპულარულმა მოდელმა 30 ქულა მიიღო. ავტომანქანის მძღოლისა და მგზავრთა დაცვა ექსპერტებმა შეაფასეს როგორც უბრალოდ „კარგი“. სხვათა შორის, „გეტცის“ მძღოლის თავს შეჯახებისას არაფერი მოუვა, აი, ნეკნები კი შეიძლება დაეღწეოს!



6. Citroen C — „ფრანგი“ მტკიცედ იკავებს საშუალო ადგილს, როგორც მძღოლისა და მგზავრების, ასევე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მხრივაც. თუმცა, მძღოლის გვერდით მჯდომი მგზავრი კრაშ-ტესტის დროს საერთოდ არ დაზარალბულა, მძღოლს, შესაძლოა, გარკვეული ხანი ჯოხით სიარული დასჭირდებოდა — მას თემოს საშუალო სიმძიმის ტრავმები დაუდგინეს.

7. Volkswagen Polo. მისი შედეგია 28 ქულა. შესაძლოა, „სახალხო ავტომანქანა“ უფრო მაღალ ადგილსაც იმსახურებს, მაგრამ მისი ტესტირების დროს „საბავშვო“ უსაფრთხოებისთვის ნიშნები ჯერ კიდევ არ იწერებოდა. შეჯახების შემდეგ მძღოლი-მანეკენი თავს შესანიშნავად გრძობდა, მას მხოლოდ თეძოები და ფეხების ტერფები დაუზიანდა.



8. Fiat Panda — კრაშ-ტესტის ალ-ნიშნულია ციფრი „26“. მართალია, „დათუნია“ სალონში მსხდომ მძღოლს, მგზავრებს, ბავშვების ჩათვლით, ლობობიერად ეყურება, მაგრამ ფეხით მოსიარულეებთან ურთიერთობა აშკარად კარგი არა აქვს. ეს ჭეშმარიტად „ნელა სასიარულოდ შექმნილი პანანინა მანქანაა“. გზაჯვარედინების გავლისას განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ — გვერდიდან დარტყმის შემდეგ მძღოლი მოტეხილობების გარეშე ვერ გადარჩება!

9. Skoda Fabia-მაც 28 ქულა მოაგროვა, მაგრამ საგზაო მოძრაობის უბორბლო მონანილენი პატრონზე მეტად „უყვარს“. ხელ-ფეხის ტრავმები, საჭეზე გულმკერდის დარტყმა „ფაბიას“ მძღოლს, რა თქმა უნდა, არ დაავინწყდება, თუმცა თავი მაინც მთელი დარჩება.



10. Kia Picanto-მ 25 ქულა მიიღო, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მძღოლისა და მგზავრების დაცვა დამაკმაყოფილებელია. შესაძლოა მძღოლმა ნეკნები და ფეხები მოიტეხოს, დაზარალდეს მგზავრიც. ორივე საავადმყოფოში მოხვედრა, მაგრამ გადარჩება. სხვათა შორის მე-5 სერიის უახლესმა BMW-მ მხოლოდ 31 ქულა მოაგროვა, ასე რომ კორეული პანანინა შეიძლება შევაქოთ კიდევ.

11. Opel Corsa — 25 ქულა. ავტომოცვარულისა და მისი მგზავრების უსაფრთხოების მხრივ „გერმანელი“ „კორეელს“ 8 პუნქტით ჩამორჩება, თუმცა ფეხით მოსიარულეების მიმართ ძალიან ჰუმანურია. ამ ავტომანქანით ავარიში მოყოლას მტერსაც არ ვუსურვებთ — პირისპირ შეჯახებისას მძღოლს დაუზიანდება ტანი და ფეხები, ხოლო გვერდიდან დაჯახებისას — თავი!



12. Peugeot 206. კვლავ 25 ქულა! შეჯახებისას მძღოლისა და მგზავრის მანეკენებმა ფეხებისა და გულმკერდის საშუალო სიმძიმის დაზიანებები მიიღეს, მაგრამ „გამომცდელოთა“ თავები გადარჩნენ. აღსანიშნავია, რომ „პეჟოს“ მგზავრს მძღოლზე უფრო მეტი საშიშროება ელის. აუ, გოგონებო! იქნებ სხვა მანქანა შეგერჩიათ?

როგორ ამტკიცვენ მანქანებს?

ავტომანქანის უსაფრთხოების დონის დასადგენად, ექსპერტები თავდაპირველად პირისპირ შეჯახების იმიტირებას ახ-

დენენ. ამისათვის მანქანას საათში 64 კილომეტრის სიჩქარეზე გააქანებენ და დეფორმაციის მიმცემ წინააღმდეგობას აჯახებენ. კონტაქტის ფართობი 40 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, ამონებენ ასევე რკინის რაშის გვერდების სიმტკიცესაც. ამ შემთხვევაში სამიზნეს უკვე თავად სატესტო


ავტომანქანა ხდება, რომელსაც საათში 50 კილომეტრის სიჩქარით 950-კილოგრამიან სპეციალურ ურიკაზე დაყენებული ლუგვი ეჯახება. „ფეხით მოსიარულეთა ტესტის“ დროს კი საათში 40 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს ავტომანქანის ბორბლებსკვემ ფეხით მოსიარულე-მანეკენს აგდებენ.

ქრისტეშობა



„ვერ გამოვცო, რატომ არ იყო საბჭოთა კავშირში კერძო საზარეკო-საწარმოები“

21 ნოემბერი, 1916 წელი




ბამთიანიისას ეგვიპტის ზღვაში გერმანელთა ნაღვე აფეთქდა და ჩაიძირა „ტიტანიკის“ „ტყუპისცალი“ ხომალდი „ბრიტანიკი“. იმ დროისათვის ერთ-ერთი უდიდესი ხომალდი მცურავ პოსპიტლად იყო გადაკეთებული და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო ოპერაციებში. გემი 55 წუთში ჩაიძირა, მაგრამ მაშველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 1136 დაჭრილის, ეკიპაჟის წევრთა და მედპერსონალთა შორის მხოლოდ 30 ადამიანი დაიღუპა. დაიღუპნენ ისინი, ვინც ვერ შესძლო დიდი სიმაღლის გამო გემის კიჩოდან გადმოსვლა.

22 ნოემბერი, 1605 წელი

პრაიმოვში შედგა მინდობილობითი ჯვრისწერა (იმ დროს არსებობდა ამგვარი პრაქტიკა) პოლონელი ვოევოდა იური მნიშევის ულამაზეს ქალიშვილ მარინა მნიშევისა და ცრუდიმიტრი I-ს შორის, რომელიც 4 თვით ადრე მოსკოვში, კრემლში მეფედ ეკურთხა. სინამდვილეში ცრუდიმიტრი გახლდათ რუსეთიდან გადახვეწილი ბერი გრიგორი ოტრეპიევი. სიძის ნდობით აღჭურვილი პირი იყო მოსკოველი „ელჩი“ ათანასე ვლასევი. ნამდვილი ჯვრისწერა და ქორნილი მარინა მნიშევისა და ცრუდიმიტრი I შორის შედგა 1606 წლის 18 მაისს. 9 დღის შემდეგ კი ცრუდიმიტრი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. მარინა გადარჩა, მაგრამ შემდგომ დააპატიმრეს და 1615 წელს საყრობილეში გარდაიცვალა.



23 ნოემბერი, 1890 წელი



საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ რუანში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა დიდი ფრანგი მწერალი და მოაზროვნე გუსტავ ფლობერი, საზეიმოდ გაიხსნა მწერლის ძეგლი. მისი ავტორი გახლდათ იმ დროისათვის ცნობილი მოქანდაკე ანრი-მიშელ ანტუან შაპიუ. მსოფლიო კლასიკოსის ძეგლი გაიხსნა მისი გარდაცვალებიდან 10 წლისთავე. სამწუხაროდ, რუანელები კარგად არ იცნობდნენ თავიანთ თანამემამულეს და გუსტავ ფლობერის ღვაწლის ამგვარ აღიარებას მიაწერეს მის უერთგულეს მოსწავლეს და სიცოცხლის ბოლო წლებში უახლოეს მეგობარს ფრანგ მწერალ გი დე მოპასანს.


24 ნოემბერი, 1965 წელი

კონგოს არმიის 35 წლის მხედართმთავარმა (1982 წლიდან მარშალმა) შავკანიანმა ჟოზეფ დევირე მობუტუმ სამხედრო გადატრიალების გზით ხელში ჩაიგდო ხელისუფლება და თავი ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადა. იგი ფაქტობრივად კონგოს დიქტატორი გახდა. ქვეყანას სახელად ზაირი უწოდა, ქვეყნის დედაქალაქი ლეოპოლდვილი კინშასუდ გადასახელდა. თავად მობუტუ სესე სეკო კუკუ ნგბენდუ ვაზა ბანგად იწოდებოდა. მისი მმართველობის დროს 45-მილიონიანი ზაირი, აფრიკის ერთ-ერთი ძლიერი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა, უღარიბეს მხარედ იქცა. 1997 წელს სამხედროებმა პრეზიდენტი დიქტატორი დაამხეს. ქვეყანას ეწოდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ 24 ნოემბერი, მობუტუს სამხედრო გადატრიალების დღე, კვლავ ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულად დარჩა.



25 ნოემბერი, 1875 წელი

მავრიკიის მმართველმა ისმაილ-ფაშამ 100 მილიონ ფრანგულ ფრანკად მიყიდა ინგლისელებს სუეცის არხის აქციათა 46 პროცენტი, დარჩენილი აქციები საფრანგეთს ეკუთვნოდა. ეგვიპტის ხელისუფალს სურდა ამ თანხით ქვეყანა გამოეყვანა ეკონომიკური კატასტროფისგან. უამრავი თანხა წავიდა არხის მშენებლობაზე, კაიროს მოდერნიზაციაზე, დედაქალაქში საოპერო თეატრის აგებასა და ჯუზეპე ვერდის უკვდავი ოპერა „აიდას“ დადგმაზე, რომელიც სუეცის არხის გახსნას მიეძღვნა. მაგრამ ვალებიდან ქვეყანა მაინც ვერ გამოვიდა: ერთი წელიც არ იყო გასული და ევროპის ძლიერმა სახელმწიფოებმა ეგვიპტეს თავს მოახვიეს შინა ფინანსური კრიზისი. სუეცის არხის აქციათა ფასი საუკუნის მიწურულისთვის რვაჯერ გაიზარდა.



ლუის კორვალანი: „უძებნოვობა სოციალიზმის ბრალი არ არის!“

ცნობილი ჩილელი კომუნისტი ფარდას ხდის მიწის გუბერნორსა და სოციალისტურ პარტიას უსურვებს ლენინს.

ჩილის კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივანი 89 წლის ლუის კორვალანი, სანტიაგოს წყნარ რაიონში, ერთ მომცროს სახლში ცხოვრობს. თავის დროზე კორვალანი ისეთივე პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში, როგორც ადრეულ დევისი. საბჭოთა დისიდენტ ვლადიმერ ბუკოვსკიზე მისი ცნობილი კაცვლის შემდეგ მთელი ქვეყანა მღეროდა: „Обменяли хулигана на Луиса Корвалана“. ერთხანს კორვალანი საბჭოთა კავშირსა და გდრ-ში ცხოვრობდა, მერე კი ჩილის იატაკქვეშეთს დაუბრუნდა, საიდანაც პინოჩეტის გადადგომის შემდეგ გამოვიდა. ადამიანი-ლეგენდა, კასტროს და ლენინის ფოტოებით დამშვენებული ოთახის ზღურბლზე შემოგებდა.



გრევა. ამას, მე მგონი, ამერიკელებიც კი არ მოელოდნენ. მაგრამ გავიდა დრო და ცოტა დავმშვიდდი. მთავარია, რომ 73 წლის წინათ მე კომუნისტურ პარტიაში შევედი და იმ დღიდან მოყოლებული იდეალებს არ ვიცვლი.

—სამაგიეროდ სხვებმა შეიცვალეს ისინი, ბატონო კორვალანი.

—მაგრამ, საბედნიეროდ, ყველამ არა. კუბას, მაგალითად, მაღლა აქვს აღმართული სოციალიზმის დროშა და წინააღმდეგობას უწევს ამერიკულ აგრესიას, რაც მე გულს მითბობს.

—მე მთელი კუბა შემოვიარე. ადამიანები საოცარ სიღარიბეში ცხოვრობენ, ბევრი დაუფარავად აცხადებს: ნეტავ, ხელი-სუფლება მალე შეიცვლება?

და ჩვენთანაც კაპიტალიზმი დამყარდებოდა.

—მე დარწმუნებული ვარ, რომ კუბელი ხალხის უმრავლესობა ასე არ ფიქრობს. კუბის დიდი ნარმატება იყო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ ჩაიძირა — მათი შაქრის კარგ ფასად ყიდვა ხომ, როგორც ამას რუსები აკეთებდნენ, არავის უნდოდა. არ შემოგედანვებით, რატომ უნდა სიძნელეები არსებობს...

—სოციალიზმის დროს სიძნელები საერთოდ ყოველთვის არსებობს.

—არ არის მართალი. სოციალიზმის ბრალი არ არის, რომ ძეხვი არაა. ამაში დამნაშავეა აშშ-ს მთავრობა. ამერიკული ბლოკადა რომ არა, კუბა აყვავდებოდა.

—ამას კუნძულის მოსახლეობას 50 წელია ეუბნებიან.

—მართალია, ამჟამად იქ საქმეები მთლად კარგად ვერ მიდის, მაგრამ ხალხი ერთად უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეკონომიკური სიძნელეები თანდათან ისპობა. ხელების აწვევა და დანებება გამოსავალი არ არის. უნდა გვესმოდეს, რომ სოციალიზმს დიდი მომავალი აქვს.

იხ. 30-18 გვ.

მთვარეზეც კი


რუსეთის მეცნიერებთა აკადემიის სწავლულმა სერგოზულად მოჰკიდეს ხელი უცხოპლანეტელთა ძიებებს.

ასტრონომებმა უკვე აღმოაჩინეს 168 პლანეტა 144 მზის სისტემაში. ეს გამოცხადდა აკადემიის ამასნი-ნანდელ კონფერენციაზე „ასტრონომიის ჰორიზონტები: დედამინის გარე ცივილიზაციათა ძიების პრობლემები“. ამ პლანეტების უმეტესობას იუპიტერივით გიგანტები შეადგენენ. ისინი ძალიან ცხელნი არიან. ჟანგბადის შემცველობა გიგანტთა ატმოსფეროებში უმნიშვნელოა; და მაინც, მეცნიერთა აზრით, ასეთ გავარჯერებულ სამყაროებსაც შეუძლიათ არამინიერი არსებების შეფარება.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მილიარდობით წლის წინათ, როცა სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე ის-ის იყო ჩაისახებოდა, ჟანგბადი ატმოსფეროში ასევე ძალიან ცოტა იყო. „მაცოცხლებელი“ გაზი მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა მცენარეებმა იმის გამოყოფა დაიწყეს ფოტოსინთეზის პროცესში. კი ბატონო, ახლა დედამიწის ბინადართა უმრავლესობა უფანგბადოდ ვერ იარსებებს, მაგრამ აქ ბინადრობენ ჟანგბადის ნაცვლად აზოტით, გოგირდითა და რკინით მოსარგებ-

ლე ორგანიზმებიც, თუმცა ისინი ცოტანი და ძველი ეპოქების რუდიმენტები არიან... საერთოდ, რომელიმე პლანეტაზე ჟანგბადის არსებობა სულაც არ ნიშნავს იმის უსიცოცხლობას.

ჰო, მაგრამ, აღმოჩენილ პლანეტებზე რომ ჯოჯოხეთური სიცხეა? რა ვუყუთ მაღალ ტემპერატურას



—ცელსიუსით ათას გრადუსზე მეტს? საქმე ისაა, რომ დედამიწაზე არიან ვულკანებზე და ცხელ თერმულ წყაროებში მცხოვრები მიკროორგანიზმები, რომლებმაც შეძლეს ცელსიუსით 100-150 გრადუსთან შეგუება. ძნელი და ეგებ შე-

უძლებელიცაა ათასი გრადუსი სიცხისას მცხოვრები არსების წარმოდგენა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი „სიცხემდეგე“ ორგანიზმები არ არიან. ესა თუ ის პლანეტა ნებისმიერი პირობებით უნდა განვიხილოთ და უბრალოდ დედამიწას კი არ შევადაროთ, არამედ შევეცადოთ გაგებას, თუ სიცოცხლის როგორი ფორმების განვითარება შეიძლება იქ.

ნამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ ზოგ შემთხვევაში სიცოცხლე პლანეტის ზედაპირზე კი არა, ატმოსფეროს ზედა ფენებში წარმოიქმნება. ეს შესაძლებელია „ჩვენს“ იუპიტერზეც კი. არავინ იცის, შეუძლია თუ არა ევოლუციას ამგვარად მიღწევა გონივრული სიცოცხლის გამოჩენამდე. შეძლებით ყველაფერი შეიძლება. მაგალითად, ჩვენი წინაპარი პითეკანტროპი რომ ჩრდილოეთ ტუნდრაში დაესახლებინათ, და უყოვნებლივ გაიყინებოდა და არავითარი ცივილიზაცია არ წარმოიშობოდა. ევოლუციის მსვლელობისას კი ადამიანები შეიმოსნენ, კოცონები დაანთეს და აითვისეს დედამიწის პოლარული რაიონები, თითქოსდა ადამიანი-სადმი უკიდურესად მტრული.

იხ. 30-16 გვ.

მთვარეზეც კი

(მთვარეზეც კი გვირგვინი)

აქვე სათქმელად: 1969 წელს ამერიკული ხომალდი „აპოლონ-12“ მთვარეზე დაეშვა, ორი წლით ადრე „დამთავრებული“ აპარატის „სერვეიერ-3“-ის მახლობლად. ასტრონავტებმა აპარატი დაშალეს და მექანიზმების ნაწილი დედამიწაზე ჩამოიტანეს. პოდა, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ „სერვეიერის“ დეტალებზე მთელი ეს დრო არხებიან ცხოველებს მინიერი ბაქტერიები. ცხოველებს მთვარეზე, უპირობოდ ცხოვრობდნენ!



სურათზე გამოგონილი პლანეტის, დარვინი IV-ის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებს ხედავთ. სწავლულთა აზრით, მსგავს ქმნილებებს სავსებით შეუძლიათ სხვა სამყაროებში ცხოვრება.

მს ფინველ-გაფრთხილება

დარვინი IV-ზე სიმძიმის ძალა მცირეა, ამიტომ ჰაერში ასვლა შეუძლიათ ძალიან დიდ მტაცებლებს. ფრინველ-შამფურის ფრთების განაშალი 15 მეტრამდეა, სიჩქარე — 350 კმ/სთ.

სად მოხერხდება მისი

სისტემაში პარალელურად ცხოვრება

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ადამიანები არ არიან ერთადერთი ბინადარი მზის მდამოკლებში.

პლანეტები

ბიოლოგები ეჭვობენ, რომ სიცოცხლე დიდ სიღრმეზე შესაძლებელია მარსზე, ვენერასა და მერკურზე. ნითელ პლანეტაზე (მარსს ასეც უწოდებენ) ორგანიზმების აღმოჩენა მოსალოდნელია 10 მეტრამდე მცირე სიღრმეზე. ვენერასა და მერკურზე, სადაც საჭიროა მზის მწველი სხივებისგან განრიდება, საბინადრო ფენა ზედაპირიდან 100 მეტრზე იმყოფება.

ნავთუნი

პლანეტა ნეპტუნი გაყინული წყლისგან შემდგარი ბურთი გახლავთ. როგორც დედამიწაზე, მათაა მყინვარებში, მშვიდად ცხოვრობენ და მრავლდებიან უმარტივესი მიკროორგანიზმები, ასევე ნეპტუნზეც, ზედაპირზე შესაძლებელია პრიმიტიული სიცოცხლე.

თანამგზავრები

ამჟამად ასტრონომები გონივრული სიცოცხლის აღმოსაჩენად

ყველაზე პერსპექტიულად მიიჩნევენ იუპიტერის თანამგზავრებს: იოს, ევროპას, ჰანიმედას და კალისტოს. აქ არის ატმოსფერო და იუპიტერთან თანამგზავრთა სიახლოვის წყალობით, აქტიური სეისმური მოქმედება მიდის, ამოიფრქვევიან ვულკანები — ზედაპირზე შენარჩუნებულია მისაღები ტემპერატურა.

ტიტანი

შესაძლოა, სიცოცხლის არსებობა სატურნის მეთანურ თანამგზავრზე, ტიტანზე. ბევრი პარა-



მეტრით ეს თანამგზავრი — მთვარე იმ დედამიწას მოგვაგონებს, როგორც იყო ხუთი მილიარდი

წლის წინათ, როცა ჩვენთან სიცოცხლე მხოლოდ ჩაისახებოდა.

კომეტები

კომეტა ტემპელთან ამერიკული აპარატის „დიმითისის“ შეჯახების შემდეგ მიღებული მონაცემების ანალიზმა უჩვენა, რომ სივრცეში ორგანიზმების ვეებერთელა რაოდენობა გამოიფრქვა. მზის მდამოკლებში „მოხეტიალე“ სხვა კომეტების გამოკვლევებით გამოიკვდა, რომ გარე მიმდებარე ქერქის ქვეშ ტემპერატურა +70 გრადუსია (კომეტა ბორელი). მეცნიერთა დასკვნებით, კომეტების ფხვიერ ბირთვებში არის წყლით ავსებული ღრუები და ბზარები, სადაც განვითარება შეუძლიათ უმარტივესი მიკროორგანიზმებს. ეს ვერსია ყველაზე ადვილი შესაძლებელია. მთვარის სამხრეთ პოლუსზე იმ ყინულიდან ნაზავებია, რომელიც სწორედ რომ ჩვენი თანამგზავრის ზედაპირზე კომეტების ჩამოვარდნით წარმოიქმნა. ამ ყინულის სინჯების აღებით, შესაძლოა, რომ იქ უცხო მიკროორგანიზმები აღმოჩნდეს.



დავით აღმაშენებლის კავკასიური ეროვნების სახეები

(ნიკიტსკიე ვორა-სთან მღვდარმა თეატრში)

ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ თავის დროზე მთელმა საბჭოთა ქვეყანამ წაიკითხა, პიესად თვით ავტორისა და გიგა ლორთქიფანიძის მიერ გადაკეთებულმა, მერე იმავე საბჭოთა კავშირის ლამის ყველა სცენა მოიარა. დიდ დრამატულ თეატრში მოხსუც ილიკოს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სერგეი იურსკი თამაშობდა და ეფემი კოპელიანთან — ილარიონთან ერთად ბრწყინვალე, სასაცილო და აცრემლებამდე ამბოღებულ დუეტს შეადგენდა.



დიდი სამამულო ომის მიწურულის ქართული სოფელიც ჭარბად ატარებდა სამხედრო დროის გაჭირვების ყველა ნიშანს. ხანდაზმულნი და უმამულოდ დარჩენილი ბავშვები, მწირი საჭმელი და ნათელი მომავლის ურყევი რწმენა. კიდევ — ადგილობრივი კოლორიტი, ადამიანურ ურთიერთობათა სამხრეთული სიბზო, ღირსების გამაფრებელი გრძობა და მსუბუქი, აელვარებულ იუმორი.

მოტყორცნილი გეგმელება. აღარავინ იხსენებს არც უკეთილეს შფოთისთავთ ილიკოსა და ილარიონს, არც გულის ამაჩუყებელ „ჯარისკაცის მამას“, არც უნდობლად კომიკურ სამეფოს რეზო გაბრიანიას სცენარების მიხედვით გადაღებულ მოკლემეტრაჟულთაგან. აგერ, ოდენ გუშინ იყვნენ, თანაც გამოგონილი კი არა, ცხოვრებაში დანახულნი და ყოვლად ადამიანური სოლიდარობის გამომწვევნი. ახლა-ღა? ახალი ამბების აუცილებელი საფრთხობელია: პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ულტიმატუმები, სავიზო რეჟიმი და საპასპორტო კონტროლი.

ნიკიტსკიე ვორა-სთან თეატრში სპექტაკლი რეჟისორმა არკადი კაცმა დადგა. გასაგებია, რომ ეს ახალი დრამა კი არა, ძველმოდური დელიკატური „მსახიობური“ რეჟისურა გახლავთ ტექსტის, გრძობის, უაღრესად ადამიანური ისტორიის აუქქარებელი თხრობის პრიორიტეტი. ოღონდ ეს ყველაფერი ხომ ძველებურად ხდება სხვა სცენებზეც, მით უმეტეს, რომ „თანამედროვე თეატრის“ ცნება ერთობ მრავალმნიშვნელოვანია. ეგების ამ ადამიანური ისტორიის არჩევანშია მთელი საქმე, იმაში, რომ ბიჭი ზურიკო (ალექსანდრე ხომასბაძე) ამბავს პირველ პირში ჰყვება, საჭირო მონეტში კი მორიგი სცენა ერთვება, პერსონაჟებით. მოქმედების მსგავსი სტრუქტურა თავისთავად არის „რეტრო“, მაგრამ რეჟისორს ეს სრულეზობით არ ატბუნებს, იმისთვის კამერტონია მნიშვნელოვანი: „მე ეს მახსოვს, ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებია“.

ქართულ ანექდოტს მსახიობთა თამაშში პრაქტიკულად ვერ შეაჩნევთ. კი, აქცენტის მხვილ ბგერაზე შიგადაშიგ გამოჩნდება, ისევე, როგორც მაღალ ეფექტურად აწეული თითი და ეს ყველაფერი თითქოსდა სპეციალურად კეთდება: აქაოდა, ქართველებს ვთამაშობთ, ყოველი შემთხვევისათვის, ნუ დაგა-

ვინყდებათო. მთავარი მაინც სხვაა: ისტორიის სილამაზე, ჩანაფიქრთა სინამდვილე, უბრალოდ, პიესის ჩინებულად დაწერილი ტექსტი.

ილიკო-ილარიონის წყვილში გამოირჩევა სერგეი დესნიცი, რომლის გამოშახველობით საშუალებათა პალიტრა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ილიკო — იგორ სტაროსელცევთან. სადაა ავთანდილ კუტუბიძისა და კახი კამპიძის დეკორაციები: უკანა დეკორაცია გურული გაშლილი სივრცეების ხედით, სამფეხა სკამები. გენბავთ, ეგრევე ჩასვით რომელიმე ოზურგეთის რაიონის სახალხო თეატრში, სადაც, ალბათ, უსხოვარი დროიდან ასეთი „სცენოგრაფიით“ წარმოადგენდნენ ადგილობრივი „მსახიობები“ პიესებს.

მართლაც რომ მომავადობელია იმ ახალგაზრდობის გულითადობა, რომელიც სპექტაკლში 40-წლიანი ხანის წინანდელ თანატოლებს თამაშობს. რაინა პრაუდინა კი, ბუბიის როლში, მერამდენედ გვიტყვივებს, რომ ჩვენს წინ დიდი მსახიობია. არავითარი ხსენება იმ ხმაურისა „ნეორეალიზმისა“, რომელშიც დროდადრო გადაეშვებიან ხოლმე მსახიობები, როცა არა მარტო იტალიელებს — კავკასიელებსაც თამაშობენ. თავშეკავებულად, ცოტა ეზმაკურად, თავისი ბუბიის ქართული წარმოშობის ოდნავი სტილიზებით თამაშობს ლატვიელი რაინა პრაუდინა ზეეროვნულ ბედსა და ხასიათს და ამას აკეთებს განსაცვიფრებლად უბრალოდ, ამავე დროს მძლავრად. გაისმის ალექსანდრე ბასილიას სიმღერები, დაირაზე გამოჰყავთ კინტაურის საცეკვაო რიტმები და სცენაზე რაც თამაშდება, ისეთ სიტოხსა და ისეთ ადამიანურ მნიშვნელობას ასხივებს, როგორც სცილდება მეხუთე გრაფას (ადრე ამ გრაფით ეროვნება აღინიშნებოდა — ჩვენი გაზეთის რედაქციის შენიშვნა).

აი, კარგი ქართული ღვინო კითხვის დიკარგა. თვითფრინავით გადმოგზავნა ძვირია, მატარებლით წამოღება, ცნობილი გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, შეუძლებელია. თბილისელი სტუმარი თუ ჩამოტანს და უმაღლე იგრძნობს კიდევაც განსხვავებას. ნამდვილი „მუკუ-ზანი“, ისე როგორც ნოდარ დუმბაძის დონის ტექსტი, ახლა დიდი იშვიათებაა.

ნატალია კამინსკაია „КУЛЬТУРА“


ქრისტეშობა

26 ნოემბერი, 1924 წელი



დიდი სახალხო ხურალის (პარლამენტის) მიერ მონღოლეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. ამიერიდან ინოვებოდა ასე: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა (მსრ). იმავე დღეს პარლამენტმა მიიღო ახალი სახელმწიფოს კონსტიტუცია.

27 ნოემბერი, 1992 წელი



ლაშქრი ვენაში ხანძარი გაუჩნდა ევროპის ერთ-ერთ უღამაზეს და უძველეს შენობას, ბაროკოს არქიტექტორული სტილით ნაგებ შოტლანდიის სასახლეს, რომელიც XVI საუკუნიდან მოყოლებული, როგორც რეზიდენცია, ემსახურებოდა წმიდა რომის იმპერიას, ავსტრო-უნგრეთს, ავსტრიის რესპუბლიკას.

სრულიად განადგურდა დიდი და მცირე დარბაზი, სადაც 1814-1815 წლებში გაიმართა ვენის კონგრესი, რომელმაც გადამწყვიტა ნაპოლეონის ომების შემდეგომი ევროპის ხედი. მეხანძრეთა და სამხედროთა ძალისხმევით ხანძართან რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეს, რამაც კომპლექსის სამუზეუმი ფლიგელები, მათში მოთავსებული უნიკალური მხატვრული ტილოები და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები განადგურებას გადაარჩინა.

სწოხილი მოწაფეები

შხამი მრავალი წლის მანძილზე იყო არასასურველი კონკურენტებისა თავიდან მოშორების გაცრეცელებული საშუალება. მონაპოლის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა რომის იმპერატორი კლავდიუსი. 54 წელს ცოლმა აგრიპინამ ქმარს შხამიანი სოკო აჭამა, რათა ტახტზე შვილი ნერონი დაესვა.

შუა საუკუნეებში მონამლებების „ბურჯი“ იტალია გახდა. იტალიელი ეკატერინე მედიჩი, საფრანგეთის დედოფალი რომ გახდა, მტრებს ნამლავდა შხამებით, რომლებსაც მისი პარფიუმერი პირისფარეში ამზადებდა. ნავარის დედოფალი ჟანა დ'ალბრე 1572 წელს გარდაიცვალა იმის შედეგად, რომ ეკატერინეს ნაჩუქარი მონამლული ხელთათმანები ჩაიცვა.

რუსეთში შხამი პოლიტიკურ მკვლელობათა იარაღად პოპულარული არ იყო. შეგვიძლია გავისხენოთ მონამლის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა: 1538 წელს მონამლული ბურახით გაუმასპინძლდნენ ივანე მრისხანის დედას ელენე გლინსკაიას, ხოლო 1916 წელს კალიუმციანიდიანი ეკლერეზი მთავრის რასპუტინს. ისტორიაში ბევრი ცნობილი მონამვლა მოგონილია. მოცარტი 1791 წელს სრულებითაც არ გარდაცვლილა შხამისაგან, რომელიც თითქოს მისთვის სალიერის მიეცეს. არ დასტურდება აგრეთვე დარიშხანით ნაპოლეონისა და სხვა ცნობილი ადამიანების მონამვლის ვერსიები.

ძველმა ბერძნებმა სხივური იარაღი გამოიყენეს

ამერიკელმა სწავლულებმა გაიმეორეს მხოლოდ ლეგენდებით ცნობილი არქიმედეს სასწაულებრივი ცდა

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 212 წელს გენიალური სწავლულის, არქიმედეს მშობლიური ქალაქი სირაკუზი ალყაში მოაქციეს რომის იმპერიის ჯარებმა. ციხესიმაგრე ბლოკირებული იყო ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც, სადაც მოაწყობა საბრძოლო გალერები იდგნენ, თანაც ისე, რომ სირაკუზელთა კატაპულტები, სხვათა შორის, იმავე არქიმედეს აგებული, იქამდე ვერ უწევდნენ.

ლეგენდის მიხედვით, გამჭრიახმა მათემატიკოს-მექანიკოს-ასტრონომ-ინჟინერმა ციხესიმაგრის კედელზე დადგმული რალაც ხელსაწყოთი მოახერხა მტრის გემებისთვის ცეცხლის წაკიდება და მთელი ფლოტის განადგურება. ეს რომ გაუგია, რომაელთა წინამძღოლს, კონსულ მარცელს გაუღიანდა გადაუფურთხებია და წამოუძახია, დროა შევწყვიტოთ ომი ამ გეომეტრთანო.

არქიმედემ რომელია ფლოტი იდუმალი ხერხით გადაწვა.



არქიმედეს ხელით დამწვარ ფლოტს ასხენებენ ძველრომაელი ისტორიკოსები ლივიუსი და პლუტარქე, თუმცა გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ გააკეთა მან ეს. იყო ეჭვი მზისა და სარკეების დახმარებით წარმოქმნილ ათინათებზე...

ამ საომარი ეშმაკობის განმეორება არაერთხელ სცადეს, თუმცა უშედეგოდ. ბევრი მეცნიერი იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია. სხვა შეხედულებას ადგენ მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები, თუმცა პირველი ექსპერიმენტი გაუცუდდათ: 30 სანტიმეტრი სიგრძის გვერდის მქონე კვადრატული სარკით „ალჭურვილი“ 129 სტუდენტი დიდხანს ტყორცნიდა 30 მეტრი მანძილიდან სხივებს რომაული გალერის მაკეტი-საკენ, მაგრამ

აალებ ვერ მოუხერხეს. მეცნიერები ადგენ და სარკეები რკალისებურად, გიგანტური პარაბოლური რეფლექტორის და რად განალაგეს. ცენტრში ასო „X“-ის ფორმის სარკე მოათავსეს — იმისი ათინათი გახდა სამიზნე, რომლისკენაც ყველა დანარჩენი სარკე მიმართეს. ამასთან, სტუდენტების რიცხვი მკვეთრად შეკვეცეს — მხოლოდ ხუთი უძღვებოდა ცდას, ესაოდა, ერთმანეთს არ შეუშალონო. შედეგად „გალერას“ ხანძარი გაუჩნდა...

ამრიგად, ლეგენდა დამწვარ რომაულ ფლოტზე დადასტურდა. 2200 წელზე მეტი დასჭირდა არქიმედეს დატოვებული გამოცანის გამოცნობას...
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА



მანათობელი სამიზნის წყალობით მოხერხდა ყველა სხივის მიმართვა ერთ წერტილში...



... და ალიც წამიერად ავარდა.

ლუის კორვალანი: „უძევობა სოციალიზმის ბრალი არ არის!“

(მეთაურობდა ბავარდიან)

— 1976 წელს თქვენ საბჭოთა დისიდენტ ვლადიმერ ბუკოვსკიში გააცვალეს ასეთი შესაძლებლობის შესახებ უშუალოდ გაცვლის წინ გაგაფრთხილეს?

— არა. შეთანხმება ამის თაობაზე ჩემი თანხმობის გარეშე შედგა.

— ისე უნდა გავიგოთ, რომ სხვაგვარად თქვენ უარს იტყვოდით?

— მე ასე არ მიტყვამს. ვზივარ ციხეში და მთხოვენ, ნივთებიანად გამოდიოთ. ვიფიქრე, გათავდა, მორჩა-მეთქი. წამიყვანეს, თვითმფრინავში ჩამსვეს. პიროვნების დამქაშები კი მაშინ პატიმრებს ზღვაში ყრიდნენ. ვიფიქრე, ყველაფერი გასაგებია-მეთქი. დაფრინდით, ვხედავ, ირგვლივ შევიცარია, მუხნებიან, ახლა სსრკ-ს საელჩოში წავიყვანნო. მომეჩვენა, რომ გაგვიყდი. მერე ბელორუსიაში წამიყვანეს, იქ ერთი-ორი დღე დავყავი და მოსკოვში გამამგზავრეს. საბჭოთა კავშირში ბევრი რამ მაოცებდა. მინდა ახლაც გითხრა, რომ ძალიან მიყვარს სოციალისტური სისტემა. სოციალიზმის წყალობით დააღწია რუსეთმა თავი ჩამორჩენილობას, თქვენ პირველები გახვედით კოსმოსში... და იმავე დროს მე არ მესმოდა, რატომ არ იყო თქვენს ქვეყანაში კერძო საპარკმახეროები? რატომ იყო ყველა მათგანი სახელმწიფო საკუთრებაში? რა საჭირო იყო ასეთი რამ?

— თქვენ ეს ბრუნუნებისთვის არ გითქვამთ?

— ვუთხარი, მაგრამ ამისხნეს, ჩვენთან ასეა მიღებული, თუ საპარკმახეროებს კერძო საკუთრებაში გადავცემთ, კაპიტალისტებს მოვამრავლებთო, თუმცა, ჩემი აზრით, ეს რალაც უკიდურესობაა.

„მე ჰქონდა ბენეფიციარი პინოჩეტა მატს ვიცოცხლა!“

— რა აზრისა ხართ ანტიგლობალისტთა მოძრაობაზე?

— დადებითი აზრის. მიხარია, რომ ეს მოძრაობა, როგორც კაპიტალისტური გლობალიზაციის საპირინონე, მთელ მსოფლიოში იზრდება. ისე, რომ იცოდე, მეც

გლობალიზაციის მომხრე ვარ, ოღონდ სოციალისტური გლობალიზაციის, ხალხმა უნდა იბრძოლოს თავისი თავისუფლებისთვის.

— საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ თქვენ კვლავ ჩილში დაბრუნდით. ეს როგორ მოახერხეთ?

— ოდნავ შევიცვალე სახე. ქირურგმა ოდნავ შემიცვალა თვალები და ქუთუთოები, ყალბი საბუთები გავიკეთე, ტანსაცმლის სტილიც შევიცვალე. ადრე ისეთი კონსერვატორი ვიყავი, სულ ერთი ფერის პიჯაკი და თეთრი პერანგი მეცვა, შლაპა მესურა. ახლა კი ჯინსებით მომიხდა სიარული.

— მსოფლიოში პოლიტიკურ სიტუაციას თუ ადევნებთ თვალს?

— როდის როგორ. 11 სექტემბრის ტერაქტს ნიუ-იორკში პირდაპირ ვთერში ვუყურებდი. ამბობენ, ეს ბენ ლადენის ნახელავიაო, მაგრამ მე არ გამიკვირდებოდა, თუ ამგვარ ინციდენტს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მოაწყობდა, თუმცა პირდაპირ არაფერს ვამტკიცებ. მაგრამ იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ზოგმა ბენ ლადენი ანტიამერიკანიზმის დროშად და სიმბოლოდ აქცია. ცხადია, იგი ამერიკელების წინააღმდეგია, მაგრამ ჩემ ვარა მანაც არ არის.

— ბრუნუნებზე რა შთაბეჭდილების იყავით?

— ის უნარიანი ხელმძღვანელი იყო. პრობლემა ის არის, რომ იგი მეტისმეტად დიდხანს მართავდა ქვეყანას.

— თქვენი საყვარელი ფიდელო კასტრო 46 წელია ხელისუფლებაშია.

— მე მათ არ შევადარებდი. თქვენ არ მოგწონთ კასტრო, კუბელ ხალხს კი მოსწონს. შეიძლება ფიდელო კადეცა გადა-



სხვადასხვაგვარი.

90-იანი წლების დასაწყისში პინოჩეტის ფიგურა ძალზე პოპულარული გახდა, ასეც კი ფიქრობდნენ — კი, ის დიქტატორია, მაგრამ თავისი რესპუბლიკა ააყვავა, ნეტავ ჩვენ მოგვცა ასეთიო.

— ნუთუ? ეს ხომ უბრალოდ საზიზღარი პროპაგანდაა. სამწუხაროა, თუ რუსეთში ხალხს ამისი სჯერა. ჩილში მშრომელებს სოციალიზმის დროს უფრო დიდი ხელფასები ჰქონდათ, ვიდრე დღეს.

— კი, მაგრამ ამ ფულით ვერაფერს ყიდულობდნენ, იმიტომ რომ საჭმელი არ იყო.

— გეთანხმებით, მაგრამ მტრები გვიშლიდნენ ხელს, პროდუქტებს მალავდნენ. მაგრამ მსყიდველობითი უნარი ხალხს მეტი ჰქონდა, მომარაგების პრობლემები კი რევოლუციის შემდეგ ყოველთვის იჩენს თავს. ვინ არის პინოჩეტი? ის მკვლეელია.

— მე ის აქ, პოსპიტალთან დავინახე, საკმაოდ ცუდად გამოიყურება.

— არ ვიცი, რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩენია მას. მაგრამ ჯიბრზე პინოჩეტზე მეტს ვიცოცხლებ!

გიორგი ზოტოვი, სანტიაგო — მოსკოვი.



აღმოსავლეთელები გინესის რეკორდების წიგნში

ჩინელებმა თავიანთ თანამოქალაქეთა მიღწევებით მთელი გინესის რეკორდების წიგნის შევსება გადაწყვიტეს. მორიგი გარღვევა, ალბათ ყველაფერი ყველაზე დიდის შექმნის მიმართულებით ხორციელდება. არის ასეთი ნომინაცია ამ საქვეყნოდ ცნობილ წიგნში. საინტერესოა, რაზე ხარჯავენ ჩინელები თავიანთ ძვირფას სამუშაო და თავისუფალ დროს?

ასანთი ბაზრაი?

ავიღოთ, მაგალითად, ნანიცზიანის ასანთის ფაბრიკა. რა გგონიათ, იქ დღე-ნიადაგ მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ნანიცზიანის მთელი მოსახლეობა ასანთით უზრუნველყონ? დიახ, აქ ამასაც აკეთებენ. მაგრამ სადღესოდ მათი მთავარი მიღწევაა... 18 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ორმეტრიანი ასანთის ლერები. ვერაფერს იტყვის კაცი, ნამდვილად საგულივერო საგნებია. აბა, თუ ბიჭი ხარ, მიდი და გაჰყარი ასეთი ასანთის „ღერი“, ოღონდ წელი არ მოინწყვიტო.



ამის მონათმასპი, ოღონდ სხვა დანიშნულების ნაკეთობა დაამზადა კომპანია „ბაოში-ჰუას“ სამმა მუშამ. ხალხოსანმა ხელმარჯვე ოსტატებმა, ტრადიციული ტექნოლოგიის გამოყენებით, მსოფლიოში ყველაზე დიდი საჭმლის ჩხირები დაამზადეს. თითოეული ჩხირი 150 კილოგრამს იწონის, მისი სიგრძეა 4,8 მეტრი. ვინ და რას მიირთმევს ამ ჩხირებით — ეს კითხვა, ვფიქრობთ, აზრს მოკლებულია... თავად ჩხირებს თქვენ ფოტოზე ხედავთ.

პაპისტანი ჩინეთს ეშვება

თუშცა დიდ ნივთებს არა მარტო ქარხნები და კორპორაციები ამზადებენ. არიან ინდივიდები, რომლებიც იგივე მიზნებისკენ ისწრაფვიან. მხატვარმა გუო პინგფენმა 314 მეტრი სიგრძის და 85 კილოგრამი წონის სურათი დახატა, რომელზეც ჩინეთის დიდი კედელია გამოსახული. გუოს პატარა სახელწოდება აქვს, ამიტომ სურათის რულონად დახვევა მოუწია, მაგრამ თუკი მას გაშლის...

სამართლიანობა მოითხოვს აღენიშნოთ, რომ ჩინელების დანევას პაკისტანშიც



წელიც იცდილობენ. ლახორის ფესვაც მთელი ფაბრიკაში მათ მსოფლიოში ყველაზე დიდი სანალი შეკერეს. მისი სიგრძეა 4 მეტრი, სიგანე — თითქმის 1,5 მეტრი. აღსანიშნავია ისიც, რომ რეკორდის დასაფიქსირებლად გინესელები მათთან მაშინვე ჩავიდნენ და მიღწევა სათანადოდაც გააფორმეს. ჩინელები კი თავის რიგს ელიან.

თითქმის ნატურიდან

სისუფარები

ის იყო, ნომრის მასალებზე მუშაობას მოგონი, რომ ოთახის კარი ახალგაზრდა მამაკაცმა შემოსხნა. — მობრძანდით, — შემოვიპატიუე, — რამ შეგანუხათ? — ცისფერობამ, — მიპასუხა ლაკონურად. — ცისფერობამ თუ ცისფერებმა? — რას ბრძანებთ, ცისფერები რატომ შემანუხებენ, მე თავად ვარ ცისფერი. — და თქვენ ამას არ მალავთ? — რატომ უნდა დავმალე, პირიქით, ვამაყობ კიდევ, ცისფერობა ხომ მაღალცივილიზებული ბის ნაყოფია. — მაშ რატომ ხართ შენუხებული? — სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოების ამ ელიტარულ ნაწილს საქართველოში ვერ აფასებენ. უფრო მეტიც, ყოველდღიურ ცხოვრებაში უხეშად ირღვევა ჩვენი უფლებები. — რას გულისხმობთ? — რას აღარ — დაგვიჩინა, გვამცირებენ, ზოგჯერ ფიზიკურადაც გვისწორდებიან. ამას წინათ, მაგალითად, ნასვამმა ბიჭებმა ფეხქვეშ გამიგდეს და ცემით კინაღამ გაახშეთქეს. — რატომ, არ უთქვამთ? — ცისფერი რატომ ხარო. — როგორ შეგატყვეს?

— გნებავთ, საქართველოში ჩვენ ხომ ამ თვალსაზრისით მთელ მსოფლიოში მისაბაძი ქვეყანა ვართ? — როგორ გეკადრებთ, რა დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როცა კაცს გეამაყება ცისფერობა, მაგრამ იმის შიშით, რომ დაგამცირებენ, თავი ვერ გაგიმულავებია. ამას უყურებენ პარლამენტსა და მთავრობაში და ჩვენი უფლებების დასაცავად არც რაიმე კანონს იღებენ და არც ხმას იმალევენ. — ესე იგი, ეს ხელიუფლებად ცისფერებსაც არ მოგნონთ? — რა აქვთ მოსაზრონი, მანდაც ბევრი არიან ჩემნაირები, მაგრამ თანამდებობის დაკარგვის შიშით არ აჩვენებ. აბა, თუ ვაუკაცები არიან, გამოვიდნენ და საჯაროდ განაცხადონ — ვინ ცისფერია და ვინ კიდევ — ვარდისფერ-ლესოსელი. — საბოლოოდ რას აპირებთ? — საქართველოდან გადასვენებას. ამის შესახებ ტელევიზიით უკვე განაცხადებდა და თქვენთანაც ამის სათქმელად მოვედი. საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციები და საელჩოები არიან ჩართული და ჩემი გამგზავრება მალე გადაწყდება. — მერე საზღვარგარეთ ნოსტალიგია არ მოგეძალებათ? — გავეძღვე. ვფიქრობ, დიდი ხნის ლოდინი არ დამჭირდება. ქვეყანასა და პარლამენტში ცისფერები უმცირესობიდან უმრავლესობაში მოექცევიან თუ არა, მაშინვე დაებრუნდები. — თურმე სიარულის მანერა არ მოეწონათ, არც ლაპარაკისა. — არ უჩივლეთ? — პოლიციაში განვაცხადე, მაგრამ სიცილით გაიგუდნენ. ხომ გითხარით, ყველა ჩვენს დამცირებას ცდილობს. — რა უნდა ქნათ, იქნებ სქესი შეგეცვალებოდა? — შევაპარე. — არავითარ შემთხვევაში. სქესის შეცვლა მე, პირადად, დიდ მკრეხელობად მიმაჩნია, მაღლობელი ვარ განგებობა, რომ ამ ქვეყანაზე ცისფერად მომავლინა. — ვერ გამოვიდა, — ვუთხარი, — დაგვიჩინა, გამცირებენ, თქვენ კი ამაყობთ მაგ რაღაც ცისფერობით. — ჩამორჩენილები, გოიმები არიან და იმიტომ დაგვიჩინა. აბა გაიხედეთ, რა ხდება ამერიკასა და ევროპაში. ბევრ ქვეყანაში ერთს ქესიანები დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ, იქაური კანონმდებლობა მათ ქორწინების უფლებასაც კი აძლევს. — ეგ კი, მაგრამ, როგორც ვიცი, ცალსქესიანთა ქორწინებებმა ვერ გაამართლა — უნაყოფო გამოდგა. ეთნოკონფლიქტები, სტიქიური უბედურებები რომ ხდება, სწორედ სქესთა შორის ქიშპობისა და შუღლის შედეგია. — მაშ დემოკრატია როგორღა ვითარდება? — საქართველოში?

— თურმე სიარულის მანერა არ მოეწონათ, არც ლაპარაკისა. — არ უჩივლეთ? — პოლიციაში განვაცხადე, მაგრამ სიცილით გაიგუდნენ. ხომ გითხარით, ყველა ჩვენს დამცირებას ცდილობს. — რა უნდა ქნათ, იქნებ სქესი შეგეცვალებოდა? — შევაპარე. — არავითარ შემთხვევაში. სქესის შეცვლა მე, პირადად, დიდ მკრეხელობად მიმაჩნია, მაღლობელი ვარ განგებობა, რომ ამ ქვეყანაზე ცისფერად მომავლინა. — ვერ გამოვიდა, — ვუთხარი, — დაგვიჩინა, გამცირებენ, თქვენ კი ამაყობთ მაგ რაღაც ცისფერობით. — ჩამორჩენილები, გოიმები არიან და იმიტომ დაგვიჩინა. აბა გაიხედეთ, რა ხდება ამერიკასა და ევროპაში. ბევრ ქვეყანაში ერთს ქესიანები დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ, იქაური კანონმდებლობა მათ ქორწინების უფლებასაც კი აძლევს. — ეგ კი, მაგრამ, როგორც ვიცი, ცალსქესიანთა ქორწინებებმა ვერ გაამართლა — უნაყოფო გამოდგა. ეთნოკონფლიქტები, სტიქიური უბედურებები რომ ხდება, სწორედ სქესთა შორის ქიშპობისა და შუღლის შედეგია. — მაშ დემოკრატია როგორღა ვითარდება? — საქართველოში?

ოთარ ხუციშვილი

ახალი თარგმანი

ნიკოლაი აზნივცაძე

კეთილი შაბი და ბირთვი ყაზი


ნიკოლაი აზნივცაძე XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში გამოჩნდა რუსული ჟურნალების ფურცლებზე. პოპულარულობა მოიპოვა პოლიტიკურ-სატირული კუმულაციებით, რომლებიც გაიხმოდა ესტრადიდან და სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში. პოეტი გესლიანად აკრიტიკებდა მეფისდროინდელი რუსეთის ჩამყვანულ რეჟიმს, ჩინოვნიკების გამყიდველობას, გარყვნილობას, უფიცებას. ამის გამო აგნივცაძეს ხშირად უხდებოდა თავის მართლმადიდებლობასა და ცენზურაში და იშველიებდა მომარჯვებულ ხერხს — მოყოლილი ამბის სხვა ქვეყნებში გადატანას. აქ წარმოდგენილი თარგმანი ამ რუსი პოეტის გადმოქართულების პირველი ცდაა.

(ალმოსავლური არაპი)

ერთ მიწიერ სამოთხეში იჯდა შაბი, ბრძენზე ბრძენი. კვერთხი მაგრად ეპურა ხელში. მზაფლად ეაჯდა ასულ-ქენი. ვეზირებიც ჰქუადა ბლამად, დანჯაზე ხომ ნუღარ მკითხავთ. თავს აკლავდა კაცი შრომას დღით, ღამით, უფრო დიდხანს. ვეზირებიც, ასულ-ქენი მატულობდნენ სივანში. ბევრზე ბევრი ცოდვის ძღვენი ძლივს მიჰქანდათ სახლში სენშით. ოღონდ ერთი ეახსი ჰქუადა უცხვირბირთ, უმადური, — შაბს სიცოცხლეს უწამლავდა — არა აქვსო შენს სალხს ჰური. შაბს კი სწამდა: მისმა ერმა დაივიწყა ჰქუანა-ურვა და ერთხელაც ბედნიერმა სალხის ნახვა მოისურვა. დაუძახა დანჯა-მსლელებს, შეჭურვილებს ოქროს სმლებით, წამოისხა ჯაჭვი მსრებზე, მოაჭვილი უცხო თვლებით და უბრძანა დაუდ-სარდალს, — მომგვარეო ჩემი ვრი. თაყვანი მცეს ეველამ მარდად, ვინც კი არის ბედნიერი. მოაწერა და რა მოაწერა, ზოგი მღერის, ზოგი როკავს. დიდი მუშტი-კრივი ატედა შაბთან მიწის ასალოკად. ვეზირები და მძახლები, — მკლები, ტურები, მადლები.

მოუხველავალი კარიკატურა

ბიბლა ფირცხალავა




ბიბლა ფირცხალავა XX საუკუნეში დარჩა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა. 1972 წელს მისგან მრავალი წლის მანძილზე „სიცილით ჩაბჭირებულმა“ საზოგადოებამ საყვარელ კარიკატურისტს დაბადების 50 წლისთავი გადაუხადა, „ნიანგამა“, ბუნებრივია, ამ თარიღთან დაკავშირებით თავი გამოიღო. უფროსის ის ნომერი „ნიანგის“ ახლანდელმა რედაქტორმა ბატონმა ბეჟან (ჟან) სიხარულიძემ მოგვანოდა. აი, ერთი სტროფი „ნიანგელთა“ მაშინდელი მილოცვიდან:

ორმოცდაათი წლის გახდა სიცილ-სიცილით ხატვამი! შეგვიქმნა კარიკატურა ორმოცდაათი ათასი... და ეხიარა სიყვარულს — უსასღვროსა და სასაღვროს, იუმორის და სატირის უქრობი ცვეცხლით ავგანთო!



— ან ჩემს ბიძაშვილს გააფორმებ სველ შინთან სამასხურში, ან ჩემთან გააფორმებ დღეს განქორწინებას!



ინტვი

ჭანჭლები მახვის ქვეშ

რამდენიც უნდა დაიზღვიონ თავი, ადამიანებს დაუგეგმავი შვილები მაინც უჩნდებოდათ. ამიტომაც არ გამოილიგენენ მსოფლიოში კონტრაცეფციის სულ ახალ-ახალი შემუშავებულები. მამაკაცთათვის პიკანტური მომსახურება მოიფიქრეს სერბების სექსოლოგიურ კლინიკაში. ადგილობრივი დონ-ჟუანები რიგში გამსკრივდნენ, რომ ელექტროლი და-მუსტიკა ორგანიზმის ყველაზე ნაზნაწილზე — ჭანჭლებზე მიიღონ. მშობლიურ სპერმას მშვიდად შეუძლია ძილი. ეს სიმანხვე კი არა, არასასურველი ფეხმძიმობისგან თავის არიდების სახლი ხერხი გახლავთ, რომელსაც ვაუკაცურად ხვდება კაცობრიობის ძლიერი ნახევარი. კლინიკის დირექტორის, დოქტორ სავა ბოჟოვიჩის მტკიცებით, ელექტრობით მცირე დამუსტიკა მამაკაცს ერთხანს უნაყოფოს გახდის. დენის ქვეშ სპერმატოზოიდებს მოძრაობის უნარი ეკარგებათ. — ელექტროდების დახმარებით სპერმას ათიოდე დღით მივაძინებთ, რაც სურვილობის საშუალებას დაორსულების შიშის გარეშე იძლევა,

ის მაინც ბრუნდას!

ანაკლოტები...

— მამი, მომიყვი, რა დაგეისიზმრა ნუხელ, — ეხვეწება პატარა მისო ნიკას. — ეჰ, შვილო, რაც ნუხელ დამეისიზმრა, იმის აღსაქმელად შენ ჯერ კიდევ იმდენი უნდა იძინო და იძინო!

ბავშვი ცოტა არ არსებობს, არსებობს ცოტა ბევრი. — და დაინკოსო ფელში სულ სხვა ცხოვრება... — დ ვ ი ძ ლ ს ერთ დღე ღამეში მთლიანად გამოაქვს ორგანიზმიდან ალკოჰოლი, ამიტომაც გვიწევს სმა ყოველდღე.



რამ? არ ქრთამი, რის ქრთამი! ეს პატარა ღია ბარათები მაჩუქეს, დაჭმუჭნული, მწვანე! ნახეთ, ბუნებრივ ფრანკლინის ასი წლისთავი, ანერია! რას შერებთ, რისთვის მამაკაციმრებთ?

— კი არ გაპატიმრებთ, გილიოტინის სამასი წლის იუბილეზე გეპატივებთ... — პრეზიდენტმა მოსახლეობასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ადგილებზე ჩინოვნიკები სულ მთლად გათავხდნენ. ადგილებზე ჩინოვნიკებმა პრეზიდენტის ეს სიტყვები სახელმძღვანელო მითითებად აღიქვეს.

— ეძიებო, ყველგან და ყველაფერი მტკივა, — ნუნუნებს სვანი. — უფრო კონკრეტულად. — აი, აქ მივიჭერ თითს — მტკივა, აქაც მივიჭერ — მტკივა, იქაც მივიჭერ — მტკივა... — ეე, ძვირფასო, თითი გქონია მოტეხილი და...



საბრძოლო ხელოვნება

კონტაქტური კარატე - ყმოკლესი გზა თვითშეცნობისკენ

„როცა ადამიანი სწავლას იწყებს, მან გარკვევით არასოდეს იცის თავისი მიზნების შესახებ. მისი ჩანაფიქრი მცდარია, ხოლო განზრახვა — ბუნდოვანი. მას აქვს ჯილდოს იმედი, რომელსაც ვერასოდეს მიიღებს, იმიტომ, რომ არაფერი იცის სწავლების სიმძიმის შესახებ! — ჩანაფიქრი ბრძოლის ველად იქცევა ... ცოდნის ადამიანად არ იქცევი სამუდამოდ. რეალურად არავინ ხდება ცოდნის ადამიანი ... არსებობს გარკვეული საიდუმლოება. მე ვფლობ საიდუმლოებებს, რომელსაც ვერ გავხსნი, სანამ რჩეულ ადამიანს არ ვიპოვი“ (კარლოს კასტანედა, „დონ ხუანის მოძღვრება: იაკ ინდიელთა ცოდნის გზა“).

თავისუფლება სულიერი ღირებულებაა. იგი არც ფიზიკურ, არც ემოციონალურ საწყისებს არ მიეკუთვნება. ადამიანი თავისუფალია, თუ სულიერებით ცხოვრობს, რისი პირდაპირი გამოვლინებაც დისციპლინა და წესრიგია. ნებისმიერი ჩვენგანი, ჩაძირული მოდურ გადახრებსა და მისწრაფებებში — არ არის თავისუფალი და რაც უფრო მეტად, ჩვენივე ფიზიკური და ემოციონალური სხეულები „უკან იხევნენ“ აღნიშნული გადახრებისა და მისწრაფებების წინაშე, მით უფრო მივეჭნებით ფსიქურ რისკს ამ უკანასკნელთა მიერ ზოგჯერ საბოლოოდ დამონებული. თუ გვირდა, ვიყოთ თავისუფალი, დაუყოვნებლივ უნდა მოვიცილოთ, უკიდურეს შემთხვევაში — მყარად ვაკონტროლოთ ყველაფერი ის, რაც ხელს გვიშლის სულიერი დამოუკიდებლობის მიღწევაში. კონტაქტურ კარატეში სისტემატური ვარჯიში (მრავალსაუკუნოვანი, ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით) ერთ-ერთი იდეალური საშუალებაა რეალური თვითშემეცნებისთვის უმოკლესი გზის საპოვნელად ... ჩვენი კორექციონალიზმი ესაუბრა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის პრეზიდენტს, პროფესორ კასტანედას მარკოზაშვილს:

— კონტაქტური კარატეს მრავალსაუკუნოვანი ფილოსოფიური მოძღვრებანი თითქმის მათემატიკური სიზუსტით ამტკიცებენ, თუ არ არის სიკეთე და რა — ბოროტება. თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ სიკეთე და ზნეობრიობა — ეს სიცოცხლეა, ხოლო უზნეობა და ბოროტება — სიკვდილი... შემთხვევით, ეს ხომ არ არის ბედისწერა?

— ჩვენს სამყაროში არავინ არავის არ სჯის. პრინციპში რომ ვთქვათ, ამპარტავნობაში არ უნდა გადავივარდეთ: — კარატისტებს გვაქვს ასეთი გამოთქმა: „ძალიან დიდი პატივია ადამიანისათვის, რომ უფალი დამდაბლდეს თითოეული ჩვენგან“



ნის დასასჯელად! არავინ არავის არ სჯის. რასაც ვირჩევთ, იმას ვიღებთ; ანუ, ძველი ხალხური სიბრძნისა არ იყოს: „რასაც დასთეს, იმასვე მოიძი!“ — კონტაქტურ კარატეში ვარჯიში გვეხმარება შევისის-ხლხორცით ეს სიბრძნე თანაც გვასწავლის არა მარტო თეორიულად, არამედ, პრაქტიკულადაც, რომ როგორი რთულიც არ უნდა იყოს მიზნამდე მისაღწევად, ყოველთვის იარსებებს ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვის საშუალება... — იმავდროულად, თქვენი ფილოსოფიით, მონინაღმდეგე არსებობს იმისთვის, რომ შეამოწმო საკუთარი თავდადება, შეუპოვრობა და გადანაცვებლების მიღების უნარი — იგი გვხმარება ამ ოცნების განსახორციელებლად...

„ბრძოლაში მიღებული გამოცდილება ხვეწს შენს სულს! — როდესაც საბოლოოდ მიიღებ გადანაცვებლებას, უყოყმანოდ იმოქმედებ! — თუ იგი სწორია, აუცილებლად გაიმარჯვებ, ხოლო თუ არასწორად გასწავი, დამარცხდები და მოგინევს ყველაფრის თავიდან დაწყება — ოღონდ, მზარე გა მოცდილებით შეიარაღებულს! — ჭკუ მარიტი მებრძოლი, ერთხელ ნაბიჯ გადადგმული, ღირსეულად მიდის ბოლომდე!“ — თანაც, ბედისწერა, თითოეული ჩვენგანს გვიგზავნის სიტუაციათა განმეორებას ერთადერთი მიზნისთვის — ვისწავლოთ ის, რაც მანამდე არ გვიცნობდა გვესწავლა არ გვიცნობდა!

ლომდე!“ — თანაც, ბედისწერა, თითოეული ჩვენგანს გვიგზავნის სიტუაციათა განმეორებას ერთადერთი მიზნისთვის — ვისწავლოთ ის, რაც მანამდე არ გვიცნობდა გვესწავლა არ გვიცნობდა!

— თქვენ სისტემატურად ამტკიცებთ ქართველი ინდივიდის ფიზიკურ-ემოციონალურ-მენტალურად განსაზღვრულ საბრძოლო ხელოვნებაში, კონკრეტულად — კონტაქტურ კარატეში ვარჯიშის უპირატესობას...

— ... ისევე და ისევე, იმ მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე და აურაცხელი ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც ამ ბრწყინვალე ხელოვნებას გააჩნია! თქმულს შორიდან თუ მოკლედ, ვიტყვი, რომ ციციქლასროლი იარაღის გამოგონების, ბრძოლაში მისი დანერგვისა და შემდგომში, ფართოდ გამოყენების შემდეგ, დედამინაზე არსებული ყველა საბრძოლო ხელოვნება ნელ-ნელა გაქრა! — ყოველ შემთხვევაში, დაკარგა, როგორც ხელოვნების შინაარსი! აღნიშნული არ შეხება მხოლოდ აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებებს! — ეს არის ისტორიული ფაქტი და ამას ვერაფერი დაუპირისპირდება! — კონტაქტური კარატეს უპირატესობის შესახებ კი თვით აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებებში, ეს, კარგა ხანია თვალსაჩინოდ არის დამტკიცებული და ახლიდან ამის მტკიცებას აღარ შეეუბნები! — ხოლო რაც შეეხება ამ ორთაბრძოლის, როგორც ფიზიკურ-ემოციონალურ-მენტალურად მაღალგანვითარებული ინდივიდის მიღების ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ, უმოკლეს გზას, მასზე დამდგარ, დადგომის მსურველ და სხვა იმ გზათა მიმდევრების (რომლებიც უკვე ქვემოთხსენებულ გრძობებზე თავიანთი არჩეულის მერყეობის გამოვლინებებს) მისამართით მოვიყვანდი ერთი ბრძენკაცის სიტყვებს: „თუ იგრძნობ, რომ ამ გზაზე არ უნდა დამდგარიყო, მასზე არავითარ შემთხვევაში არ დარჩე. ასეთ სიტყვებს რომ მიაღწიო, დისციპლინირებულ ცხოვრებას უნდა ეწოდებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიხვდები, რომ არც შენთვის და არც სხვისთვის არაფერია საძირახისი იმაში, შენ რომ ის დატოვო — თუკი ამას გული გკარნახობს. მაგრამ, გზაზე დარჩენის, ან მისი დატოვების გადანაცვებლებების მიხედვით და ამბიციების გარეშე უნდა მიიღო... გააჩნია თუ არა არჩეულ გზას გული? თუ გააჩნია — მაშინ ეს გზა კარგია. თუ არა — მისგან ნორაგოვი ხეიროს ნუ ელი... ერთ გზა მოგზაურობას სისხარულს ანიჭებს — მთელი იმ დროის მანძილზე, სანამ მასზე დგახარ, მასთან ერთ მთლიანს წარმოადგენ. მეორე გზა კი საკუთარი სიცოცხლეს დაგანაცვლებს. ერთი ძალას განიჭებს, მეორე კი — გართმევს!“

— მოკლედ რომ ვთქვათ, მებრძოლის გზა გვეუბნება: — არსებობს გარკვეული საიდუმლოება, მე ვფლობ საიდუმლოებებს, რომელსაც ვერ გავხსნი, სანამ რჩეულ ადამიანს არ ვიპოვი...“

მინიფიზიური



პოტე მახარამის სახელობის

მინიპარტოზის სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში ათ დღეს გრძელდებოდა ცნობილი ქართველი მსახიობისა და ყველასთვის საყვარელი სპორტული კომენტატორის პოტე მახარამის სსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი მინიფიზიურში.

ეს გახლდათ დიდი ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალი, რომელშიც სამი ასაკის — 9, 12 და 15 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა 48 გუნდი მონაწილეობდა. ღონისძიება ბრწყინვალედ ჩაატარა თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ (პრეზიდენტი ნურკი კაკილაშვილი), რომელმაც პრიზებისა და საპატიო სიგელების გარეშე არ დატოვა მეხუთე მემორიალის თითქმის ყველა მონაწილე.

1991 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდის „მგლებსა“ (მწვრთნელი თამაზ როგავა) და თბილისის „ნორჩი დინამოს“ (მწვრთნელი რევაზ გაგუა, დათო შენგელია) გუნდები. პირველ ნახევარში სამეგრელოს მთავარი ქალაქის საუკეთესო თავდამსხმელმა ნიკა ძალამიძემ (იგი ამ ასაკის საუ-

ზუგდიდელი ნიკა ძალამიძე მიიჩნის, ხოლო უძლიერეს ნახევარმცველად დინამოელი გიორგი თანიაშვილი აღიარებს.

1992 წელს დაბადებულთა ტურნირის დასკვნით შეხვედრაში თავი ისახელეს „ნორჩი დინამოსის“ (მწვრთნელი გიორგი ხიზანიშვილი) აღსაზრდელებმა, რომლებმაც — 2:0 მოუგეს „ავანს“ (მწვრთნელი ვილი გოგინაძე) გუნდს და კოტე მახარამის თასს დაეუფლნენ. აქ მესამე ადგილი „საბურთალოს“ (მწვრთნელი გურამ ასპინძელაშვილი) გუნდს ხვდა. ამ ასაკში საუკეთესო მეკარის პრიზი მიიღო დინამოსელმა მიშა ლომსაძემ, მცველის პრიზიც დინამოელ ნიკა მალრაძეს ხვდა. საუკეთესო ნახევარმცველად „საბურთალოს“ გუნდს მოთამაშე დემიკო როგავა მიიჩნეს, თავდამსხმელად — ლაშა კეშტაშვილი („ავანს“), ხოლო საუკეთესო მოთამაშისათვის დაწესებული ჯილდო დინამოელმა გიორგი ილურდომი მიიღო.

ყველაზე უმცროსი — 1993 წელს დაბადებულთა ტურნირი გორის „დილას“ ჭაბუკმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი გიორგი ტულუში), მოიგეს, რომლებმაც მატჩის შემდეგ დინამოსელი პენალტების სერიას 3:2 მოუგეს ზუგდიდის „მგლებს“ (მწვრთნელი ზურაბ ჭანია) თანატოლებს. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ ფოთის „კოლხეთის“ (მწვრთნელი ლერი ცირაშვილი) ნორჩ ფეხბურთელებს. საუკეთესო მეკარის ჯილდო მიიღო გორელმა ლაშა შაქარაშვილმა, მცველის პრიზით დაჯილდოვდა გიორგი დავითაშვილი („მთვარის გლობუსი“), საუკეთესო თავდამსხმელად „მგლებს“ (ზუგდიდი) ფეხბურთელი ლევან შენგელია, ხოლო მემორიალის საუკეთესო მოთამაშედ გორელი ირაკლი კვანტალიანი დასახელდა.

დასასრულ, ტურნირის მონაწილეებმა მადლობის სიტყვით მიმართა ქალბატონმა სოფიკო ჭიაურელმა. მან აღნიშნა, რომ შევიძინებამ მაღალ სპორტულ დონეზე ჩაიარა, იგი ბავშვთა ფეხბურთის ნამდვილი ფესტივალი გამოდგა.

შალვა ძირია
სურათებზე: დიდი კოტე და პატარა კოტე მახარამები გამარჯვებულებს აჯილდოებენ.
როპერტ ბაბოიანის ფოტო.

ორპიტაზა

ხელმრუდ მსაჯებს — ციხე



ალბათი გახსოვთ იმ დიდი სკანდალის შესახებ, გერმანიაში რომ აგორდა და საბუქმეიკერო კორუფციაში გარეული ფეხბურთის მსაჯების გარშემო. ფეხბურთის მსაჯებს ბრალად ედებოდათ, რომ ისინი დებდნენ დიდ საბუქმეიკერო ფსონებს იმ მატჩების შედეგებზე, თავად

რომ უნდა ემსახვათ. 26 წლის რობერტ ჰოიციერი და 30 წლის დომინიკ მარქსი დამანაშავეებად მიიჩნეეს, ისინი ხორვატების დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერთან ანტე საპინთან გარიგებით ღებულობდნენ დიდძალ ფულად გასამრჯელოს მატჩების მათთვის საჭირო შედეგით დამთავრებისთვის.

გერმანელ მსაჯს რობერტ ჰოიციერს, რომელმაც აღიარა დანაშაული, სასამართლომ ორნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯა, დომინიკ მარქსს მიესაჯა წელიწადნახევარი პირობითი პატიმრობა. საპინს, რომელიც ტოტა-

ლიზატორის ისე თამაშობდა, რომ ფაქტობრივად წინასწარ იცოდა მატჩების შედეგები, ორი წლითა და 11 თვით პატიმრობა მიესაჯა ბრალდებით, „ბანდიტური ტყუილი და ცრუმენარმოება“.

1,4 მილიონი დოლარი ცოტაა?

დორტმუნდში დაფუძნებულმა კომპანიამ „უნივერსალ ევენტ პრომოუტერმა“ ოფიციალურად შესთავაზა ჭადრაკში ფიდეის მსოფლიო ჩემპიონს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვსა და კლასი-

კურ ჭადრაკში ჩემპიონს, რუსეთელ ვლადიმერ კრამნიკს, რომ ავალი წლის ბოლოსთვის გაითამაშონ „ჩემპიონთა მატჩი“.

კრამნიკი ამ წინადადებას დათანხმდა, ტოპალოვმა კი უარი თქვა. როგორც ბულგარელი დი-დოსტატის მენეჯერის სილვიო

დანაილოვის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზშია მითითებული: „ისინი არ მიიჩნევენ კრამნიკს მსოფლიო ჩემპიონად“. იქვე ნათქვამია, რომ ტოპალოვი მზადაა ეთამაშოს ნებისმიერ პრეტენდენტს, რომლის რეიტინგი 2700-ზე მეტი იქნება, შეაგროვებს აუცილებელ საპარიზო ფონდს და 20 პროცენტს გადაიციხავს ფიდეს ანგარიშზე.

პრეს-რელიზში ისიცაა ნათქვამი, რომ ფიდე ერთადერთი კანონიერი ორგანიზაციაა, ვისი ეგიდითაც ისინი ეთამაშებენ ტიტულისთვის მატჩს.

შპლვება გურამ ვაშაძიძე

ბამოუვაბა მეოთხე

დაფაზე — უღებელი სიმაართლე

ყანაწვილთათვის და არა მარტო მათთვის

ჭადრაკის სწავლა ადვილია, ძნელია კარგად დაეუფლო მას. კაპაბლანკა

ბანაბარძობით საუბარს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალების შესახებ.

წინა გამოშვებაში ნონა გაფრინდაშვილზე ვსაუბრობდით.

ეს პოზიცია გაფრინდაშვილი — შამეიტატის პარტიაში შეიქმნა. (სოხუმი, 1962).



ისევე როგორც ხელოვნება, ჭადრაკში ხაზების გახსნაც, მსხვერპლს მოითხოვს.

1. f5 გ2. გ4 ლ3 3. f6!

შაკი მეფისგან ნაზირ-ვეზირები ისე შორს არიან, რომ მის დაცვას ვეღარ ახერხებენ. რალა დარჩენია გვირგვინსაანს? ბრძოლის ველი მიატოვოს და გაიქცეს. ისტორიიდან ვიცით: თავის გადარჩენის ეს მეთოდი მეფეებსაც გამოუყენებიათ და, თქვენ წარმოიდგინეთ, პრეზიდენტებსაც!

3... მფ7 4. ეფ3 ლ6 5. ეგ5 ლხ6 6. ეგ7+მფ8 7. ლე5 აბ 8. ეე7+ ბრძოლა დასრულდა. შავები დანებდნენ.

თავისი ხანგრძლივი საჭადრაკო მოღვაწეობის მანძილზე ნონამ უამრავი პარტია ითამაშა, მათ შორის, მოჭადრაკე ვაჟებთანაც. ამასთან დაკავშირებით ფრანგული ჟურნალი „ოლიმპი“ წერდა, რომ ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის დაფაზე დაბარცხებული მამაკაცების მიმართ საოცარ თანადგომობას იჩენსო. მაგალითად, 1976 წელს იუგოსლავიელ საერთაშორისო დიდოსტატთან მილან მატულოვიჩთან საჩვენებელი მატჩის დროს, რომელსაც ბელგრადის ტელევიზიით გადასცემდნენ, გაფრინდაშვილი ინიციატივას დაეუფლა, პაიკი მოიგო და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, რომელიც მატულოვიჩმა დიდი სიხარულით მიიღო. ბელგრადის „ვეჩერნიე ნოვოსტიამც“ არ დაახანა და აღნიშნა, რომ გაფრინდაშვილის ეს ნაბიჯი „იყო ჯენტლმენური უესტი, ნაკარნახევი სურვილით — ფსიქოლოგიური ტრავმა არ მიუყენებინა ეგრეთწოდებული ძლიერი სქესის წარმოამადგენლისთვის“.

ერთი წლის შემდეგ ნონამ ამერიკის ქალაქ ლონ-პაისში ძლიერი შემადგენლობის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და პირველი-მეორე ადგილები გაიყო, ამასთან დაამარცხა რამდენიმე ცნობილი დიდოსტატი, მათ შორის, ამერიკის ღია ჩემპიონატის ორივე გამარჯვებული.

ტურნირის შედეგებს რომ აჯამებდა, ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ბირსნი „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე წერდა: „დაბნეულ და სახეაღწილი დამარცხებულ მეტოქეს ნონა გულწრფელი სიბრაღულით

შესცქეროდა, თითოეული მსხვერპლისთვის იგი ყოველთვის პოულობდა დამამშვიდებელ რამ სათქმელს“.

ნონა გაფრინდაშვილზე საუბარი მისივე სიტყვებით დავამთავროთ: „ვისაც სურს ჭადრაკში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიოს, მთლიანად უნდა მიენდოს მას“.

სრულბრძოლა არ იქნება გადაჭარბებული, ქალთა ჭადრაკის ისტორიას ორ პერიოდად თუ გავყოფთ: ნონა გაფრინდაშვილამდე და მის შემდგომ პერიოდამდე. ნონას უშუალო წინამორბედი მსოფლიოს მეორე ჩემპიონი ლიუდმილა რუდეკო (1950-53 წ.წ.), მსოფლიოს მესამე ჩემპიონი ელიზავეტა ბიკოვა (1953-56; 1958-62 წ.წ.) და მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი ოლგა რუბცოვა (1956-58 წ.წ.) იყვნენ. ელიზავეტა ბიკოვა, ვისაც ნონამ კიდევაც წაართვა დედოფლის ტახტი, რა თქმა უნდა, მათ შორის უძლიერესია. მის საჭადრაკო ტალანტზე რომ საუბრობდა, ნონა გაფრინდაშვილი წერდა: „მარტივ პოზიციებში და ენდშილში ბიკოვას ბადალი არ ჰყავდა; გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისწყობით, იშვიათი სიმშვიდით და შეუპოვრობით“.

ეს პოზიცია ტ. ფილანოვსკაია — ე. ბიკოვას პარტიაში შეიქმნა, რომელიც, სხვათა შორის, თბილისში, 1952 წელს გათამაშდა.

კი, თეთრების თავზე ლევა ღრუბლები გროვდება, მაგრამ თუ ასეთი თქემიც უნდა მოჰყვეს, თუმცა, ვნახოთ...



30. ... ედ8-ე8 31. ე2-ე3 ე6-ე4 32. ლდ3-ფ3 ე4-ბ3 33. მდ2-ბ3 დ4-ე4 34. ბ2-ე3 ლმ6-ა3 35. მბ3-დ2 ე7-ე3 36. ეე1-ე3 ე8-ე3 37. ლფ3-დ1 ლა3-ე5


თეთრები დანებდნენ. ნონას წინამორბედი მსოფლიო ჩემპიონები თუმცა სხვადასხვა სიძლიერის მოჭადრაკეები იყვნენ, მათ დიდად შეუწყვეს ხელი ქალთა ჭადრაკის განვითარებას. მაგრამ ვერცერთი ახლოც ვერ მოვა მსოფლიოს პირველ ჩემპიონთან ვერა მენჩიკთან (1927-44 წ.წ.). მისი დამსახურება ქალთა ჭადრაკის ისტორიაში განსაკუთრებულია.

ეროვნებით ჩეხი ვერა მენჩიკი დაიბადა მოსკოვში 1906 წელს. 15 წლისა იყო, როცა ოჯახი საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. აქ დაიწყო მენჩიკის საჭადრაკო კარიერა. შთამბეჭდავია მენჩიკის მიერ ქალთა ტურნირებში მოპოვებული ქულათა საერთო რაოდენობაც: +78,-1,=4.

ვერა მენჩიკი წარმატებით თამაშობდა მსოფლიოს უძლი-

ერეს მოჭადრაკე ვაჟებთანაც და დადებითი შედეგი ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონთან მ. ეივესთან (+2,-1,=1) და ს. რეშევსკისთან (+1,=2).

ეს პოზიცია კი ცნობილ ფრანგ მოჭადრაკესთან, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონთან ფრედერიკ ლაზართან შეხვედრის დროს შეიქმნა. მენჩიკი შავებით თამაშობს.



თეთრები ფიქრობენ: მეტოქის მერვე პორიზონტალი აშკარად სუსტია. არც მეფის მდგომარეობაა უხიფათო: კარ-ფანჯრებდახულში ზის, საშიშროება რომ შეექმნას, გასაქცევიც კი არ აქვს. პორიზონტალზე მხოლოდ ერთი ეტლი დასერილობს. მოდი, იმასაც გამოვიტყუებ. აქ სადაღაც შამათის სუნი მცემს!

25. ეფ7 კომბინაცია წამოწყებულია, მაგრამ მენჩიკი იგივე პოზიციას თურმე სულ სხვაგვარად აფასებს.

25. ...ლ:ჰ4+! აგებდა 25. ... ე:ე7 26. ლხ8+-ის გამო.

26. ე:ჰ4 ე:ჰ4+27. ლხ2 ე:ჰ2+28. მფ:ჰ2 ე:ფ7

და საფრანგეთის ჩემპიონი უფიგუროდ დარჩა.


ვერა მენჩიკთან შეხვედრაში არც სულთან-ხანს დაადგა კარგი დღე. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მის სულთან-ხანი წინა საუკუნის 20-30-იან წლებში ინდოეთისა და ინგლისის უძლიერესი მოჭადრაკე იყო. ინდოეთის (1928) და ინგლისის (1929, 1932, 1933) წლების ჩემპიონი წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა ტურნირებში. ერთ ასეთ, ჰასტინგის (1931/32) საერთაშორისო ტურნირში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.

მ. სულთან-ხანი — 3. მენჩიკი



27. ... ე6-ე5 28. ედ3-ბ5 ე8-დ8 29. ეე1-ე4 მ6-დ4 30. ეე5:დ4 ე5:დ4 31. ეე6-ბ4 32. ეე1-ე1 ებ3-ე6 34. ეე4-ე5 ა4-ა3 35. ბ2-ბ3 ებ4:ბ3 36. ედ3-ე4 ებ3-ბ2 37. ეე4:ე6 ე7:ე6 38. ეე5-ა5 დ4-დ3 39. ეე5:ა3 დ3-დ2 40. ეე1-დ1 ებ2-ე2

თეთრები დანებდნენ. ითამაშეთ ჭადრაკი!



თქვენს სკოლაში ასწავლიან ჭადრაკს?

აი, ბორში კი თურმე ასეთი სკოლა ყოფილა

ბამბეშულის კომბინატის დასახლებაში (თუმცა, სადაღაც ბამბეშულის კომბინატი თავისი ხუთი-თასკაციანი კოლექტივით, — სახელიდა შემორჩა მხოლოდ) წმინდა გიორგის სახელობის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმში ვართ. ჩვენ აქ სასწავლებლის დირექტორის მანანა ჩუხრუკიძის სატელეფონო ზარმა მოგვიყვანა: ყმანვილთათვის განკუთვნილ თქვენი გაზეთის საჭადრაკო გვერდისთვის ჩვენთან ბევრ საინტერესოს ნახავთ.

ლა გიგაშვილი, გიორგი ბიქოშვილი და სხვები ძლიერი მოჭადრაკეები არიან.



ორიოდ დღის წინათ მეხუთე კლასში ტურნირი ჩატარდა. უშელავათო ბრძოლაში თავი გამოიჩინა ბექა ასტამიძემ და მისთვის გამარჯვებული სკოლის საზეიმო გადაცემა სწორედ ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა.



და ვნახეთ კიდევ. ჭადრაკი რომ ბავშვის ინტელექტუალური აღზრდის ერთი უება-რი საშუალებაა, ჩინებულად უწყინა აქ. ამიტომაც შემოიღეს ჭადრაკი, როგორც სასწავლო საგანი სკოლა-ლიცეუმის I-V კლასებში. გორში თუმცა ბევრი ჩინებული მწვრთნელია, მანანა ჩუხრუკიძემ აქცე თეთრთა ძლიერი სვლა გააკეთა და პედაგოგად ცნობილი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი მოიწვია.

გაკვეთილი ახალი დაწყებული იყო. დირექტორის მოადგილე ნაზი გიგოლაშვილი მეხუთე კლასში შეგვიძღვა. ქალბატონი ციალა ახალ მასალას ხსნიდა: „ეტლი და პაიკი ეტლის წინააღმდეგ“. თითოეულ მოსწავლეს მერხზე ჭადრაკი გაეშალა, ბევრს რვეულიც მოემარჯვა და მასწავლებელს ყურადღებით უსმენდნენ.

— ჭადრაკი ბავშვებს მოსწონთ, — ამბობს პედაგოგი, — აქ ახსნილ მასალას შინ, ჩვეულებრივ, როგორც გაკვეთილს, ისე სწავლობენ და მომდევნო გაკვეთილზე ცოდნის შემოწმება ხდება.

ამ ბავშვებიდან გამოჩენილი მოჭადრაკე შეიძლება არავინ დადგეს (თუმცა, ვინ იცის...), მაგრამ საზოგადოებამ მათგან წესიერი, შრომისმოყვარე, ზნეობრივად გამართული მოქალაქე რომ მიიღოს, განა ეს ცოტაა? ამიტომაც სკოლის დირექტორი სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობისთვის მათ ყველა პირობას უქმნის. ანა ინჯია, გიორგი გლაგაცკი, გე-

შვავაჩინით, ვასწორებთ

„ჭადრაკი ყველასთვის“ წინა გამოშვებაში („სკ“ № 257-258, 5.XI.05) გაიპარა დასაბანა შეცდომა: მ. ლაზარევიჩი — ნ. გაფრინდაშვილის პარტიის მეორე დიაგრამა ასეთი უნდა ყოფილიყო. ბოდიშს ვუხდით ქ-ნ ნონას და გაზეთის მკითხველებს.



წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანების პასუხები. (პირველი სვლა): №1 ლგ2; №2 ფ8!; №3. ლხ6; №4. ეა6

შაბათის სტუმარი

როგორ დაიქირეს მიშა ჯოჯუა ბერიას კაცებმა ტაშკენტში

წლებს თითქოს ვერაფერი დაუკლია მიხეილ ჯოჯუასთვის — ისევ ისეთი ჩაჯიჯგუული, ისევ ისეთი ლოყებლაჟღაჟა, ამ სამი ათეული წლის წინათ, „მსახიობის სახლის“ შენობაში მოფუსფუსე რომ მახსოვს... იმხანად ბატონი მიშა „მეგობრობის თეატრის“ დირექტორი გახლდათ და „შტაბბინაც“ მსახიობის სახლში — თეატრალურ საზოგადოებაში ჰქონდა.

მისი გაჩერება არ იყო, კაბინეტში ვერ ნახავდით... აბა, მოსკოვში, მცირე თეატრის მსახიობთა ჯგუფის ჩამოყვანაო, აბა, ლენინგრადში, „ტოვსტონოგოველთა“ მონვენაო, აბა, ისევ მოსკოვში, „სოვერენიკთან“ მოსალაპარაკებლად ჩასვლაო...

იმ წლებში თბილისი, მართლაც თეატრალური „მექადა“ იყო ქვეყნის, აქაურ ბრწყინვალე დადგმებს „მეგობრობის თეატრის“ ხაზით ჩამოსული სტუმრების დადგმებიც ემატებოდა და გალალეზული იყო მაყურებელი. ვერ აუდიოდა მიშა ბილეთების განაწილებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მაინც ყველა მაღლიერი ჰყავდა — „ზემდგომიც“ და უბრალო თეატრალიც.

ჯოჯუას თამაში თბილისის „დინამოში“, ახსოვთ მისი შეტევები მარჯვენა ფრთიდან, მისი ნილი გოლები, ფინტები და პასები... — თუმცა, თბილისში გადმოსვლამდე, — მიამბობს ბატონი მიშა, — მოსკოვში ვცხოვრობდი და იქაურ „კრილია სოვეტოვში“ ვთამაშობდი. ერთხელაც, ისე მოხდა, რომ თბილისში ჩამოვედი და ჩვენი ბიჭების წინააღმდეგ მომინია თამაში. მეტიც: გოლი გავიტანე „დინამოს“ კარში და „კრილია“ წაგებას გადავარჩინე, მაგრამ, რაც მე იმ დღეს გულშემატკივრების გინება და ვიშახურე, მტრისას! ჩემი მშობ-



გულიძე და სოკოლოვი, რა ხდება „დინამოში“, რატომ თამაშობთ ასე სუსტადო. მწვრთნელებს უთქვამთ, გაიოზ ჯეჯელავამ თამაშს თავი დაანება და თავდასხმა დასუსტდაო. მერე, შემცველეს ვერ იპოვნითო?!.. მიშა ჯოჯუა შეიძლება, მაგრამ მოსკოვში თამაშობსო, რას ჰქვია იქ თამაშობს, სასწრაფოდ ჩამოიყვანეთ თბილისშიო, გაბრაზებულა პავლოვიჩი. ტაშკენტში გექონდა თამაში და, რომ მოვდიოდი უკან, აეროპორტში მტაცეს ხელი ბერიას კაცებმა, ვინ ამოგაღებინა ხმა, სასწრაფოდ წამოიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მინისტრმა დამამშვიდა, ბერიას ბრძანებით, თბილისის „დინამოში“ ხარ გადაყვანილიო... შევეწყვე გუნდს, მემყაყებოდა, რომ ბორის პაიჭაძის გვერდით ვთამაშობდი და მასთან ერთად ვიზიარებდი დამარცხების სიმწარეს თუ გამარჯვების სიხარულს. მალე თბილისის „დინამო“ დაწინაურდა და ამაში ჩემი წვლილიც იყო...



მართავდა სახელოვანი ქართველი მსახიობების შემოქმედებით საღამოებს... ერთი სიტყვით, განამანიაში იყო მიშა და, როგორც ახლა ამბობს, კარგ საქმესაც აკეთებდა ეროვნულ კულტურათა, ხელოვნებადამაინათა დაახლოების თვალსაზრისით. ეს ეამაყება კიდევ...

ლები კი ამ დროს ტრიბუნაზე ისხდნენ. წავიდეთ აქედან, „გადავიარა“ მთელმა სტადიონმაო, უთქვამს მამაჩემისთვის ცხონებულ დედაჩემს...



რას ვიზამთ, სპორტში, მით უმეტეს ფეხბურთში, ხდება ასეთი რალაცეები... სამაგიეროდ, მალე მომეცა საშუალება, რომ ჩემი „ნამდვილი ქართველობა“ დამემტკიცებინა — გადმომიყვანეს თბილისის „დინამოში“ და, შეიძლება ითქვას, თავდაუზოგავად ვიბრძოდი მოედანზე ჩვენი გუნდის აღმავლობისთვის.

მისი ხნის აღარავინ დარჩა იმ დედული თაობიდან — მიშა ჯოჯუა 80 წლისა გახდა. საქართველოს სასახელოდ ღვარა მან ოფ-

ლი მწვანე მინდორზე, ქართული კულტურის სასახელოდ იღვანა მან მრავალი წელი. განა ეს ერთი კაცისთვის საკმარისი არ არის? დიალაც!

ვილენ მარდალიშვილი.

სურათებზე: მიხეილ ჯოჯუა — ესტრადის მსახიობი; მწვანე მინდორზე ბორის პაიჭაძესთან ერთად; ანდრეი მირონოვი, მიხეილ ჯოჯუა, ვერიკო ანჯაფარიძე.

ერიკა!

ლამაზმანებს ფეხბურთელები მოუზრდათ?!

ამ ფეხბურთელებს განა მარტო ერთმანეთთან ჩახუტება უშველის? თუ ვერ იცანით, გაგაცნობთ — იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავები ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან ვიერი. ეს ლამაზმანები კი მათი ყოფილი „გულსვარდები“ — ნენა რისტიჩი და მანუელა არკურია.



ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან ვიერი.

იტალია ხომ დიდი ხანია, საფეხბურთო მოდის კანონმდებელია. საკმარისი იყო, რომელიმე ლამაზმანს ტელევიზორი ეკრანზე ან პრიალაკანიანი ჟურნალის გარეკანზე გაეღწევა, რომ მზად იყო „სკუადრა აძურას“ თვით ყველაზე უარეს ფეხბურთელსაც კი ჩამოჰკიდებოდა კისერზე. ბოლოს კი იცით, რა მოხდა? გულშემატკივართა კერპი, იტალიის ნაკრებისა და „რომას“ თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი გულის სწორმა — ცნობილმა მოდელმა მანუელა არკურია მიატოვა (!)

„უმარხულია“, მალე ცოლიც შეირთო და ახლახან მამაც გახდა. გრძელფეხება მოდელებთან ურთიერთობაში გაცილებით ცუდად აქვს საქმე იტალიის ნაკრებში ტოტის პარტნიორს კრისტიან ვიერის. ბობოსთვის, როგორც მას ტიფოზები ეძახიან, სიყვარულის ფრონტზე კატასტროფა კატასტროფას ემატება. მას „კარი გამოუკეტა“ მოდელმა ელიზაბეტ კანალისმა, რომელმაც მქუხარე რომანი გააჩაღა რაგბისტ სკოტ პალმეროსთან. მაშინ ვიერიმ „თავშესაფარი“ სერბ მანკენთან ნენა რისტიჩთან მოქტუნა. მაგრამ ამ შემოდგომაზე ლამაზმანი გაუორგულდა „მილა-



ნენა რისტიჩი.



მანუელა არკურია.

აღლო მონტანოს მიუშვირა. როგორც ჩანს, ფარიკაობის მეტროს შეტევა გაცილებით უფრო მახვილი იყო, ვიდრე ვარჯიშით მოქანცული ტოტისა. მაგრამ თავად ფრანჩესკოსაც დიდხანს არ

ნის“ თავდამსხმელს. ის გაიტაცა ჭაბუკმა იტალიელმა, რომელიც ისე შორსაა ფეხბურთიდან, რომ „ბურთს“ მხოლოდ ნენას კაბაში ექმებს.

მაინც რა მოხდა? იტალიურ ფეხბურთში ფინანსური თუ სასიყვარულო კრიზისია. თუ ადრე ლამაზმანები ადვილად იტანდნენ საყვარელი ადამიანის დილიდან საღამომდე მატჩებზე თუ ვარჯიშზე დაკარგვას, ახლა მათ ბოიკოტი გამოაცხადეს? რაო, ფეხბურთელებისგან აღარც სიყვარულს ელიან და აღარც ფულს?

უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა ვალიკო სიმონიშვილმა.

სს „თბილერკლამა“ ატარებს აპციონერთა კრებას ა/წ. 9 დეკემბერს 14 სთ-ზე მისამართზე: ცაიშის ქ. №3. დღის წესრიგი: 1. წესდების დამტკიცება; 2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა. საკონტაქტო ტელ.: 23-70-60; 899 57-34-59.

2005 წლის 12 დეკემბერს, 12 სთ-8პ, ბაიბართაბა სს „აპრი არსოპისას“ აპციონერთა საერთო კრება მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №24. დღის წესრიგი: 1) ქონების გაყიდვის შესახებ; 2) სს-ის ლიკვიდაციის საკითხის განხილვა; აქციონერთა სარეგისტრაციო თარიღად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაინშულია 2005 წლის 8 დეკემბერი. ღირამტორატი.

სსოპნა

ედიშერ ხოშტარია-ბროსა

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე.

ედიშერ ხოშტარია-ბროსე დაიბადა 1927 წელს თბილისში მარი ბროსეს, დუტუ მეგრელისა და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ჩამომავლების ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ე. ხოშტარია-ბროსე 1944 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მას შემდეგ იგი 50 წელზე მეტ ხანს დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას, ახალგაზრდა კადრების აღზრდას და, როგორც პუბლიცისტი-ისტორიკოსი, აქტიურად ეხმარებოდა (განსაკუთრებით ბოლო 15 წლის მანძილზე) საქართველოში შექმნილ ყველა კულტურულ-სამეცნიერო, სოციალურ თუ პოლიტიკურ სიტუაციას.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ე. ხოშტარია-ბროსემ მუშაობა დაიწყო იქვე საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგედ. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1956 წლიდან 1962 წლამდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ხოლო შემდგომ ახალი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1969 წელს ე. ხოშტარია-ბროსემ დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1972 წლიდან დაინიშნა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, ხოლო 1982 წლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1991 წლიდან ე. ხოშტარია-ბროსე იყო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 2004 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი კონსულტანტი.


ე. ხოშტარია ფართო დიპლომატიის მეცნიერი იყო. მას გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სა-

მეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 7 ცალკე წიგნად. მეცნიერის ინტერესების სფეროში შედიოდა საქართველოს შუასაუკუნეებისა და ახალი ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის პრობლემები. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიიდან ე. ხოშტარია-ბროსეს ეკუთვნის შრომები (მათ შორის ცალკე წიგნიც) ადრეფეოდალური ხანის საქართველოში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების, მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხებზე, ახალი ისტორიის (XIX ს.-XX ს. დასაწყისი) პრობლემებს ე. ხოშტარია-ბროსემ რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა, რომლებშიც შესწავლილია ქვეყანაში ფეოდალიზმის რღვევისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების პროცესები, ქვეყნის სამრეწველო განვითარება და ახალი დროის საზოგადოებრივი კლასების ფორმირება. მთელი ეს სამუშაო დამყარებულია მდიდარ საარქივო მასალაზე და სხვა პირველწყაროებზე, არაერთი საკითხი ახლებურად არის დასმული და გაშუქებული.

ე. ხოშტარია-ბროსეს ეკუთვნის განმაზოგადებელი საენციკლოპედიო ნარკვევები „ქართულ ენციკლოპედიაში“, „საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში“ და „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ასევე უკრაინის, ბელარუსიისა და სომხეთის ენციკლოპედიებში.

მეცნიერებათა აკადემიის ბიობიბლიოგრაფიული სერიით ე. ხოშტარია-ბროსეს გამოქვეყნებული აქვს საგანგებო ნარკვევები აკადემიკოსებზე — ივ. ჯავახიშვილზე, ს. ჯანაშიაზე, ნ. ბერძენიშვილზე და სხვებზე, აგრეთვე ნარკვევი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებ XX საუკუნის მანძილზე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან ე. ხოშტარია-ბროსეს ეკუთვნის საგანგებო ნარკვევები ქართული დიპლომატიკის განვითარების შესახებ „ქართლის ცხოვრების“ პრობლემებიდან. საგანგებო ნაშრომები უძღვნა მან ქართული სამართლის ისტორიის ძეგლების ე. წ.

- თ. გამყრალიძე, ზ. ალექსიძე, ა. ავალიძე, გ. გველესიანი, გ. თიფთაძე, ფ. თოდუა, გ. კვარაცხელია, მ. ლორთქიფანიძე, რ. მებრძოლი, დ. მუსხელიშვილი, შ. ნადირაშვილი, ო. ნათიშვილი, მ. ნალექაძე, კ. ფიცხელაური, ვ. შამილაძე, დ. ჩარაქვიანი, ლ. ჩიქაძე, გ. ხაბატიშვილი, ჯ. ხატურანი, ო. ჯაფარიძე.



„ბაგრატი კურაპალატის სამართლის“ და „ბექასა და ალბულას სამართლის“ წყაროთმცოდნეობით-ტიქსტოლოგიურ კვლევას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. ხოშტარია-ბროსეს შეუქმნელი ინტერესი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური საკითხების მიმართ. მისი დიდი შრომის შედეგია, რომ უკვე მზად არის გამოცემად ვახტანგ მეექვსეზე „ქართლის ცხოვრების“ რედაქციების აკადემიური ტექსტი.


ე. ხოშტარია-ბროსეს არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული კონფლიქტოლოგიის დარგშიც. 1989 წლიდან, როდესაც გამამდინარე ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, იგი სისტემატურად ეხმარებოდა მიმდინარე მოვლენებს... ამ სფეროში მან გამოაქვეყნა 4 წიგნი, მათ შორის რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ბოლო დროს ე. ხოშტარია-ბროსე აქტიურად იყო ჩაბმული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ბუნებისა და მისი ისტორიული როლის შეფასების შესახებ ჩვენში გაშლილ დისკუსიაში, გამოქვეყნებული აქვს ამ საკითხზე თავისი პრინციპული შეხედულებანი, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენში პოლიტოლოგიური კვლევის თვალსაზრისით.

წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე ვალდებულ იყო ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მისი სახელი და შრომები სამუდამოდ დარჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო მისი სახე მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

სსოპნა

ვახტანგ სულამანიძე



გარდაიცვალა საქციო საზოგადოება „მადნეულის“ ყოფილი დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი ვახტანგ სულამანიძე. დაიბადა თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში. სამამულო ომში დაღუპულის ოჯახში უმამოდ გაზრდილი, სწავლიდა და შრომისმოყვარეობით თავიდანვე გამოირჩეოდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი წარმატებით ამთავრებს ლენინგრადის სამთო ინსტიტუტს და „სამთო ინჟინერ-ტექნოლოგის“ სპეციალობას დასრულებს.

მისი შრომითი ბიოგრაფია 20 წლის ასაკში იწყება. ხოლო, ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ, მუშაობას იწყებს „ჭიათურ-მანგანუმის“ ტრესტში: მთავარი გამამდიდრებლის მოადგილედ; მთავარ გამამდიდრებელად; დირექტორის მოადგილედ; მთავარი დარგში; ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანად; ქ. ჭიათურის პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანად.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორად (შემდგომში საქციო საზოგადოება „მადნეული“) ვახტანგ სულამანიძე 1985 წლის აგვისტოში, ქ. ჭიათურის პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობიდან გადმოჰყავთ.

ძალზე დიდი იყო საზოგადოების ინტერესი, პირველ რიგში — მადნეულელთა ინტერესი, — თუკის შექმნილ გაერკმელებთან ღირსეული მემკვიდრეობა ისეთი საქვეყნო აღიარებული ხელმძღვანელი-ორგანიზატორისა, როგორც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი ანხალომ ჭანტურია იყო. გამოცდა მართლაც რთული იყო.

ვახტანგ სულამანიძემ — სამთო საქმის ცოდნის ფართო დიპლომატიით, მცირე თუ დიდი მასშტაბის საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, თავდაუზოგავი შრომით, თავმდაბლობით, უშუალოდ და კოლექტივში ხელმძღვანელი-ლიდერის ნდობის მოპოვებით — ეს გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა და სს „მადნეულის“ დირექტორთა ისტორიაში ღირსეულად გამოჩნული ადგილი დაიმკვიდრა. მისი ხელმძღვანელობით „მადნეული“ ყოველთვის ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციებს არა მარტო ქვეყნის, არამედ — იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის ფერადი მეთალურგიის სამინისტროს მოწინავე საწარმოთა შორისაც.

საწარმოს შრომითი კოლექტივის სოციალური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, იგი მუდმივად ზრუნავდა დაბა კაზრეთის მოსახლეობის კეთილდღეობაზეც. ამიტომაც, რომ მადნეულელთა — დიდი თუ პატარა, ვახტანგ სულამანიძის სახელს დიდი მადლიერებით მოიხსენიებენ.

პრაქტიკულ სამეწარმეო საქმიანობას ე. სულამანიძე პედაგოგიურ მიღწევასაც უთავსებდა — ლექციათა კურსს კითხულობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 66 წლის ასაკში მას — დიდად ნიჭურსა და შესანიშნავ სპეციალისტს — კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო სამთო დარგის განვითარებისა და თავისი ქვეყნის სასიკეთოდ. ვაგლახ, რომ ამ მიზნისაკენ სვლა მოულოდნელად შეწყდა.

ვახტანგ სულამანიძე მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც სტოვერენ ამქვეყნიურ სინამდვილეს და გარდაცემულ ნათელ ნიშნად და სვეტად — როგორც მშობელი, როგორც მეგობარი, როგორც კოლეგა, როგორც ხელმძღვანელი და გზამკვლევი. ეს კი, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

სს „მადნეულის“ შრომითი კოლექტივი მადლიერების გრძნობით და დიდი გულისტკივილით ემშვიდობება ვახტანგ სულამანიძეს და სამუდამო პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნას.

სს „მადნეული“ კოლექტივი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება თანამშრომლის, აკადემიკოს

ედიშერ ხოშტარია-ბროსის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კვარაცხელიების საგვარეულო იუწყება წალენჯიხის სატყეო მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, სახელოვანი გვარიშვილის რაჟდენ მირის ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ძმას კუკური კვარაცხელიას.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) ჯემალ ხანდელიანი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

ამა წლის 15 ნოემბრიდან შპს „საქართველოს რკინიგზაში“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქტების ნუსხა. შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

К вниманию заинтересованных Юридический и физический лиц! С 15 ноября 2005 года ООО „ГРУЗИНСКАЯ ЖЕЛЕЗНАЯ ДОРОГА“ на собственном веб-сайте опубликовала перечень продукции, которая будет закупаться конкурсным методом. Вся дополнительная информация относительно производимых закупок просим искать по адресу: http://www.railway.ge (тендеры)

მიხეილ მეზუკე

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ქირურგი და საზოგადო მოღვაწე, ს/ს „კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მიხეილ მეზუკე.

მ. მეზუკე დაიბადა 1938 წლის 11 ნოემბერს ქ. თბილისში. 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. აქტიუბისკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და იქვე დაიწყო მუშაობა საოლქო საავადმყოფოს ქირურგად. 1965 წლიდან მუშაობდა ქ. რუსთავის, ხოლო 1966 წლიდან თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმად. 1969 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სა-

დაც გაიარა გზა ექიმ-ორდინატორიდან მთავარი ექიმის თანამდებობამდე.

მ. მეზუკე იყო 60 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო სამედიცინო ინსტიტუტის „საქართველო“ ქირურგიის კათედრის დოცენტი.

ბატონი მიხეილი იყო უანგარო და უდალატო მეგობარი, ადამიანი, რომელიც თავისი სიკეთით და დიდი ადამიანობით ალამაზებდა თბილისს, თავისი იუმორით სიცოცხლეს უხანგრძლივებდა გვერდით მყოფთ. მან მთელი შეგნებული ცხოვრება მოკრძალებით და უპრეტენზიოდ გაატარა და დაგვიტოვა უზარმაზარი სიყვარული, კაცთმოყვარეობა და სიკეთე, ერთგული და მართალი კაცის სახელი.

მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა ყველას — ოჯახს, სანათესაოს, მეგობრებს და კოლეგებს. ის იყო



სიცოცხლით საცხე, ენერგიული, ვაჟკაცური შემართების ადამიანი. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა თავისი ცხოვრების 67 წლით უკვდავყო დიდი ადამიანისა და მეგობრის, ერუდირებული მეცნიერისა და ექიმის სახელი.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მას.

საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ს/ს „კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტი“

გვიმრავლოს!

„სიმართლის წიგნი“ მხოლოდ სიმართლე იწერება

სამშობიარო სახლებში შემოღებულ „სიმართლის წიგნი“ ახალმოლოდინეული ქალების გვარი და სახელი, შექმნილი წვილის სქესი, მისი წონა-ზომა და სადაურობა იწერება...



სამშობიარო სახლებში შემოღებულ „სიმართლის წიგნი“ ახალმოლოდინეული ქალების გვარი და სახელი, შექმნილი წვილის სქესი, მისი წონა-ზომა და სადაურობა იწერება... დედაქალაქის სამშობიარო სახლების ამ წიგნებში თბილისელების გარდა, რაიონებიდან მოხალაბულ მშობიარეთა გვარებს შეხვედებით.

რომელი ერთი ჩამოგითვალთ... ჩამოდიან იმიტომ, რომ აქ უკეთეს პირობებში უხდებათ მშობიარობა. როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაავადებათა კონტროლის და სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ მანანა ცინცაძემ გვაუწყა, თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში ამ 6 თვეში 37 ბავშვი დაიბადა (16 გოგო და 21 ბიჭი).

რიცხვი. მაგალითად, „სიმართლის წიგნი“ აღრიცხულია 6 თვეში: ქედამი — 13, ქობულეთში — 8, ყვარელში — 13, ტყიბულში — 6, ხარაგაუში — 5, ხონში — 12, ხობში — 9, ადიგენში — 4, თიანეთში — 4, ლენტეხში — 5, ონიში — 1, ცაგერში — 4, ვანში — 12, თეთრ წყაროში — 10, წალკაში — 2 ბავშვი.

„სიმართლის წიგნი“ სიმართლე კი იწერება, მაგრამ როგორც ჩანს, რაიონების სამშობიარო სახლებს ადგილობრივი ხელმძღვანელებისგან მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ.

ნათელა ფაილოძე

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ფოტოკადრი



„ტრანსპორტიმაც ვივლი და, პატრულის ჯინაზი, მოკილურითაც ვილაპარაკებ!“ გივი ჯოღორდის ფოტო.

ამერიკული კოზმოს რუსული ჩანაწერებიდან

თაღლითი საქმრქს ექვსი მცნება

- 1. მე არ მრცხვენია ჩემი მამაკაცური სურვილებისა.
2. მე თავის მხილებსა და ბოდიშების გარეშე დავაბიჯებ დედამინაზე.
3. მე ქალი არ მჭირდება
4. მე არ ვეკამათებ ქალს და არ

ვცდილობ ვაამო მას. მე ყურადღებით ვუსმენ ყველაფერს, რასაც ის ამბობს, და ნაზად, მაგრამ მტკიცედ ვაკეთებ ყველაფერს, რაც მასთან ერთად დავგებებ.
5. არ არსებობს იმდენად ლამაზი ქალი, რომ ის ჩემი არ გახდეს.
6. მე არასდროს ვიცი, რომელ ქალზე გავჩერდები, მანამ, სანამ მასთან არ დავწევები.



ქალს ვჭირდები მე.
4. მე არ ვეკამათებ ქალს და არ

მოდა

ამ სეზონისთვის განკუთვნილი აქსესუარი

ამ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აქსესუარი თავსაბურავი გახლავთ. მას ქალისა და მამაკაცის გარდერობში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამჯერად, მოდის კანონმდებლები უფრო მსუბუქ, დაბალბენვნიან თავსაბურავებს ანიჭებენ უპირატესობას. ბენჯი (ხელოვნური და ბუნებრივიც) სავსებით მისაღებია ისეთ ქუდეებზე, რომლებიც თინეიჯერის პანამასა და, ამავდროულად, ჯენტლმენის ინგლისურ შლაპას მოგაგონებენ. უპირაინია ტყავის, ხავერდის, ველვეტის და ტვიდის შლაპა-პანამები, როგორც ერთი ტონალობის, ასევე სხვადასხვა შეფერილობის (კომბინირებული) ქსოვილისგან შეკერილი.

თუ თქვენთვის რომანტიკული სტილი უფრო სასურველია, მაშინ ფართოფარფლიანი, განგსტერული ან ესპანური სტილის



ქუდი უნდა შეიძინოთ. თუმცა, დღეისთვის დიზაინერთა უმრავლესობა უპირატესობას უფრო სპორტული სტილის კეპებს ანიჭებს, არჩევანი კი დიდია — სასურველი ფერის, ფორმისა და სტილის მიხედვით.

მსოფლიო მოდის სახლები თინეიჯერებს რომლებსაც, ძირითადად, ქუჩური სტილი მოსწონთ, შესაბამისად, ბაფთებით, მეტალის შესაკრავებით, მაქმანებითა და ორიგინალური ლილვებით დამშვენებულ კეპებს სთავაზობენ.

როგორც შარშან, ახლაც აქტიურია ფერადოვნებით გამორჩეული ხელით ნაქსოვი ქუდეებიც. კვლავ მოდურია სხვადასხვა ფერის გრძელი, ფაფუკი შარფები, რომელთა გამოყენება ქალებს თავსაბურავად შეუძლიათ. შეგახსნებთ, რომ ქალის თავსაბურავები ამ სეზონისთვის, მაქსიმალურად ქალური და დახვეწილი უნდა იყოს.

რაც შეეხება კაპიშონს, რომელმაც ერთი პერიოდი პირველობა სხვა სახეობებს დაუთმო, ტრიუმფით დაუბრუნდა მოდის

სამყაროს. მისმა აქტიულობამ მოლოდინს გადააჭარბა. პალტოსა და ლაბადაზე დახვეწილად მორგებული სხვადასხვა დაბალი ბენჯით განწყობილი კაპიუშონები მოდის უკანასკნელი გამოქაჩილია. აღსანიშნავია ისიც, რომ დიზაინერებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს არაპრაქტიკულ, ეგზოტიკურ ქუდის მოდელებს, რომლებიც ზოგჯერ ხელოვნების ქმნილებადაც აღიქმება.



უნგაროს, იამამოტოს, შანელის, ფეროგორც შარშან, ახლაც აქტიურია ფერადოვნებით გამორჩეული ხელით ნაქსოვი ქუდეებიც. კვლავ მოდურია სხვადასხვა ფერის გრძელი, ფაფუკი შარფები, რომელთა გამოყენება ქალებს თავსაბურავად შეუძლიათ.

უნგარო კოლექციებში ფართოფარფლიან ქუდებს წარმოაჩენს, რომელიც ხელოვნური ყვავილებით და სხვადასხვა მოსართავით არის შემკო-



ბილი, ბუნებრივია, ამ სტილის თავსაბურავი მხოლოდ განსაკუთრებული საღამოებისთვის არის გათვალისწინებული; შანელმა წამყვანი ადგილი კლასიკური ფერების — შავ და თეთრ პატარა და მეტად ორიგინალურ ქუდებს დაუთმო. ფერემ მამაკაცის საქმიან სტილს შესაფერისი ქუდი მიუსადაგა — მან პიჯაკისა და ქუდის ქსოვილი ერთ ტონალობაში წარმოადგინა, რამაც მოდიუმზე დიდი ეფექტი და მოწონება დაიმსახურა.

ზამთარი კარს მოგვადგა და ქუდების დროც დადგა. ენდეთ მოდის სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

ლელა ღონაძე

სურათი: ბ. მოდური თავსაბურავები.

ახალი ფოლკლორი

ბაბვიწყრა ღმერთი ქართულად...

1995 წელს, როცა ეს სტროფი დაინერა, ავტორი გმირებს მისტიროდა...


ახლა კი „მთანმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს...“

გაგვიწერა ღმერთი ქართველებს, ეშმაკებს ველაქუცებით: წაუდინენ ქაქუცები და მოუდინენ ქაჩაქუცები!..

გიორგი ნიჭიანიძის „სიცილის არქივიდან“

გაბრიელის ცრემლი

გაბრიელის ცრემლი ჯონ ტაულოზი



დიდი ინგლისელი მწერალი, „კოლექციონერისა“ და „მოგვის“ ავტორი შინ, მარტობაში გარდაიცვალა.

ამ დღეებში, საოჯახო ბიბლიოთეკაში რომ ვიწხრიკებოდი, თავში გამიელვა — ნეტავ კი ვაუულზს რაიმე კიდევ დაუნერა... ინტერნეტშიც შევძებნე, ვნახე, რა წნისაა — თითქმის 80-ისა. იშვიათად გამოუშვებდა ახალ რომანებს, სამაგიეროდ ყოველი მათგანის კვლავ და კვლავ გადაკითხვა მოგიინდებოდა, „მოგვი“ იქნებოდა, „კოლექციონერი“, „ჭიაყელა“ თუ „ფრანგი ლეიტენანტი ქალი“. ორტომეულია, „ლენიელ მარტინის“ შემდეგ კი ჩვენთან არაფერი გამოსულა.

სუთ ნოემბერს გარდაიცვალა, თუმცა ეს ამბავი მხოლოდ შვიდში გახდა ცნობილი — ქვრივი მწერალი ჩაკეტილად ცხოვრობდა: მსოფლიო დიდება რომ ეწვია, გაიცნობიერა, თუ რა მძიმე ტვირთია პოპულარობა.

ჯონ ფაულზი რეჟისორებსაც შთააგონებდა: კარელ რეიშმა „ფრანგი ლეიტენანტის ქალის“ ეკრანიზება განახორციელა (მთავარ როლში მერილ სტრიპი), ჯონათან დემის „კრავთა დუმილი“ კი შეუძლებელია „კოლექციონერს“ არ შეადარო. „მოგვის“ შემდეგ მწერალი საკულტედ იქცა და მკითხველები ეხევიდნენ და თავსაც აბურებდნენ.

არადა, ეგების თვითონაც მოგვი იყო, რაკი იდუმალი ძალები დაუსრულებლად გვაიძულებენ იმის წიგნებთან დაბრუნებას...

ანა არწივაძე

მორიგი ნოემერი გამოვა საშაბათს, 22 ნოემბერს. ჩვენი ლევალი ნოემერი 24-გვერდიანია.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგი რედაქტორი ელვა უჯა ლეზანიძე.
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მუშაობა: 98-96-33.
სარედაქტორო განყოფილება: 98-96-32.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
აბორტის ვისოვო, კომაიშვილმა ანაწერა 2-2,5 ნაბაჟი გვერდზე მისი მონტაჟის სტატიის 6 წიგნი.